# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ოქტომბერი **ორშაბათი** 2009

№ 246 (12 925) ფასი 60 თეთრი



MS სრულყოფილი

MS ხელმისაწვდომი

MS სასარგებლო

მჭირდება!!!




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გუშინ ვაკეში. დინამო-სიონი. სახიფათო მომენტი ბოლნისელთა კართან

# ანანიძის ისტორიული გოლი




# დინამო 0:2 სიონი

საქართველოს ჩემპიონატი » 2-3

ისევ სანაკრებო თემაზე

## რევაზ ქოქუაშვილი: ქეცბაია დასახვრეტთა საკანში შედის

**როგორ ვერ მიხვდა კუპერი, რომ დაცვის ცენტრი შესაცვლელია?!**

ქოქუაშვილი, სულაქველიძე, ქორიძე და გოგიჩაიშვილი აფასებენ...

» გვერდი 5



რევაზ ქოქუაშვილი

დვალიშვილის პირველი დუბლი ჩემპიონატში



ქართველებმა გოლები გაიხსენეს

თარგამაძის 26 წუთი ბაიერნთან

ლეგიონის უწყებები

» გვერდი 6

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XI ტური

# უხვგოლიანი და ლოგიკური

18.10.09. ზესტაფონი. ცენტრალური
2000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 4 |
| სამტრედია | 2 |

*1:0 გელაშვილი (9. აფციაურის პასით), 2:0 გელაშვილი (26. აფციაურის პასით), 2:1 კაკალაძე (28. ვაშაკიძის პასით), 3:1 კორღალიძე (65), 4:1 ბენაშვილი (71), 4:2 ზ. ხაჭიპერაძე (80)*

*ზესტაფონი: მამალაძე - ლობჟანიძე, გ. ონიანი, ხიდეშელი - აფციაური, დაუშვილი (59. კორღალიძე), ძარია (75. გორგიაშვილი), გრიგალაშვილი, ელიავა - დვალი, გელაშვილი (70. ბენაშვილი).*

*სათადარიგოები: რ. კვახხაძე, იონანიძე, ცხადაია, ნ. კვასხვაძე*

*სამტრედია: შენგელია - ნინუა, გოგია, კვესიეშვილი, ქორიძე - ჩომახიძე, ბ.ხაჭიპერაძე (46. კირთაძე), ბაკურაძე ( ზ. ხაჭიპერაძე), ვაშაკიძე (62. ფირცხალავა) - ტყემალაძე, კაკალაძე.*

*სათადარიგოები: ბანძავა, ეცადეიშვილი, ჯიქიძე, გუბელაძე*

*გაფრთხილება: აფციაური (53)*

*გაძევება: ლობჟანიძე (66)*

*არბიტრი: ლ. კვარაცხელია*

„სამტრედიამ" წინა ტურებში „დინამო" და „ვიტ ჯორჯია" კი გაამწარა, მაგრამ იმერულ დერბიში ფავორიტად, რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ზესტაფონი" ითვლებოდა. ფეროელებმა ფავორიტის სტატუსი გაამართლეს, დაგეგმილი ქულები მიითვალეს და ლიდერობაც შეინარჩუნეს.

მიუხედავად მარცხისა, აუგს ვერც „სამტრედიაზე" ვიტყვით. ეს გუნდი ყველა თამაშში ბოლომდე იხარჯება, გუშინაც, რაც შეეძლოთ, გაუძალიანდნენ მეტოქეს, მაგრამ „ზესტაფონის" უკეთესი მომზადება და გაცილებით მაღალი კლასი თვალში საცემი იყო და ეს ანგარიშზეც აისახა.

**გია გეგუჩაძემ**, როგორც მასპინძელსა და ფავორიტს შეეფერებოდა, სამტრედიელებს შემტევი ტაქტიკა შესთავაზა. ზესტაფონელებმა 3-5-2 სქემით ითამაშეს. **ზაალ ელიავა** ამ თამაშში მთლიანად შეტევაზე იყო კონცენტრირებული და დაცვით ფუნქციებს ნაკლებად ასრულებდა. ზესტაფონელთა თამაშს კარგად წარმართავდა **თორნიკე აფციაური**, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია და თუ ასე გააგრძელა, საქართველოს ნაკრებში გასინჯვასაც დაიმსახურებს. მან მატჩის დებიუტშივე შეუქმნა საგოლე სიტუაცია **ნიკა გელაშვილს**, თუმცა ზესტაფონელთა ბომბარდირის თავური ხარიხას გადასცდა.

ამ ორი ფეხბურთელის გარჯამ მალე სასურველი შედეგიც მოიტანა: მე-9 წუთზე, აფციაურის კარგი გადაცემის შემდეგ, გელაშვილმა ბურთი თავით გაისწორა და უძლიერესი დარტყმით დალაშქრა **შენგელიას** კარი - 1:0.

სამტრედიელები ფრთხილი ტაქტიკით კი თამაშობდნენ, მაგრამ საწყის წუთებში დაბნეულები იყვნენ და დაცვაში ბევრ შეცდომას უშვებდნენ. მათი მთავარი პრობლემა საკუთარი საჯარიმოდან ბურთის ამოტანა იყო და მე-16 წუთზე ერთი ასეთი ლაფსუსი კინალამ გოლადაც დაუჯდათ - **შოთა გრიგალაშვილის** სახიფათო დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს. 26-ე წუთზე სტუმრებს ანალოგიური შეცდომა მოუვიდათ - საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს ბურთი მეტოქეს ჩააბარეს, რასაც ზესტაფონელებმა საგოლე შეტევა მოაყოლეს, აფციაურმა გამოზომილი პასით გელაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე და ბომბარდირმა დუბლი შეასრულა - 2:0.

„სამტრედიას" რომ დანებება არ სჩვევია, ამაზე მათი ბოლო შეხვედრებიც მეტყველებს. **ლევან ანჯაფარიძისა** და **მამუკა მესიაჩენკოს** შეგირდებმა, რომელთაც ზესტაფონში 30-მდე ერთგული ფანი ჩაჰყვათ, ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად ფარ-ხმალი არ დაყარეს და ორიოდე წუთში ერთი ბურთის გაქვითვა მოასწრეს. სიმართლე უნდა ითქვას, ამაში მათ მეკარე **ზურაბ მამალაძეც** წაეხმარათ, რომელმაც ნაადრევად დატოვა კარი და **მიხეილ კაკალაძეს** გოლის გატანა აღარ გასჭირვებია - 2:1.

ამის შემდეგ გრიგალაშვილსა და აფციაურს ჰქონდათ კარგი მომენტები, თუმცა ტაიმის ბოლოს „სამტრედიაც" გააქტიურდა და **კვესიეშვილმა** ულამაზესი „მაკრატელაც" გაიტანა, თუმცა მანამდე სტუმრები მამალაძეს ეუხეშნენ და არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** გოლი არ ჩათვალა.

შესვენების შემდეგ „ზესტაფონმა" მთელი ძალით შეუტია. აფციაურის ორ კუთხურს ორივეჯერ **გიორგი ხიდეშელის** თავური მოჰყვა, თუმცა ბურთმა ორივეჯერ ხარიხას გადაუფრინა. ზესტაფონელთა აქტიურობამ ნაყოფი 65-ე წუთზე გამოიღო. **ირაკლი ძარიას** დარტყმული **სპარტაკ გოგიას** ზურგში მოხვდა და მოედანზე ხუთიოდე წუთის გასულ **ლევან კორღალიძეს** მიუვიდა, ამან კი შანსი არ გაუშვა - 3:1.

იქვე, მასპინძლები კაცნაკლულნი დარჩნენ - მსაჯმა მოედნიდან **უჩა ლობჟანიძე** გააძევა. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, უპირატესობას კვლავ გეგუჩაძის შეგირდები ფლობდნენ და მალე ეს კიდევ ერთ გატანილ გოლში აისახა. შეცვლაზე შესულ **ალექსი ბენაშვილს** სულ ერთი წუთი დასჭირდა გოლის გასატანად - აფციაურის გადაცემის შემდეგ მან კარგად დაამუშავა ბურთი და მეკარისგან შორეულ კუთხეში მოათავსა - 4:1.

ამის შემდეგ კორღალიძეს შეეძლო დუბლის შესრულება, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. „ზესტაფონმა" ნელ-ნელა ტემპს უკლო და და სამტრედიელებს გააქტიურების საშუალება მისცა. მე-80 წუთზე გოგიას დარტყმა მამალაძემ უხერხულად მოიგერია და შეცვლაზე შესულმა **ზაურ ხაჭიპერაძემ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 4:2. დარჩენილ დროში ზესტაფონელებს კვლავ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ჯერ **გიორგი ონიანის** თავური ასცდა მიზანს, ბოლოს კი შენგელიამ სახიფათო დარტყმა მოიგერია.

მოკლედ, უხვგოლიანი დერბის შემდეგ „ზესტაფონი" კვლავ ცხრილის სათავეშია. სამტრედიელთა სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ ამ გუნდის მონაწილეობით ჩატარებული შეხვედრები სანახაობითა და შედეგიანობით გამოირჩევა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

# კიდევ კარგი, ხალხი არ იყო...

17.10.09. ბოლნისი.თ. სტეფანია
უმაყურებლოდ

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 3 |
| ლოკომოტივი | 1 |

*1:0 სალესი (17. ს. თოდუას პასით), 2:0 აკინო (57-პენ.), 2:1 აბრამიძე (62-საკ. კარში), 3:1 აკინო (65-პენ)*

*ოლიმპი: ჭანტურია - აბრამიძე, ფრაგა, ს. თოდუა - დ. ფოფხაძე, ჟერონიმო (52. გ. ჭედია), ზ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი, იმედაშვილი (79. რეხვიაშვილი) - აკინო, სალესი (71. დობროვოლსკი)*

*სათადარიგოები: მ. ალავიძე, გველესიანი, კაკულია, გ. თოდუა*

*ლოკომოტივი: ქვილითაია - ბებუა, გუშარაშვილი, გ. კვანტალიანი, ხარალიძე - ქებაძე, დიაკვნიშვილი, ი. აფხაზავა (46. დ. ჩაგელიშვილი), წულაძე (67. ბ. მახარაძე), ტიკურიშვილი (79. გონაძე) - გ. მოდებაძე*

*სათადარიგოები: ცერცვაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ჭალიაშვილი, ჩიკვაიძე*

*გაფრთხილება: გ. მოდებაძე (29), წულაძე (40), ქვილითაია (56), დიაკვნიშვილი (64)*

*არბიტრი: ლ. სილაგავა*



აკინოს მეორე პენალტი გააქვს ლოკომოტივის კარში

ავტორის ფოტო

„დღეს ფეხბურთი არც „ოლიმპს" უთამაშია და არც „ლოკომოტივს", კიდევ კარგი, გულშემატკივრებს ამ მატჩზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ", - გულახდილად თქვა თამაშის შემდეგ „ლოკომოტივის" მწვრთნელმა **გელა სანაიამ**. მას მთლიანად უნდა დავეთანხმოთ, რაც ბოლნისში ვიხილეთ, ფეხბურთი მხოლოდ პირობითად თუ ეთქმოდა - თამაშის ხარისხი საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზეც კი დაბალი იყო, ფაქტობრივად, ვერ ვიხილეთ კოლექტიური თამაში, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ფეხბურთელებმა შეხვედრის დღეს გაიცნეს ერთმანეთი და შესათამაშებლად დრო საერთოდ არ ჰქონიათ.

მატჩის ფავორიტი ბუნებრივია, „ოლიმპი" იყო. გახმაურებული ინციდენტის გამო დისკვალიფიკაციამისჯილ ბოლნისურ სტადიონზე უპირატესობას თავიდანვე რუსთაველები დაეუფლნენ და „ლოკომოტივის" მეკარესაც პირველივე წუთებში მოუხდა საქმეში ჩართვა. არ გაგიკვირებათ თუ გეტყვით, რომ **მაქსიმე ქვილითაია** ამჯერადაც საუკეთესო იყო რკინიგზელთა შემადგენლობაში და ლოკომოტიველები პირველ რიგში მას უნდა უმადლოდნენ, კატასტროფული სხვაობით რომ არ დამარცხდნენ.

პირველ გოლამდე „ოლიმპმა" ორი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან, ანგარიშის გახსნასთან ორჯერ იყო ახლოს **ჟერონიმო**, რომელსაც ორივეჯერ ქვილითაიამ აუღო. ჟერონიმომ მოედანი უგოლოდ დატოვა, მაგრამ „ლოკომოტივის" კარში ყველა გოლი მაინც ბრაზილიური გავიდა.

მე-17 წუთზე **სევასტი თოდუას** ჩაწოდებას **ედუარდო სალესი** გამოეხმაურა და თავური დარტყმით დალაშქრა თბილისელთა კარი. ამის შემდეგ შესვენებამდე საინტერესო არაფერი მომხდარა, „ლოკომოტივი" ავად თუ კარგად, უმკლავდებოდა „ოლიმპის" იერიშებს, შეტევაში კი ჩვეულებისამებრ, ბევრი ვერაფერი გამოსდიოდა.

ოლიმპელებმა მეტოქის საჯარიმოზე დაწოლა მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე გააძლიერეს. ჯერ იყო და ქვილითაიამ სალესს არ გაატანინა, ორიოდ წუთში კი კარიდან გამოსვლა ოდნავ დააგვიანა და იძულებული გახდა, მოედანზე ახალი შესული **გიორგი ჭედია** წესების დარღვევით შეეჩერებინა. ამგვარ სიტუაციებში პენალტთან ერთად, მეკარის გაძევებაც გვინახავს, მაგრამ არბიტრმა სილაგავამ „ლოკომოტივის" კარის დარაჯს ყვითელი ბარათი აკმარა, თერთმეტმეტრიანი კი ბუნებრივია, უყოყმანოდ დანიშნა.

პენალტის ნიშნულთან **აკინო** მივიდა, რომელსაც ქვილითაიამ კუთხე კი გამოუცნო, მაგრამ „ცხრიანისკენ" მიმავალი ბურთის მოგერიების შანსი არ ჰქონია - 2:0.

თითქოს აქ ყოველგვარი ინტრიგა უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ხუთიოდე წუთში ოლიმპელმა **აბრამიძემ** საკუთარი კარი დალაშქრა, თანაც ყოვლად უვნებელ ვითარებაში.

ლოკომოტიველთა იმედებს დიდი დრო არ ეწერა. მომდევნო შეტევაში ჭედიამ თვაის გუნდს მეორე პენალტი მოუპოვა. იგი **დიაკვნიშვილთან** ორთაბრძოლაში წაიქცა და სტუმართა აზრით, საეჭვო თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. თანაგუნდელებმა დარტყმა ისევ აკინოს მიანდეს და ამ უკანასკნელმა საფეხბურთო სასჯელი ამჯერედაც იდეალურად შეასრულა.

ისე კი, ამ პენალტსაც რომ თავი დავანებოთ, ლოკომოტიველები მთელი მატჩის განმავლობაში გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მსაჯობით...

„ლოკომოტივიდან" ქვილითაია გამოვარჩიეთ და სურათი არც „ოლიმპში" შეცვლილა - თუკი რუსთაველთაგან ვინმე ახერხებდა თამაშის გამწვავებას, გონივრული პასების კეთებასა და პასუხისმგებლობის ტვირთვას, ეს პირველ რიგში, აკინო იყო.

„ოლიმპის" ბრაზილიელ ლიდერს ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, როცა მსაჯის მიერ დამატებულ დროში ძლიერად დარტყმული ბურთი ხარიხას გაარტყა. აკინოს მანამდე ქვილითაიამ აუღო, დამატებაზე კი **ჭელიძის** დარტყმა მოხვდა ხარიხას.

მთლიანობაში, „ოლიმპმა" დაგეგმილი სამი ქულა უშფოთველად მოიპოვა, ოღონდ ამას პირველ რიგში, მეტოქის დაბალ კლასს უნდა უმადლოდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 11 | 7 | 4 | 0 | 20-6 | 25 |
| 2. ოლიმპი | 11 | 7 | 3 | 1 | 21-10 | 24 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 4 | 1 | 19-12 | 22 |
| 4. დინამო | 11 | 5 | 3 | 2 | 20-9 | 18 |
| 5. სპარტაკი | 11 | 5 | 2 | 4 | 16-19 | 17 |
| 6. სიონი | 11 | 3 | 5 | 3 | 10-11 | 14 |
| 7. სამტრედია | 11 | 4 | 1 | 6 | 16-24 | 13 |
| 8. გაგრა | 11 | 2 | 3 | 6 | 14-19 | 9 |
| 9. ბაია | 11 | 2 | 1 | 8 | 10-20 | 7 |
| 10. ლოკომოტივი | 11 | 0 | 2 | 9 | 4-19 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 9 |
| აკინო (ოლიმპი) | 9 |
| გაბედავა (გაგრა) | 7 |

**XII ტური**

**24 ოქტომბერი. შაბათი**

ლოკომოტივი-ბაია

**25 ოქტომბერი. კვირა**

სპარტაკი-დინამო

სიონი-ვიტ ჯორჯია

გაგრა-ზესტაფონი

სამტრედია-ოლიმპი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



# დინამოს მძლეველი უხელფასოდაა

დინამოს მეორე გოლი ხიდეშელმა (№10) გაიტანა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

18.10.09. თბილისი. მ. მესხი.
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 0 |
| სიონი | 2 |

*0:1 ხუბუა (64. გოგობერიშვილის პასით), 0:2 გ. ხიდეშელი (81. ბობოხიძის პასით)*

*დინამო: ლორია - კაკუბავა, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე - შ. კაშია (80. ლეკვთაძე), მამუჩაშვილი (67. სიხარულიძე), დილმელაშვილი, კოშკაძე - აკირემი (80. ქანთარია), მერებაშვილი.*

*სათადარიგოები: სომხიშვილი, თომაშვილი, ჩადუნელი, ნემსაძე*

*სიონი: ბობლიაშვილი - კობაური, მახვილაძე, ქემოკლიძე, ჩიკვილაძე - ხიდაშელი, ლ. ნოზაძე, ბ. ნოზაძე (58. ბობოხიძე), გოგობერიშვილი, ხუბუა (87. ქურასბედიანი) - ჩიმაკაძე.*

*სათადარიგოები: სტურუა, ბაჯელიძე, დავითაშვილი, ოქროპირიძე.*

*გაფრთხილება: ჩიკვილაძე (42), კობაური (45), ბობოხიძე (62) ხუბუა (64), ბობლიაშვილი (72)*

*არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი*

გუშინ ვაკეში დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოვიდა. განსაკუთრებით თვალსასეირო იყო მეორე ტაიმი, როცა „დინამოს" მინიმუმ 2 ბურთი მაინც უნდა გაეტანა, მაგრამ მასპინძლებმა შანსები ქარს გაატანეს და დაისაჯნენ კიდეც...

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრობით და ჯერ დანაკლისზე ვთქვათ. დინამოელებს არ ჰყავდათ კამერუნელი **დონალდ ჯუისი**, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული. სტუმრებს კი ერთბაშად ხუთი მოთამაშე დააკლდათ - **სვანიძე, ვაშაკიძე, თარხნიშვილი, ფიფია და კიკნაძე.**

მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველ 45 წუთში დინამოელები დომინირებდნენ, შესვენების შემდეგ კი „სიონის" თავკაცმა **თემურ მახარაძემ** შეცვლებით გამოაცოცხლა გუნდი, ტაქტიკურ ცვლილებასაც მიმართა და შედეგიც მოიმკა.

სტარტზე დინამოელებს სწრაფი გოლით შეეძლოთ დაწინაურება. მე-5 წუთზე **ალექსანდრე კოშკაძის** მიერ ჩაწოდებული კუთხურისას **ლევან კაკუბავამ** დაარტყა კარში და სტუმრები გოლისგან ხარიხამ იხსნა. 8 წუთში ბოლნისელები უკვე მეკარე **მინდია ბობლიაშვილმა** გადაარჩინა - ის **შოთა კაშიას** ძლიერად დარტყმულს გადაეფარა.

25-ე წუთზე **გიორგი მერებაშვილს** მეტოქის კარის აღების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ააცილა. თავის მხრივ, არც ბოლნისელები იყვნენ გულხელდაკრეფილნი, მაგრამ პირველ ტაიმში მათ დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ.

როგორც ზემოთ ვთქვით, „სიონი" შესვენების შემდეგ გამოცოცხლდა და ამის საფუძველი გახდა მახარაძისეული ცვლილებები - მეორე ტაიმი ახალ დაწყებული იყო, როცა მოედანზე **მიხეილ ბობოხიძე** შევიდა. **ალექსანდრე გოგობერიშვილსა** და მეკარე ბობლიაშვილთან ერთად მან ბოლნისელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

სტუმრების გოლამდე მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ დაწინაურების შანსი, რომელიც ვერ გამოიყენეს. 52-ე წუთზე **შოთა კაშიას** მიერ ძლიერად დარტყმული ბობლიაშვილმა კუთხურზე მოიგერია. ორ წუთში მერებაშვილმა ბურთი კარს გადააცილა, 5 წუთის შემდეგ კი მისივე დარტყმა კვლავ მეკარემ აილო.

ამასობაში, ბოლნისელებმა თამაში მოედნის ცენტრში გადაიტანეს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პირველივე რეალური საგოლე მომენტი გამოიყენეს. 64-ე წუთზე გოგობერიშვილმა გრძელი და ზუსტი პასით **გელა ხუბუა** პირისპირ გაიყვანა **გიორგი ლორიასთან** და ბოლნისელთა ნახევარმცველმაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა - 0:1.

სამ წუთში მასპინძლებს კიდევ ერთი მომენტი შეექმნათ - **ლევან ხმალაძის** პასის შემდეგ შოთა კაშიამ კარგად კი დაარტყა, მაგრამ კვლავ ბობლიაშვილმა იმარჯვა. მალევე, მისმა ვიზავი ლორიამ **გიორგი ხიდეშელის** დარტყმული მოიგერია.

შეცვლებს „დინამოს" თავკაცმა **კახა კაჭარავამაც** მიმართა და თამაშის გადარჩენა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ჯერ იყო და, **ირაკლი სიხარულიძის** თავური აილო მინდიაშვილმა, მერე **ჯორჯ აკირემმა** ააცილა მიზანს. 81-ე წუთზე კი ბოლნისელებმა დინამოელებს ბოლო იმედიც გადაუწურეს - წრაფი კონტრშეტევისას ბობოხიძემ გრძელი პასით ხიდეშელი ლორიას შეატოვა და - 0:2.

**მატჩის შემდეგ**

**თემურ მახარაძე (სიონი):** „რთული და დაძაბული თამაში გამოვიდა. ერთბაშად 5 ფეხბურთელი გვაკლდა და მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით. პირველ ტაიმში „დინამომ" გვაჯობა, მაგრამ შესვენებისას ცვლილებებს მივმართე, თამაში ჩვენი საჯარიმოდან ცენტრში გადავიტანეთ და როგორც ხედავთ, ცვლილებებმა გაამართლა კიდეც... ფინანსური პრობლემები? დიახ, ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში ვართ. ხელფასების დავალიანებაა და ფეხბურთელები ამის გამო თამაშს აღარ აპირებენ. 21 ოქტომბერს სათასო მატჩი გვაქვს ზუგდიდში და ალბათ დუბლებით მოგვიწევს წასვლა, რადგან დავალიანება თუ არ დაიფარა, ფეხბურთელები აღარ ითამაშებენ".

**კახა კაჭარავა (დინამო):** „ამდენ საგოლე მომენტს რომ ვერ გამოიყენებ, აუცილებლად დაისჯები და აკი დავისაჯეთ კიდეც. მეტოქემ ორჯერ დაგვირტყა და ორჯერვე გაგვიტანა. გაძლიერდებით თუ არა? დიახ, გავძლიერდებით და თბილისის „დინამო" უფრო შედეგიანად და კარგად ითამაშებს. ამ ბიჭებსაც შეუძლიათ, უკეთესად წარმოჩნდნენ. იმედი მაქვს, გაითვალისწინებენ ამ სიტყვებს, მეტად მონდომებენ და უკეთ ათამაშდებიან. ამ შეხვედრაში რამდენიმე ახალგაზრდა ვათამაშე და უნდა გითხრათ, მათით უკმაყოფილო არ ვარ. ისინი გამოცდილებას შეიძენენ და უკეთ ითამაშებენ".

**დავით ცაბაძე**

# გაჯიქებული ბაია

17.10.09. ზუგდიდი. ცენტრალური
1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 4 |
| სპარტაკი | 1 |

*0:1 მაისურაძე (16. ჩირიკაშვილის პასით), 1:1 რ. ჯიქია (28. გუჩუას პასი), 2:1 ეხვაია (65), 3:1 რ. ჯიქია (84), 4:1 ვართაგავა (90)*

*ბაია: მაქაცარია, ექონია, აქუბარდია, ქვანია, ლუნგუ (49. ეხვაია), რ. ჯიქია, წურწუმია (74. კუტალია), ვართაგავა, გუჩუა (54. რაფავა), გ. ქირია, რ. ონიანი.*

*სპარტაკი: შეყრილაძე, პ. დათუნაიშვილი, ბოიომო, ბაქრაძე, გილაური, ჩივაძე, მანწკავა (69. ზონი), ჩირიკაშვილი (62. კლოვისი), შალამბერიძე, მაისურაძე (81. ჩალაძე), რ. გოცირიძე.*

*გაფრთხილება: ექონია (62)*

*არბიტრი: ვ. გუმბერიძე*

ზუგდიდის „ბაიამ" ამ სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა, ცხინვალის „სპარტაკმა" კი პირიქით, ყველაზე ცუდი შეხვედრა მათთვის სწორედ ეს თამაში იყო. ცხინვალელთა ნაგება მაფ მეკარე **ბექა შეყრილაძის** „დამსახურებაა", რომელმაც უხეში შეცდომები დაუშვა. გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი ზუგდიდელთა ნახევარდაცვამ შეიტანა, რომელსაც ჩინებულად აუბა მხარი თავდამსხმელმა **რევაზ ჯიქიამ**. თავიდანვე გამცნობთ, რომ სტუმრებს ტრავმირებული **თემურ შონია** აკლდათ, „ბაიამ" დისკვალიფიკაციის გამო **დავით ქირია** მოისაკლისა. ზუგდიდელებს ასევე არ ჰყავდათ ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძე**, რომელმაც 19-წლამდელთა ნაკრების რიგებში შვედეთში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზა. მასპინძლებმა მატჩი მძიმედ დაიწყეს, რითაც კარგად ისარგებლეს სტუმრებმა და მე-16 წუთზე **ნიკა მაისურაძემ ირაკლი ჩირიკაშვილის** პასით ანგარიში გახსნა. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაისურაძის გოლი ეფექტური გამოდგა. გოლის მიღების შემდეგ მასპინძელთა გუნდის თავკაცმა **ბესიკ შეროზიამ** ფეხბურთელები შეაფუცხუნა. ზუგდიდელთა მწვრთნელმა მოედანზე ტაქტიკურ ცვლილებებსაც მიმართა, რაც მატჩს მალევე დაეტყო. „ბაიამ" თამაში გაათანაბრა გოლის გაშვებიდან 12 წუთში წონასწორობა აღადგინა. ანგარიში კი **რევაზ ჯიქიამ ვალტერ გუჩუას** პასით გაათანაბრა. ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდი შეეცადა ანგარიშის შეცვლას, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ნახევარი ზუგდიდელებმა კარგად დაიწყეს, მათ გოლი მოამწიფეს და დაწინაურდნენ კიდეც. 65-ე წუთზე მეკარე შეყრილაძის უხეში შეცდომით ჩინებულად ისარგებლა ეხვაიამ და 2:1. სტუმრები გაცხარდნენ, მაგრამ „ბაიას" შუა ხაზი კარგად ასრულებდა მწვრთნელის მითითებებს და მასპინძლებმა უპირატესობა არ დათმეს. შეროზიას ბიჭები ფორის შექმნას შეცადნენ და მატჩის ბოლოს მეტოქის კარი კიდევ ორჯერ დალაშქრეს. 84-ე წუთზე რეზო ჯიქიამ დუბლი მიითვალა. 6 წუთში კი ვართაგავამ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

*„მატჩი ცუდად დავიწყეთ და მცველების პოზიციური შეცდომის გამო მეტოქეს დაწინაურების შანსი მიეცა, რაც გამოიყენა კიდეც. თუმცა მალევე შევიტანეთ თამაშში გარდატეხა და შესვენებამდე გავათანაბრეთ ანგარიში. მერე ტაქტიკურ ცვლილებებს მივმართე, რამაც გაამართლა კიდეც და მატჩის საბოლოო შედეგზეც აისახა. მართალი გითხრათ, სანაკრებო პაუზა ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ჩვენი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და საამისოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ. იმედი მაქვს, ჩემი გუნდი მომდევნო შეხვედრებს უკეთესად ჩაატარებს",* - განაცხადა მატჩის შემდეგ ზუგდიდის „ბაიას" მთავარმა მწვრთნელმა.

**დავით ცაბაძე**



რევაზ ჯიქია

# სრული რევანში

18.10.09. გორი. თ. ბურჯანაძე
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 5 |
| გაგრა | 1 |

*1:0 კვარაცხელია (28. ბერიაშვილის პასით), 2:0 ბერიაშვილი (30. გ. დათუნაიშვილის პასით), 3:0 რაზმაძე (32. ბეჭვაიას პასით), 4:0 ბეჭვაია (51. კვარაცხელიას პასით), 4:1 პავლიაშვილი (54), 5:1 კვარაცხელია (60)*

*ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, დ. ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე - კახელიშვილი, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (63. ვასაძე) - ბერიაშვილი (70. ლიპარტია), კვარაცხელია (80. ჯანელიძე)*

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, მგელაძე, ადამაძე, გ. შელქაძე*

*გაგრა: თევდორაძე - ვ. ხორგუაშვილი, გიგაური, თ. შალიკაშვილი, თოთაძე - რაქვიაშვილი (46. ოქრიაშვილი), პ. ხორგუაშვილი (80. ჭაავა), შარიქაძე (56. ი. შალიკაშვილი), კობერიძე - პავლიაშვილი, გაბედავა*

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, გაბუნია, ტყეშელაშვილი, გოგიჩაიშვილი*

*გაფრთხილება: ვ. ხორგუაშვილი (13)*

*არბიტრი: ა. კრიჭაშვილი*

მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი სიმწარე „ვიტ ჯორჯიას" „გაგრამ" აგემა - პირველ წრეში 4:0 გაანადგურა. ცხადია, ვეტერინარები მოედანზე რევანშის წყურვილით გავიდნენ და სანადელსაც მიაღწიეს. საქართველოს ჩემპიონებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და შურისძიებაც სრულფასოვანი გამოუვიდათ.

**კოჭლაშვილის** გუნდი თვალსაჩინო უპირატესობას მატჩის დაწყებისთანავე დაეუფლა, თუმცა პირველ გოლამდე რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მდგომარეობა ვერ გამოიყენა. ჯორჯიელთაგან მათი საუკეთესო ბომბარდირი **ვახტანგ კვარაცხელია** აქტიურობდა და ანგარიშიც მან გახსნა. კვარაცხელიამ 28-ე წუთზე **ბერიაშვილის** დაწყებული და **კახელიშვილის** გაგრძელებული კომბინაცია დააგვირგვინა.

„გაგრას" გონს მოსვლა არ დასცალდა, სტუმართა კარში ბურთი მეორედ ორიოდე წუთში აღმოჩნდა. შეტევა კვარაცხელიამ წამოიწყო, მან **გიორგი დათუნაიშვილს** უპასა, რომელმაც **ბერიაშვილი** მოძებნა. „ვიტ ჯორჯიამ" ესეც არ იკმარა და კიდევ ორ წუთში მეტოქე ბოლომდე გატეხა - **ბეჭვაიამ რაზმაძე** მოძებნა და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

მასპინძლები არც ამას დასჯერდნენ და მონინაალმდეგე არც მეორე ტაიმში მოასვენეს. გოლებს თავი რომ დავანებოთ, „ვიტ ჯორჯიამ" არაერთი ხელსაყრელი სიტუაცია ვერ გამოიყენა - კახელიშვილმა ბურთი ძელს გაარტყა, ბერიაშვილის დარტყმა **თევდორაძემ** მოიგერია, „გაგრას" მეკარემ მასთან პირისპირ გასულ ლიპარტიასაც აჯობა...

ვეტერინართა მეოთხე გოლი განსაკუთრებით ეფექტური იყო. კვარაცხელია საჯარიმო ბეჭვაიას გაუთამაშა, რომელმაც „გაგრას" კარი დაახლოებით 25 მეტრიდან დალაშქრა. **პავლიაშვილის** თავურით სტუმრებმა სხვაობა შეამცირეს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ" ოთხბურთიანი უპირატესობა მალევე აღიდგინა. კვარაცხელიამ მეტოქე მცველების შეცდომით ისარგებლა, დუბლი შეასრულა და ამით ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

კვარაცხელიასთან ერთად, ამ მატჩიდან გიორგი კახელიშვილი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში მარჯვენა ფლანგზე აქტიურობით გამოირჩეოდა და თამაშს სისტემატურად ამწვავებდა.

ამ გამარჯვებით „ჯორჯიამ" „ზესტაფონსა" და „ოლიმპს" შორის გაქცევის საშუალება არ მისცა, „დინამოს" მარცხის წყალობით კი მესამე პოზიციაზე მყარად გამაგრდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანუჩარ მაჩაიძე 60

ვეტერანთა მატჩი

# კაპიტანმა დინამოსთვის ისევ გაიტანა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები






გასულ უქმეებზე „დინამოს" დიდი კაპიტნის **მანუჩარ მაჩაიძის** 60 წლის იუბილე აღინიშნა. ეროვნულ სტადიონზე კვირას გამართული ვეტერანთა მატჩი სწორედ იუბილეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. ტრიბუნებზე ისევ შეიკრიბა ხალხი, რომელთაც ახსოვთ მანუჩარ მაჩაიძის დიდებული თამაში და გუშინ კიდევ ერთხელ იხილეს თავიანთი კერპი მწვანე მინდორზე. იუბილარის გარდა, მოედანზე სხვა დამსახურებული ადამიანებიც იყვნენ, ისინი, რომლებმაც ქართული ფეხბურთის ღირსება დაიცვეს და ჩვენი ქვეყანა ასახელეს. ერთი სიტყვით, ამ საიუბილეო მატჩში გამორჩეულები მონაწილეობდნენ. მწვრთნელებიც სახელიანი ჰყავდათ - „დინამოს" **რევაზ ძოძუაშვილის, ალექსანდრე ჩივაძისა** და **მურთაზ ხურცილავასგან** შემდგარი ტრიუმვირატი ხელმძღვანელობდა, აფხაზეთის ვეტერან ფეხბურთელთა კრებული კი **ნუგზარ ბოჯგუამ** და **ბონდო კაკუბავამ** დამოძღვრეს.

შეხვედრაში, რომელიც ამ ტიპის მატჩების დარად უხვგოლიანი გამოდგა, იუბილარმა სპეციალურად დამზადებული 60-ნომრიანი მაისურით ითამაშა. ამას გარდა, დიდმა მანუჩარმა დუბლი შეასრულა და ჰეთ-თრიკსაც გამოჰკრავდა, რომ არა მეკარე **ზურაბ ქვაჩახია**, რომელმაც მაჩაიძეს პენალტი აუღო.

მატჩის „მესამე ტაიმს" რაც შეეხება, ის მცხეთაში, რესტორან „არმაზში" შედგა. საიუბილეო ბანკეტზე აფხაზეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის თავკაცმა **მურად ანჯაფარიძემ** ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მანუჩარ მაჩაიძეს საპატიო სიგელი გადასცა. ტრადიცია არ დაარღვია **ჯამლეთ ხუხაშვილმა**, რომელმაც საჩუქრები დაარიგა, ხოლო საქართველოს მხატვართა კავშირმა მანუჩარ მაჩაიძე თავის რიგებში გააწევრიანა...

კიდევ არა ერთი იუბილე მიგვეღოცოს „დინამოს" ლეგენდარული კაპიტნისთვის!

**დინამო-აფხაზეთი 4:4**

0:1 ინალიშვილი (12), 0:2 მ. ჯიშკარიანი (14), 1:2 მ. მაჩაიძე (31), 1:3 მ. ჯიშკარიანი (53), 1:4 ინალიშვილი (67), 2:4 ჯოხაძე (69), 3:4 მ. მაჩაიძე (71), 4:4 სულაქველიძე (74)

დინამო: გაბელია, კეტაშვილი, ნემსაძე, ჩიქოვანი, მუჯირი, სულაქველიძე, კორღალიძე, ბარათაშვილი, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, სვანაძე. შეცვლაზე შევიდნენ: ნ. ჩხეიძე, ნ. ლობჟანიძე, ჯოხაძე, გოგიჩაიშვილი, ფირცხალავა, ჟვანია, ბ. მჭედლიშვილი.

აფხაზეთი: ჟორჟოლიანი, მ. ჯიშკარიანი, მალანია, გვაზავა, შელია, ფენდერავა, ცაავა, ინალიშვილი, გაბისკირია, ზ. ჯელაძე, სიჭინავა. შეცვლაზე შევიდნენ: ქვაჩახია, ხოშტარია, ქობალია, კაკულია, გ. ჯელაძე, გადელია, ბოხაშვილი.

დავით ცაბაძე

ეროვნული სტადიონი

# ახვლედიანმა შახოვი წარადგინა

შაბათს თბილისის ვიცე-მერმა **მამუკა ახვლედიანმა** საზოგადოებას **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის ახალი დირექტორი, **სანდრო შახოვი** წარუდგინა. აქამდე სტადიონს „დინამო ინვესტი" მართავდა, ამიერიდან კი იგი თბილისის მერიის განკარგულებაში გადავა.

**მამუკა ახვლედიანი:** *„გადავწყვიტეთ, ეროვნული სტადიონის მართვაში ჩავრეულიყავით. ჩვენი მთავარი მიზანი მისი დონის შენარჩუნებაა. თბილისის მერია ეროვნული სტადიონისთვის ყოველწლიურად 1 მილიონ ლარს გამოყოფს".*

**სანდრო შახოვი:** *„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეროვნული სტადიონი ყოველთვის წესრიგში იყოს. ჩავატარებთ სხვადასხვა სახის საინტერესო ღონისძიებებს. სასიხარულოა, რომ თბილისის მერია დახმარებას გაგვიწევს. დაგროვდა ბევრი პრობლემა და ეს თანხები მათ მოგვარებაში დაგვეხმარება".*

ლევან ჯანეზაშვილი



სანდრო შახოვი და მამუკა ახვლედიანი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სკანდალის შემდეგ

# ადვოკატმა ყველაფერი გაარკვია...

## თამაზ პერტიას წყალში გადაყრილი შრომა ენანება

ლატვიური „დინაბურგის" მწვრთნელი **თამაზ პერტია** დიდ შარში რომ გაეხვია, ამაზე უკვე ვწერდით. იქაური ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მას და კლუბის პრეზიდენტ **ოლეგ გავრილოვს** უმკაცრესი სასჯელი გამოუტანა - ლატვიურ ფეხბურთში საქმიანობა სამუდამოდ აუკრძალა. „დინაბურგი" უმაღლესი დივიზიონიდან ჩაწყობილ თამაშებში სისტემატური მონაწილეობის ბრალდებით მოკვეთეს. ლატვიური ფეხბურთის ჩინოსნები ამტკიცებენ - უეფა ფლობს დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რომ გავრილოვი და პერტია ტოტალიზატორში საკუთარ გუნდზე თამაშობდნენო.

გუშინ თამაზ პერტიამ სკანდალის მოულოდნელი განვითარების შესახებ გვამცნო: *„კლუბმა ევროპაში დაიქირავა ცნობილი ადვოკატი, რომელმაც დაადგინა, რომ უეფადან მოსული მასალები სინამდვილეში კერძო კომპანიამ შეაგროვა. ამ კომპანიას ფსონების გაკონტროლება შეუძლია. ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მსგავსად, მისი სამსახურით ისარგებლებს, მაგალითად, თბილისის „დინამო", ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა კომპანიის მიერ შედგენილი წერილის დასკვნა, რომ შესაძლოა, „დინაბურგი" მანიპულაციას ახდენდა - ლაპარაკია 10 ათასი ევროს ფსონზე. თუმცა იმას კი არ ამტკიცებდნენ, რომ „დინაბურგი" ნამდვილად თამაშობდა. ამ წერილთან უეფა არაფერ შუაშია, წერილი გამოგზავნილია არა ორგანიზაციის ბლანკიანი ქაღალდით, არამედ, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაქირავებული კომპანიის ფაქსის ნომრიდან. ჩვენმა იურისტმა ეს ყველაფერი კარგად დაადგინა. რაკი რეალურ ვითარებას გავეცანით, მას შემდეგ ერთი კვირა გავიდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გუნტის ინდრიქსონი ჩვენთან კონტაქტს ერიდება. ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, რაც რეალურად ხდებოდა - ლიგიდან პირადი ანგარიშსწორების გამო გაგვაგდეს. მომხდარმა ჩემზე საშინლად იმოქმედა. შარშან ორივე შეხვედრა 3:0 მოვუგეთ „სკონტოს", სადაც ლატვიის ნაკრების 8 წევრი თამაშობს. ხალხი „პატარა ძოძუაშვილს" მეძახდა, მართლა კარგი გუნდი ჩამოვაყალიბე, მწვრთნელობაში წარმატების მიღწევა მსურდა, სტაჟირების კურსებსა თუ სემინარებზე დასწრების შანსს ხელიდან არ ვუშვებდი. შარშან დეკემბერში, კახა კალაძის დახმარებით, ერთი კვირა სტაჟირებას „მილანში" გავდიოდი. გული მწყდება, რომ ამ ყველაფერს წყალში მიყრიან. თუმცა ვიმეორებ - დაგვაიმედეს, რომ მომავალი წლიდან უმაღლეს ლიგაში დაგვაბრუნებენ",* - გვითხრა პერტიამ.



თამაზ პერტია

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც ყველას გვტკივა...

# როგორ ვერ მიხვდა კუპერი, რომ დაცვის ცენტრი შესაცვლელია?!

**რა ეშველება საქართველოს ნაკრებს, შესაძლებელია თუ არა ამ ჭაობიდან ამოსვლა? ამ თემებზე აზრი ფეხბურთში გარკვეულ ხალხს ვკითხეთ...**



## რევაზ ძოძუაშვილი
### ქეცბაია დასახვრეტთა საკანში შედის

- მე კი ვხედავ გზას, როგორ უნდა ვუშველოთ ნაკრებს და დარწმუნებულიც ვარ, რომ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაც შეიძლება. მთავარია, ვის რა შეუძლია. თუმცა მე ვინ მეკითხება? ვის აინტერესებს ჩემი აზრი?

**- ბატონო რევაზ, თქვენი აზრი რომ გვაინტერესებს, ამიტომაც დაგიკავშირდით. რას მიიჩნევთ ნაკრებისა და ზოგადად ქართული ფეხბურთის მთავარ პრობლემად?**

- თქვენ გინდათ, ამ კითხვას ორ წუთში ვუპასუხო? ამაზე ორი კვირაც რომ ვილაპარაკო, საკმარისი არ იქნება. შევიკრიბოთ ფეხბურთის სპეციალისტები, გავარჩიოთ რაც ხდება და დავსვათ დიაგნოზი, როგორ ვუმკურნალოთ ქართულ ფეხბურთს და არა მხოლოდ ნაკრებს. ცალკე აღებული, ნაკრებს არაფერიც არ ეშველება, თუ მთლიანად ქართულ ფეხბურთს არ ვუშველით. მხოლოდ მე თუ ვილაპარაკე, ისე გამოვა, თითქოს არა გულშემატკივარი, არამედ ერთი გაბრაზებული ადამიანი ვარ. ასეთი დამოკიდებულების ატანა ძნელია... ვნახავთ, რა ნაბიჯებს გადადგამს ზვიად სიჭინავა. არ მინდა, არჩევანში შეცდეს. აღარ არის იმის დრო, პირში წყალი ჩავიგუბოთ, რათა ვინმეს გული არ ვატკინოთ. მინისძვრას ცხოველები ტანით რომ გრძნობენ, ასე ვგრძნობ სულით, ხორცით და მთელი ჩემი არსებით იმ მოსალოდნელ კატასტროფას, რაც ქართულ ფეხბურთს ელის. ამიტომაც მოვუწოდებ ფეხბურთის სპეციალისტებს - შევიკრიბოთ და გულახდილად ვიმსჯელოთ. გარწმუნებთ, დღევანდელზე კიდევ უფრო საშინელი კატასტროფა გველის, თუ ასე არხეინად ვიქნებით. კი, მაგრამ უცხოელებმა შექმნეს ქართული ფეხბურთი? არ გახსოვთ, გიგა ნორაკიძე რა პირობებში მუშაობდა? ამის მიუხედავად, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნაკრები ჰყავდა. მილიონებს გვიხდიდნენ ჩივაძეს, ყიფიანს, მე და გუცაევს? ამის მიუხედავად, გაცილებით უკეთესი გუნდები გვყავდა...

**- როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ნაკრების მთავარი პრობლემა მოთამაშეთა დაბალი კლასი თუ საქმისადმი არაპროფესიული დამოკიდებულებაა?**

- ყველაფერი ერთად! გუნდი იმ ჭირიანი კაცივითაა, ყოველდღე ავადმყოფობა რომ ემატება. ეს ყველაფერი ერთადაა სამკურნალო - კლასიც, მენტალიტეტიც და საქმისადმი დამოკიდებულებაც.

**- ექტორ კუპერის საქმიანობაზე რას ფიქრობთ?**

- მიკვირს, როგორ ვერ მიხვდა, რომ დაცვის ცენტრია შესაცვლელი, ნახევარდაცვა კი გასაძლიერებელი? არ არის კალაძე ფორმაში და მაინც ჯიუტად აყენებს. ამას ცოდნა სჭირდება? ასათიანი დაიკარგა და მეშინია, ახლა კალაძეც არ დავკარგოთ. ვინ თქვა, რომ ფეხბურთელები არ გვყავს? მთავარია, ვინ და რა კუთხით შეხედავს მათ და როგორ გამოიყენებს. სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს სულერთი იყოს, ნაკრებში უცხოელ მწვრთნელს დანიშნავენ თუ ქართველს. როგორ არ აქვს მნიშვნელობა?! მწვრთნელი იქიდან გამომდინარე უნდა ვეძებოთ, თუ ვინ როგორ იცნობს ქართულ ხასიათსა და ფეხბურთს. ტოპმიოლერი და კუპერი ძლიერი მწვრთნელები რომ ყოფილიყვნენ, მათ დანიშვნას გერმანელებს დავასწრებდით თუ არგენტინელებს? უნდა ვიცოდეთ, რომ ქართულ ფეხბურთში ბევრი მუწუკია მოსაშორებელი. ახლა თემურ ქეცბაიას დანიშვნაზეა ლაპარაკი. მისი მხრიდან თანხმობა დიდი რისკია. თემური ახლა დასახვრეტთა კამერაში შესასვლელად გამზადებული პატიმარივითაა, რადგან ძალიან მცირე შანსია, რომ შეიწყალონ. მას უმძიმესი ხვედრი ერგო და თავი უნდა გაართვას, თორემ მოგეხსენებათ, როგორ ვიცით ქართველებმა ჩვენიანის გამეტება?

## კახა გოგიჩაიშვილი
### თაობამ თავი ამოწურა!

- საქართველოს ნაკრებს რა სჭირს, მე კი არა, ვერავინ გაიგო. ალბათ, ყველაფერი ერთად სჭირს. საიდან დავიწყო?

**- საიდანაც გნებავთ...**

- ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი პრობლემა უპასუხისმგებლობაა. მწვრთნელებით დაწყებული, ფეხბურთელებით დასრულებული, ეს ყველას ეტყობა. ჩვენ ვიმკით იმ უსამართლობის შედეგს, რაც 2005 წლის და შემდგომ არჩევნებში მოხდა. ვერც მწვრთნელებმა გაამართლეს და ფეხბურთელებიც არა გვყავს. ძველი თაობის მოთამაშეებმა შესაძლებლობები ამოწურეს, ახალ თაობას კი ნაკრების გაძლიერება არ შეუძლია. კუპერს ერთში ვეთანხმები - ვისაც თამაში შეუძლია, ძალას ზოგავს და ვინც იბრძვის, სანაკრებო დონეზე გამოსვლა უჭირს. მეორე პრობლემაა ბევრი საჭირო მოთამაშის იგნორირება - ასათიანი, სალუქვაძე, კვირკველია, გოგუა, ხოჯავა, ალადაშვილი, ამისულაშვილი, კანდელაკი, შაშიაშვილი... ვფიქრობ, ისინი ნაკრებში უნდა იყონ. ძალიან კი მინდა, ჩვენი ჩემპიონატი მაღალი დონის იყოს, მაგრამ აქაური ფეხბურთელების დონე ნაკრებისთვის საკმარისი არ არის. დაბალი დონის ჩემპიონატი ცალკე თემაა. ჩვენი უბედურებაა, რომ მოთამაშეები ვერ იზრდებიან და ნაკრებში კვალიფიციურ შემსრულებელთა კატასტროფული დეფიციტია.

**- თქვენი აზრით, რატომ ვერ მოერგო ექტორ კუპერი საქართველოს?**

- იმიტომ, რომ ქართველი კაცის ბუნება ვერ ამოხსნა. ქართველს თუ ვერ გაუგე, ძნელია, მისთვის შესაფერისი სტილის შერჩევა. საერთოდ, ბოლო წლებში რაც მოხდა, ამის შედეგად ბევრი რამ შეიცვალა და აშკარაა უდიდესი რეგრესი. მსგავსი ჩავარდნა ქართული ფეხბურთის ისტორიაში არასდროს ყოფილა. სამწუხაროდ, თვალსაწიერ მომავალში პოზიტიურ პერსპექტივას ვერ ვხედავ. ყველაფერი ნულიდანაა დასაწყები. შემდეგ ციკლში წარმატებაზე ფიქრიც სასაცილოა. იმის შემდგომი ციკლისთვის უნდა მოვემზადოთ და იქნებ, ახალი გუნდი ამის შემდეგ მაინც ავაშენოთ. თუ ნაკრებს თემურ ქეცბაია ჩაიბარებს, უმძიმესი სამუშაო ელის. თუმცა მას არ გამოეპარება ის, რასაც კუპერი ვერ ხვდებოდა. თემური ყველაფერში კარგად ერკვევა და ესაა მისი უპირატესობა.



## თენგიზ სულაქველიძე
### ბირთვი ლეგიონერებისგან უნდა შედგეს!



- ბულგარეთში იყო ნამდვილი კატასტროფა. როგორ შეიძლება, ასეთი ნაკრები გვყავდეს, რომელსაც მეტ-ნაკლებად მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს? დარწმუნებული ვარ, გაცილებით ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება დღესვე შეიძლება.

**- როგორ?**

- როგორ და, ნაკრებში მხოლოდ ღირსეულების გამოძახებით. შეიძლება რუსეთში მოთამაშე უამრავი ფეხბურთელის იგნორირება? მთელი გულით ვგულშემატკივრობ ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს, მაგრამ ვაღიაროთ, რომ მათი მომზადების დონე სანაკრებო მოთხოვნებს ჯერჯერობით არ შეესაბამება. ამიტომ, მე აქცენტს ლეგიონერებზე გავაკეთებდი, ეროვნულ პირველობაზე გამორჩეული ორიოდე ფეხბურთელი კი ნაკრებში ისედაც მოხვდება.

**- კონკრეტული ფეხბურთელი დაგვისახელეთ, რომელიც ნაკრებს სჭირდება?**

- მაგალითად, მარცვალაძის არგამოძახება დანაშაულია. იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ ოთარი ჩემი სკოლის აღზრდილია. კუპერმა ჩვენი ნაკრების თამაშები რომ ნახა, პირველად მარცვალაძეზე თქვა, ეს ფეხბურთელი აუცილებლად მჭირდებაო. ნუთუ, უინტერესო ფეხბურთელია „ანჟის" მოთამაშე ზურაბ არზიანი, როცა საყრდენი ნახევარმცველების კატასტროფული დეფიციტი გვაქვს? გავსინჯოთ მაინც და თუ არ აღმოჩნდება ნაკრების დონის, აღარ მოვიწვიოთ. კი, მაგრამ რა უდგას წინ გასინჯვას?! არ მესმის, თუნდაც გოგიტა გოგუასადმი დამოკიდებულება - ბიჭი მოედანზე თავს იკლავს, რაც ასე აკლია ამ ნაკრებს და ყურადღებასაც არ აქცევენ. უდიდესი დანაშაულია მალხაზ ასათიანის გამოუძახებლობაც, დააყენებ კაცს დაცვის ცენტრშიც და საყრდენადაც, ყველა დავალებას ხუთიანზე შეგისრულებს, მაგრამ აითვალწუნა. რომელი ერთი გავიხსენო? - დათო კვირკველია, ლაშა სალუქვაძე... უნიჭიერესია გოჩა ხოჯავა, კახა ალადაშვილი, სანდრო იაშვილი, ლევან გვაზავა... ამ ბიჭებისგან ცალკე გაცილებით ძლიერი ნაკრები ჩამოყალიბდება. სად გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ასეთ ფეხბურთელებზე უარი ვთქვათ?

**- თქვენი აზრით, რატომ არ იწვევდა მათ კუპერი? ისე, ზოგიერთი მათგანი რუსეთის მოქალაქეა. იგივე მარცვალაძე საკუთარი ნებით არ ჩამოვიდაო, ასე გვითხრეს...**

- მეეჭვება, მარცვალაძე არ ჩამოსულიყო. აქ სხვა პრობლემასთან გვქონდა საქმე, თორემ ოთარი ჩემს ხელშია გაზრდილი და ცხოვრებაში მსგავსი რამ არ გაუკეთებია. იმავე რუსეთის მოქალაქეობის მქონე ქართველების ჩამოყვანაც არ არის პრობლემა. ისიც გასარკვევია, ფეხბურთელებს თავად კუპერი იძახებდა თუ ვიღაც სხვა? საიდან იღებდა ინფორმაციებს ამა თუ იმ მოთამაშეზე, ვიღაც ხომ არ ერეოდა მის საქმეებში? იმედია, ახლა მაინც დალაგდება ვითარება და საუკეთესოებს გამოიძახებენ.

## ვახტანგ ძორიძე
### არ უნდათ ამათ თამაში!

- ვფიქრობ, აქ ორი ვარიანტია - ან ფეხბურთელები არა გვყავს, ან თამაში არ უნდათ.

**- უფრო რომელი ვარიანტისკენ იხრებით?**

- მგონი, თამაში არ უნდათ. ისე აგებენ თამაშებს, თითქოს არც არაფერი მომხდარა, არ ეტყობათ სინანული, გულისტკივილი... ასე უსისხლოდ მოედნიდან როგორ უნდა გახვიდე?!

**- და რატომ არ უნდათ თამაში? რატომ ა რინდომებენ?**

- მერწმუნეთ, ჩემთვის და ჩემი თაობის ფეხბურთელებისთვის ამის გაგება შეუძლებელია. მიკვირს, როგორ შედგა ასეთი საშინელი ნაკრები საკმაოდ ძლიერ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებისგან? თამაში თუ არ იციან, იმ კლუბებში როგორღა მოხვდნენ ან როგორღა თამაშობენ?!

**- ამიტომაც დაუსვეს კუპერს ბულგარეთში ასეთი კითხვა - ფეხბურთელები საბოტაჟს ხომ არ გიწყობენო? თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- არა მგონია, საბოტაჟს გამოვრიცხავ, საკუთარი თავის მტრები ხომ არ არიან? თბილისში მოუწევთ ჩამოსვლა, ჩვენთან კი სტადიონზე ხალხი ყოველთვის დადის და იციან, რა რეაქციაც ექნება გულშემატკივარს. ამაზე ხომ ფიქრობენ? უბრალოდ, მგონია, ამათ არაფერი აინტერესებთ. თამაშები როგორ არ წაგვიგია, მაგრამ ხალხს ტაში დაუკრავს, ამათ კი არანაირი ჟინი არ ეტყობათ. შეიძლება, ყველამ ასე უბრძოლველად გვაჯობოს? მეორე საკითხია მწვრთნელის დამოკიდებულება: არ მესმის, ასე როგორ დაიბოლმა კუპერი ასათიანზე? ასეთი ვინ რა უთხრა, რომ ვერ აპატია? შეცდა ფეხბურთელი? კი ბატონო, ასწავლე ჭკუა, მაგრამ გამოიყენე, კაცს დაცვაშიც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც. ვინ მისცა ნაკრების მწვრთნელს იმის უფლება, რომელიმე ფეხბურთელს ხაზი გადაუსვას, ჩვენ ბრაზილია კი არ ვართ?!

მერაბ მამულაშვილი



ლეგიონის უქმეები

# ჯანოს რუსული რეკორდი: 17 წლისა და 8 დღის მეგოლე

## დვალიშვილის დუბლი აღთქმულ მიწაზე



ჯანო ანანიძე

**ჯანო ანანიძემ** რამდენიმე უნიკალური რეკორდით დაიმკვიდრა ადგილი, ის საქართველოს ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ნევრია, ჯანო ერთადერთია ქართულ ფეხბურთში, რომელსაც დებიუტი ჯერ ეროვნულ ნაკრებში ჰქონდა, შემდეგ ახალგაზრდულში და ბოლოს 19-წლამდელებში. გუშინ ჯანო რუსული პრემიერლიგის ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე შეიქმნა - 17 წლის და 8 დღის ასაკში ქართველმა შეაგდო, აქამდე რეკორდი **ალექსანდრ სალუგინს** (ცსკა) ეკუთვნოდა - 17 წელი და 27 დღე. ჯანომ გაიტანა, თან სად, ვის წინააღმდეგ და როგორ!

მოკლედ, ლეგიონის უქმეების გმირი უდავოდ ანანიძეა, რომელმაც „ლუჟნიკებზე" 37 ათასი გულშემატკივრის თვალწინ მოსკოვურ დერბიში, „ლოკომოტივის" კარში მე-40 წუთზე თავით (170 სმ) გაიტანა. მატჩს „სპარტაკისთვის" უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, **ვალერი კარპინმა** კი გარისკა და 19-წლამდელთა მატჩებიდან (სადაც ჯანომ ჩერნოგორიის ნაკრებს გაუტანა) დაბრუნებული ქართველი სასტარტო შემადგენლობაში მარცხენა ფლანგზე დააყენა. მე-17 წუთზე მას ნიგერიელი **პიტერ ოდემვინგიე** უკიდურესად ეუხეშა, მაგრამ მსაჯმა ლოკომოტიველი დაინდო და მხოლოდ ყვითელი ბარათი მისცა. მე-40 წუთზე ჯანომ **ბაჟენოვის** ჩაწოდება გამოიყენა, მან შორეული ძელიდან მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა. მე-60 წუთზე „სპარტაკში" ცვლილება განხორციელდა, რომლის წყალობითაც ჯანოს მოედნის შუაგულში გაუთავისუფლდა ადგილი და ახალმა პლეიმეიკერმა სულ რაღაც 3 წუთში პირველი საგოლე პასი გააკეთა - ბრაზილიელ **ველიტონს** გაატანინა. საბოლოოდ „სპარტაკმა" 3:0 გაანადგურა „ლოკომოტივი", რომლის რიგებშიც 90 წუთი ითამაშა **მალხაზ ასათიანმა**, კვლავ არსად ჩანს **დავით მუჯირი**.

ანანიძე კარიერაში მეორედ თამაშობდა რუსულ პრემიერლიგაში ძირითად შემადგენლობაში (სულ მეხუთედ). „სპორტს რუმ" მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ჯანო ანანიძე დაასახელა 7.0 შეფასებით. *„სპარტაკის" მარცხენა ნახევარმცველი თავიდანვე მონდომებული იყო, ბოლომდე იბრძოდა და ვარდნებს არ ერიდებოდა. შემდეგ ჯანომ შეტევებში გადართო თავისი ენერგია, უმაგრესი პასი მისცა ალექსს, ერთხელ დაარტყა შორეულ კუთხეში, ბოლოს კი გოლიც გაიტანა. მეორე ტაიმში, გრეგორიევის გამოსვლით მოედნის ცენტრში გადაინაცვლა და ეგრევე გაამწვავა თამაში. ჯერ თავად გაიარა ნახევარი მოედანი, მაგრამ ააცილა, შემდეგ ველიტონი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ბოლოსკენ, ცოტა ნერვიულობა შეეტყო, ხშირად უზუსტო პასებს არიგებდა, მაგრამ მატჩის გმირი მაინც უდავოდ ჯანოა".*

მალხაზ ასათიანმა თამაშის შემდეგ შეაქო თანამემამულე: *„ის დღეს ისეთ პასებს იძლეოდა, ისე ბრწყინვალედ თამაშობდა, რომ შექებას იმსახურებს. მატჩის დამთავრების მერე მივედი და პირადად მივულოცე წარმატება". „ჯანომ თავისი ძალა აჩვენა. ის ხშირად არ თამაშობს ჯერჯერობით სასტარტო შემადგენლობაში, დღეს მისი საუკეთესო მატჩი იყო"*, - განაცხადა ვალერი კარპინმა.

მოსკოვის „სპარტაკი" აგრძელებს ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისათვის, ანანიძის გუნდი 49 ქულით მეორე ადგილზეა და ჩემპიონ „რუბინს" ქულით ჩამორჩება. პრემიერლიგის დასრულებამდე ჯერ კიდევ 5 ტურია. „რუბინმა" შაბათს „ხიმკი" 2:1 დაამარცხა. დიდი ხნის პაუზის შემდეგ ძირითად გუნდს **დავით კვირკველია** დაუბრუნდა, მან ივლისში „ზენიტთან" მიღებული წითელი ბარათის შემდეგ პირველად ითამაშა და მოედანზე 90 წუთი დაყო (5,5 ბალი „ჩემპიონატისგან"), **ლაშა სალუქვაძეს** და **ნუკრი რევიშვილს** არ უთამაშიათ.

ტურში კიდევ ერთი ქართული გოლი გავიდა, ნალჩიკში ცსკა-ს **ალექსანდრე ამისულაშვილმა** გაუტანა. მატჩის 26-ე წუთზე საჯარიმოში ჩაწოდებისას მოსკოველებს ამისულაშვილი გაეპარათ, რომელმაც ტექნიკურად აჯობა **აკინფეევს**. მან გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასება (6,5) მიიღო, მატჩი კი 1:1 დასრულდა. ამისულაშვილმა სეზონში პირველი გოლი გაიტანა. არ უთამაშია მასპინძელთა ფორვარდ **დავით სირაძეს**. „სპარტაკი" 25 ქულით მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონას მხოლოდ 2 ქულით უსწრებს. გროზნოს „ტერეკმა" ქართველთა გარეშე (**გოგიტა გოგუა, ლევან გვაზავა**) წააგო „როსტოვთან" - 1:3. „ტერეკი" 33 ქულით მე-9 ადგილზეა.

ბუნდესლიგაში 20 წლის **დავით თარგამაძემ** მეორედ ითამაშა, თანაც ამჯერად „ბაიერნის"წინააღმდეგ, ქართველმა ნახევარმცველმა 64-ე წუთზე შეცვალა **შუსტერი**. „შპორტალმა" ფრაიბურგელს 4,5 ბალი შეფასება დაუწერა:

*„მეორე გაშვებული გოლისას მარცხენა ფლანგზე სრულიად უმიზეზოდ დაკარგა ბურთი. წინ არაფერი გაუკეთებია. თუმცა ეს მისი პირველი სერიოზული მატჩია ბუნდესლიგაში".*

„ფრაიბურგი" 1:2 დამარცხდა „ბაიერნთან". „შალკემ" „შტუტგარტი" მისსავე მოედანზე 2:1 დაამარცხა. **ფელიქს მაგათმა** ზედიზედ 4 შანსის მიცემის შემდეგ **ლევან ყენია** სათადარიგოთა სკამზე დასვა, ლევანმა **ივან რაკიტიჩი** 64-ე წუთზე შეცვალა. **ლევან კობიაშვილი** კი უკვე აღარ მოაიაზრება მაგათის ფორმაციის „შალკეს" ძირითადი გუნდის ფეხბურთელად, ის განაცხადშიც არ ყოფილა. „შპორტალმა" ყენიას 3,5 ბალი დაუწერა. „შალკე" 19 ქულით მესამეა, „ფრაიბურგი" 10 ქულით - მე-11.

ბოლო დროს „მიუნხენში" აღარ ენდობიან **მათე ღვინიანიძეს**, „დუისბურგთან" 3:1 მოგებულ მატჩში მათე „ლომთა" სათადარიგოთა სკამზე იჯდა. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" „აუგსბურგს" ენვია და 1:1 დაუზავდა. შეგახსენებთ, რომ „აუგსბურგში" **ოთარ ხიზანეიშვილი** ირიცხება (მაგრამ არ თამაშობს). „კარლსრუეს" ქართველი კაპიტანი 89-ე წუთზე შეცვალეს. „შპორტალმა" იაშვილის თამაში 3,5 ქულით შეაფასა. „მიუნხენი" 11 ქულით მე-11-ეა, ხოლო „კარლსრუე" ამდენივე ქულით - მე-13.



მალხაზ ასათიანი (№30)




ალექსანდრე იაშვილი

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** „რომასთან" მატჩის (2:1) განაცხადშიც ვერ მოხვდა. ტრავმის გამო გამოტოვა „ლივორნოსთან" მატჩი (2:1) „პალერმოს" ფორვარდმა **ლევან მჭედლიძემ**. ინგლისურ ჩემპიონშიპში მარცხი იგემა **ზურაბ ხიზანიშვილის** „ნიუკასლმა", სტუმრად „ნოტინგემთან" 0:1 წააგო. ზურაბმა შეუცვლელად ითამაშა და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. „მირორმა" ქართველი მცველის თამაში 6 ბალით შეაფასა. საფრანგეთში, „ლე მანი"-„ბულონის" მატჩის (1:1) განაცხადში არ ყოფილა **გიორგი მაკარიძე**, კარში კვლავ ყოფილი დინამოელი **დიდიე ოვონო** იდგა.

ისრაელში მე-6 თამაშიც მოიგო **ლადო დვალიშვილის** „მაქაბიმ". ჰაიფელებმა სტუმრად ბეერ-შევას „ჰაპოელი" 3:1 დაამარცხეს და 18 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობენ გათამაშებას. ლადომ თავი დუბლით გამოიჩინა, მან ჯერ მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში, შემდეგ 65-ე წუთზე მას წერტილი დაუსვა. ეს საქართველოს ნაკრების ფორვარდის პირველი დუბლია ისრაელის ჩემპიონატში. 6 მატჩში ლადომ 5 გოლი გაიტანა. თელ-ავივის „ჰაპოელმა" 2:2 ითამაშა „აშდოდთან", **ზურაბ მენთეშაშვილი** სათადარიგო იყო. „ჰაპოელი" 9 ქულით მეექვსეა, მენთეშაშვილმა კი 4-ჯერ ითამაშა და ყოველთვის შეცვლაზე. ლეუმითლიგაში მორიგი გოლი გაიტანა **კოკა მიკუჩაძემ**.

გუშინ ავსტრიულ ბუნდესლიგაში **ილია კანდელაკის** „შტურმმა" 1:0 მოუგო ვენის „რაპიდს". კანდელაკმა 90 წუთი ითამაშა. „შტურმი" 20 ქულით მე-3 ადგილზეა. ჩეხეთში **დიმიტრი ტატანაშვილის** „კლადნომ" პრაღის „სლავიასთან" 0:2 წააგო. ქართველი ფორვარდი მე-60 წუთზე შეცვალეს. „კლადნო" 11 ქულით გამბრინუსლიგაში მე-12 ადგილზეა. საბერძნეთში „ერგოტელისი" „არისს" 0:0 ეთამაშა, **გიორგი შაშიაშვილმა** 90 წუთი ითამაშა.

სლოვაკეთში ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში „ჟილინამ" შინ ბრატისლავის „სლოვანს" აჯობა 2:0 და ლიდერობაც ჩამოართვა. გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ციმაკურიძემ**, რომელმაც დაცვის მარჯვენა ფლანგზე უშეცდომოდ გაართვა თავი ამოცანას. იმ ფონზე, თუ რა სუსტად თამაშობს საქართველოს ნაკრების დაცვის ორივე ფლანგი, იქნებ, მწვრთნელებს საკმაოდ გამოცდილი ციმაკურიძეც ენახათ საქმეში? „რუჟომბეროკი" შინ „დუნაისკა სტრედას" დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **მამუკა ლომიძემ**. ქართველის გუნდი 13 ქულით მე-10 ადგილზეა.

უკრაინულ ვიშალიგაში მე-10 ტურის მატჩები გაიმართა. **ალექსანდრე კობახიძის** „კრივბასმა" 4:0 გაანადგურა „ზარია", ჩვენებურმა კი შეუცვლელად ითამაშა. ეს „კრივბასის" პირველი გამარჯვებაა და პირველივე დიდი ანგარიშით, სანდროს გუნდი მაინც ბოლო ადგილზეა 4 ქულით. დიდი ხნის უგუნდობის შემდეგ ფორვარდი **ირაკლი მოდებაძე** ისევ ზაპოროჟიეს „მეტალურგს" დაუბრუნდა, ის სათადარიგო იყო „დნიპროსთან" მატჩში (1:3). „კარპატი" **სანდრო გურულის** გარეშე ეწვია დონეცკს და „შახტართან" 1:5 შერცხვა. ხარკოვის „მეტალისტში" **ვახტანგ ფანცხავა** ირიცხება, თუმცა ის იშვიათად თამაშობს, ამჯერადაც ხარკოველები მის გარეშე დაუზავდნენ „ილიჩივეცს" - 2:2. ერთადერთი ქართველი, რომელმაც თავი გამოიჩინა უკრაინულ ტურში ვეტერანი ფორვარდი **ვასილ გიგიაძეა**, მისი „ტავრია" შინ 2:2 დაუზავდა კიევის „არსენალს", ქართველმა მე-60 წუთზე პენალტი გაიტანა და მასპინძლებს ქულა მოუტანა. სტუმართა რიგებში არ უთამაშია **ლაშა ჯაკობიას**. „ტავრია" 17 ქულით მე-6 ადგილზეა.

სხვა ჩემპიონატებიდან გოლით თავი გამოიჩინა **გიორგი სეთურიძემ** („სტანდარდი", აზერბაიჯანი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**იტალია** | **სერია A VIII ტური**

# 5:0 თუ ხუთი 1:0?

აი, ასეთი ამბავია - „ინტერმა“ გენუაში 5:0 მოიგო „ჯენოასთან“, იმ ქალაქში, სადაც 3 კვირის წინ „სამპდორიასთან“ 1:0 დათმო. „მარასიზე“ თამაში გრანდებისთვისაც რომ ჯოჯოხეთია, ეს ყველამ იცის და ახლახან იყო სწორედ, „იუვენტუსმა“ ნანვალები ქულა (2:2) რომ ნაილო, პირველ ტურში კი „რომა“ სულაც 2:3 დამარცხდა. თუმცა ისტორიასაც ხომ აქვს თავისი როლი. საქმე ისაა, „ინტერი“ „ჯენოასთან“ სტუმრად ბოლოს 1994/95 წლების სეზონში დამარცხდა...

ეს გამარჯვება კი რამდენიმე გარემოების გამოა აღსანიშნავი - ჯერ ერთი, რომ **ჟოზე მოურინიოს** ხელში „ინტერმა“ პირველად შეძლო ჩემპიონატში 5 გოლის გატანა, და მთავარიც, შეიძლება ითქვას, პარადოქსულიც კი - ლიდერს იმდენად სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა, მწვრთნელი იძულებული გახდა, თავდასხმაში ოდენ **ბალოტელი**, ხოლო მის უკან ნახევარმცველები - **სტანკოვიჩი** და **სნეიდერი** დაეყენებინა. ამ ტრიომ, ცხადია სხვებთან ერთად, ჩინებულად ითამაშა და წარმოიდგინეთ ახლა მოურინიოს მდგომარეობა, როცა გამოჯანმრთელებული **მილიტოსთვის, ეტო'ოსა** და **ტიაგო მოტასთვის** მოუწევს ძირითადში ადგილის გამონახვა. გამარჯვებულ შემადგენლობას ხომ არ ცვლიან...

ამოხსნილია „ინტერის“ შთამბეჭდავი გამარჯვების ერთ-ერთი საიდუმლო - ადრეული გოლი. მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ ეს გოლი ბალოტელიზე ფრიად საეჭვო ჯარიმას მოჰყვა. „დაზარალებულმა“ თავად ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც **კამბიასომ** მოუქნია ბურთს, რომელსაც გზად **მოდესტო** შეეხო, **ამელია** კი უძლური იყო.

სტუმარმა ხელში აილო თამაშის სადავეები და სტანკოვიჩს მცირე ინტერვალით ორჯერ შეეძლო გენუელთა მეკარის დამწუხრება. თურმე, არც ეს მომენტი იყო შორს. ბალოტელიმ ასისტენტის როლიდან შემსრულებლად გადაინაცვლა. 31-ე წუთზე მან **ძანეტის** მშვენიერი გადაცემა მიიღო, საჯარიმოში შეიჭრა და მახვილი კუთხიდან ზუსტად დაწცხო.

**ჯან პიერო გასპერინის** ამაყმა შეგირდებმა ყურები ჩამოყარეს, რითიც „ინტერმა“ ერთხელაც ისარგებლა და სტანკოვიჩმა პირველი ტაიმის ბოლოს (მეოთხე დამატებულ წუთზე!) გატანილი გოლით, ფაქტობრივად, დაამთავრა თამაში, თან რა გოლით! - ამელიამ უხეიროდ შეიყვანა ბურთი თამაშში და პირდაპირ მოედნის ცენტრში მდგომ სტანკოვიჩს „მიართვა“, ამანაც არც აცია, არც აცხელა და 54 მეტრიდან ბურთი კარში ჩაახვია - 3:0! საერთოდ, სერბი იმ საღამოს ბრწყინვალე იყო და აკი მოურინიომაც დააჯილდოვა აპლოდისმენტებით - ჟოზე კი ტყუილად ტაშს არავის დაუკრავს. თუმცა მოგვიანებით პრესკონფერენციაზე იტყვის, რომ თავისი ფეხბურთელებიდან ვერავის გამოყოფს...

სტანკოვიჩის გოლს აყალ-მაყალი მოჰყვა. მილანელთა ზეიმმა „ჯენოას“ სათადარიგოთა სკამი გაალიზიანა. მეკარე **სკარპიმ** „ინტერის“ მცველ **მაიკონზე** გაიწია. სიტუაცია მალევე დაშოშმინდა, სკარპის კი არბიტრმა **ემიდიო მორგანტიმ** წითელი ბარათი უჩვენა. შესაბამისად, მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ამელიას შემცვლელი არ ჰყავდა...

სამართლიანობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე გენუელმა **მილანეტომ** წესების სრული დაცვით გაიტანა გოლი, რომელიც არბიტრმა, ვითომდა თამაშგარის მოტივით, არ ჩათვალა...

რა შეიცვლებოდა, ეს გოლი რომ არ გაუქმებულიყო? მოდით, ახლა ამაზე მარჩიელობას ნუ დავიწყებთ, ფაქტი ისაა, რომ მეორე ტაიმი სრულ ფორმალობად იქცა. ნაქცეულ „ჯენოას“ კიდევ ორი „წიხლი“ მოხვდა - ჯერ **ვიეირასგან**, რომელმაც სნეიდერის ბრწყინვალე პასი გამოიყენა, ბოლოს კი მცველისგანაც - **მუნტარი** სამ გენუელს გაექცა და გადააწოდა მაიკონს, რომელსაც პრობლემა არ ჰქონია - 5:0!

გასპერინიმ შეცდომები აღიარა, თუმცა მარცხი ძირითადად პირველ გოლს გადააბრალა - ასეთ გუნდთან ასეთ ბურთს რომ გაუშვებ, მერე ძნელია იმ თამაშის იმგვარად აწყობა, როგორც გეგმავდიო. ბოლოს კი მწვრთნელმა ჯერ მოუბოდიშა ფანებს, ხოლო შემდეგ მადლობაც გადაუხადა მხარდაჭერისთვის. ასეც უნდა მოქცეულიყო - მიუხედავად კოშმარული მარცხისა, „მარასის“ პუბლიკა თავის კუმირებს ბოლომდე მხარში ედგა...

გახარებული მოურინიო კი თითქოს არაფერს იმჩნევდა: *„ავიღეთ 3 ქულა და მივდივართ სახლში, ეს არის და ეს, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ანგარიში? თანახმა ვარ, ეს 5:0 ხუთ 1:0-ზე გავცვალო... რაც შეეხება ეტო'ოსა და მილიტოს არყოფნას, არ ვამბობ, რომ მათ არ დავაყენებდი, ტრავმები რომ არ ჰქონოდათ, უბრალოდ, მათ გარეშე ჩვენ შევცვალეთ მოდელი - წინ გავამწესეთ ბალოტელი, რომელიც უკანაც იხევდა და ნახევარდაცვას ეხმარებოდა, ხოლო რგოლებს შუა მოქმედებდნენ სტანკოვიჩი და სნეიდერი. ვერავის გამოვყოფ, ჩემთვის მთავარია, რომ გუნდმა ითამაშა ძალიან, ძალიან კარგად! ახლა კი მხოლოდ 48 საათი (თამაში შაბათს იყო - რედ.) გვაქვს კიევის „დინამოსთან“ მატჩისთვის მოსამზადებლად“.*

ტურის კიდევ ერთი გამორჩეული მატჩი - „იუვენტუსმა“ და „ფიორენტინამ“ წვიმიან ტურინში ფრედ ითამაშეს და „ინტერს“ 4 ქულით დაშორდნენ. რა თქმა უნდა, ეს არ არის კატასტროფა, თუმცა **ჩირო ფერარას** ნამდვილად მოუწევს თავის შეწუხება იმაზე, თუ როგორ დაძლიოს კრიზისი. დიახ, კრიზისი, რომელიც აშკარაა - უკვე მეოთხე მატჩია (ჩემპიონთა ლიგიანად - მეხუთე), „იუვენტუსს“ არ მოუგია, შინ კი ზედიზედ მეორე პაექრობაში კარგავს ქულებს. ამ შემთხვევაში, ფრე უფრო ლოგიკური შედეგი გვგონია მატჩში, რომელშიც ორივე გუნდს აუარებელი ტექნიკური წუნი ჰქონდა...

გამოვყოთ რამდენიმე საყურადღებო დეტალი. მაგალითად ის, რომ **ამაურიმ** 8-თვიან საგოლე „გვალვას“ დაუსვა წერტილი მას მერე, რაც მე-19 წუთზე **გროსოს** დაბალ გადაცემას **ფრეის** კარში მიუჩინა ადგილი. აღსანიშნავია **სისოკოს** მოულოდნელი დაბრუნებაც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ, რაც ნახევარმცველმა პირველივე წუთზე სიმულაციისთვის მიღებული ყვითელი ბარათით აღნიშნა.

და კიდევ: „ფიორენტინას“ ნახევარდაცვაში ჰყავდა ორი ისეთი ფეხბურთელი, შარშან „იუვენტუსში“ რომ თამაშობდა - **მარკო მარკიონი** (ადრევე შეცვალეს ტრავმის გამო) და **კრისტიანო ძანეტი**. თავის მხრივ, ტურინელთა შორისაც იყო ერთი ექსფიორენტინელი და ისიც ნახევარმცველი - **ფელიპე მელო**. საერთო ჯამში, ვერც ამ ბიჭებმა და ვერც სხვებმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვეს. რაც შეეხება ფლორენციელთა გოლს, მე-5 წუთზე ის კლასიკური კონტრშეტევის შედეგად გავიდა - **იოვეტიჩი** წინ გაიჭრა და მშვენიერი გადაცემა გაუკეთა **ვარგასს**, რომელსაც **ბუფონის** ძლევა არ გასჭირვებია.

იმედგაცრუებულმა ფერარამ თამაში ასე შეაჯამა: *„ძალიან გვინდოდა მეტად ძლიერი და კარგად ორგანიზებული მეტოქის დამარცხება, თუმცა ვერ შევძელით და ბუნებრივია, კმაყოფილებიც ვერ ვიქნებით. თუმცა ვერც იმ ახირებას გავიზიარებ, თითქოს „იუვენტუსმა“ ყველა თამაში უნდა მოიგოს... მეორე ტაიმში დაღლილები ვჩანდით, რაც სანაკრებო მატჩების ბრალია“.*

ფერარა გასაგებია, მაგრამ მის ვიზავისაც მეტი წდომებია. აი, რა თქვა **ჩეზარე პრანდელიმ** ნამატჩევს: *„საკმარისია თუ არა ეს ქულა? ვიტყოდი, რომ არ არის საკმარისი, გამომდინარე იქიდან, რა თამაშიც ვაჩვენეთ ძალზე რთულ მეტეოპირობებში. ჩვენ მუდმივად წინ მივიწევდით, ბიჭებს გოლი და გამარჯვება სწყუროდათ, მაგრამ არ გამოვიდა და ამიტომაც სხედან მოწყენილები გასახდელში“.*

„მილანმა“ სამმატჩიანი მოუგებელი სერია კვირა ღამეს „რომასთან“ თამაშში შეწყვიტა. სასწორზე იდო **ლეონარდოს** სკამი, რომელიც წაგების შემთხვევაში დიდი ალბათობით ამოყირავდებოდა. მაგრამ „როსონერის“ მწვრთნელი გადაარჩინა... არბიტრმა **რობერტო როზეტიმ**, რომელმაც „ჯალოროსის“ კარში პენალტი გამოიგონა. ეპიზოდი, როცა ნესტა მოცელილივით დაენარცხა გაზონზე და უმალ როზეტისკენ გააპარა მზერა (ამგვარი ვარდნის შემდეგ ფეხბურთელებს ძლივს ასულიერებენ ხოლმე), ალბათ სპეციალური განხილვის საგანი გახდება. თუმცა ამით „რომას“ რა?

ტურის სხვა თამაშებიდან მნიშვნელოვანია „ატალანტასა“ და „კატანიას“ პირველი 3-3 ქულა. **ვალტერ მაძარის** კი „ნაპოლიში“ წარმატებული დებიუტი უნდა მივულოცოთ - „პარტენოპეიმ“ უაღრესად დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა „ბოლონია“, რომელიც „სან პაოლოზე“ საათზე მეტხანს იგებდა. საინტერესო თამაში გამოდგა „ლაციოსა“ და ერთ-ერთ ლიდერ „სამპდორიას“ შორის - 1:1. თითო გოლის გარდა, გუნდებმა თითო გაძევებასაც გამოჰკრეს ხელი. მასპინძლებს პრეტენზია ჰქონდათ პაცინის გოლთან დაკავშირებით - აქაოდა, ვიდრე სამპდორიელი გადამწყვეტ დარტყმას შეასრულებდა, მისმა თანაგუნდელმა **კასანომ** (საგოლე შეტევაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა) ხელით გაისწორა ბურთი და არბიტრს შეტევა უნდა გაეჩერებინაო. თავის მხრივ, „სამპდორია“ ორ პენალტს ითხოვდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**









სტანკოვიჩის სუპერგოლი ჯენოას კარში

**მომდევნო ტური**

24 ოქტომბერი. სამპდორია-ბოლონია, ინტერი-კატანია. 25 ოქტომბერი. კალიარი-ჯენოა, პალერმო-უდინეზე, ბარი-ლაციო, რომა-ლივორნო, ატალანტა-პარმა, ფიორენტინა-ნაპოლი, სიენა-იუვენტუსი, კიევო-მილანი.

### იუვენტუსი-ფიორენტინა 1:1

**იუვენტუსი:** ბუფონი 6.5 - გრიგერა 4.5, ფ. კანავარო 6, კიელინი 6, გროსო 6 - სისოკო 6.5 (69. კამორანეზი 5.5), ფელიპე მელო 5.5, პოულსენი 6.5 - დიეგო 5 (83. ტრეზეგე) - ამაური 5.5, იაკვინტა 5 (80. დე ჩელიე).

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 6.5 - კომოტო 5.5, დაინელი 6, გამბერინი 6, გობი 6 - კ. ძანეტი 6, მონტოლივო 6 - მარკიონი 5 (24. სანტანა 5), იოვეტიჩი 6 (68. მუტუ 6), ვარგასი 6.5 (72. პასკუალი 6) - ჯილარდინო 5.5.

**გოლები:** 0:1 ვარგასი (5), 1:1 ამაური (19)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-9; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 17-18 (7-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 27 941

### ჯენოა-ინტერი 0:5

**ჯენოა:** ამელია 5 - ბიავა 5, მორეტი 5, ბოკეტი 6 - პაპასტატოპულოსი 4.5 (69. ტომოვიჩი), მილანეტო 5, საპატერი 4, მოდესტო 4.5 - სკული 5 (61. პალასიო), ფლოკარი 5 (61. კრესპო), პალადინო 6.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - მაიკონი 7, ლუსიო 6.5, სამუელი 7.5 (77. კორდობა), კივუ 6.5 - ხ. ძანეტი 7, კამბიასო 7 (46. ვიეირა 7), მუნტარი 6.5 - სტანკოვიჩი 8.5, სნეიდერი 7.5 (73. მანსინი), ბალოტელი 8.5.

**გოლები:** 0:1 კამბიასო (6), 0:2 ბალოტელი (31), 0:3 სტანკოვიჩი (45), 0:4 ვიეირა (66), 0:5 მაიკონი (71)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 16-17 (2-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 36 689

### ლაციო-სამპდორია 1:1

**ლაციო:** მუსლერა 7 - სივილია 6.5 (85. ლიხტშტაინერი), დიაკიტე 6, კრიბარი 5.5, კოლაროვი 6.5 - ბარონიო 6, ბროკი 6, მაური 6.5 - მათუსალემი 7 (80. დაბო) - როკი 5 (80. კრუსი 5.5), სარატე 6.5.

**სამპდორია:** კასტელაცი 7 - სტანკევიჩუსი 5.5, ლუკინი 6, მ. როსი 6.5, ციგლერი 6.5 - პადალინო 5, პოლი 6.5 (60. ძაური 6), პალომბო 6.5, მანინი 6.5 - კასანო 5.5, პაცინი 7 (88. პოცი).

**გოლები:** 0:1 პაცინი (40), 1:1 მათუსალემი (42)

**გაძევება:** პადალინო (55. სამპდორია), ბარონიო (73. ლაციო)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 22-18; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 20-16 (7-9); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 33 900

### უდინეზე-ატალანტა 1:3

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 5.5 - ბაშტა 5, კოდა 5.5, დომიცი 5, ლუკოვიჩი 5.5 (73. პასკუალე 5.5) - ინლერი 6, დ'აგოსტინო 5.5, ლოდი 6.5 (67. დი ნატალე 6) - პეპე 6.5, სანჩესი 6, კორადი 5.

**ატალანტა:** კონსილი 6.5 - დარიჩი 6.5, პელეგრინო 6, პელუზო 6, ბელინი 6.5 - პადოინი 6.5, დე აშენტისი 7.5 (78. კაზერტა), გუარენტე 6.5 - ხ. ვალდესი 7 (90. მადონა), კ. დონი 6.5 - ტირიბოკი 7 (81. ჩერავოლო).

**გოლები:** 0:1 ტირიბოკი (3), 1:1 ლოდი (7), 1:2 ხ. ვალდესი (70), 1:3 დე აშენტისი (73)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 14-0; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 20-12 (5-5); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 15 000

### ლივორნო-პალერმო 1:2

**ლივორნო:** დე ლუჩია 5.5 - პერტიკონე 5, რივასი 5.5 (44. კანდრევა 7), მილიონიკო 5.5, რაიმონდი 6.5 - მორო 6, ბერგვოლდი 6.5, პიერი 6, პულცეტი 6.5 (83. ჩელერინო) - ტავანო 6 (46. დანილევიჩუსი 6.5), ლუკარელი 5.5.

**პალერმო:** რუბინიო 6.5 - კიაერი 6.5, ბოვო 6, მილიაჩო 6.5 - კასანი 6.5, სიმპლისიუ 6 (82. ბერტოლო), ბალცარეტი 6.5, პასტორე 5.5 (47. ნოჩერინო 6), ბრეშანო 6 - კავანი 6 (61. სუჩი 6), მიკოლი 7.

**გოლები:** 1:0 დანილევიჩუსი (54), 1:1 მიკოლი (56), 1:2 ბალცარეტი (81)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-0; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 17-8 (4-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 10 400

### ნაპოლი-ბოლონია 2:1

**ნაპოლი:** დე სანქტისი 7 - კამპანიარო 6.5 (79. პია), პ. კანავარო 6.5, კონტინი 6.5 - მაჯო 6.5, ჰამშიკი 6, გარგანო 5.5, დატოლო 5.5 (46. პაციენცა 6.5), არონიკა 5.5 - კვალიარელა 6.5, ლავეცი 7 (90. რინაუდო).

**ბოლონია:** ვივიანო 7 - კ. ძენონი 6, პორტანოვა 6.5, ბრიტოსი 7, ლანა 6 - ვალიანი 6.5 (90. ოსვალდო), გუანა 6.5, მინგაცინი 6 (67. მუდინგაი 6), ადაილტონი (55. ჯაკ. ტედესკო 5.5) - დი ვაიო 5.5, სალაიეტა 5.5.

**გოლები:** 0:1 ადაილტონი (16), 1:1 კვალიარელა (72), 2:1 ჰამშიკი (90)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 20-8 (6-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 34 336

### კიევო-ბარი 1:2

**კიევო:** სორენტინო 6 - ნ. ფრეი 5.5, მორერო 5.5 (80. არიატი 6), იეპესი 6, მანტოვანი 5.5 - იორი 5.5 (71. ბენტივოლიო 6), ლუსიანო 6, მარკოლინი 5.5, პინცი 5.5 - პელისიერი 5, გრანოკე 5.5 (64. ბოგდანი 6.5).

**ბარი:** ჟილე 6.5 - ა. მაზიელო 6, რანოკია 7, ბონუჩი 6.5, ს. მაზიელო 6 - ალვარესი 6.5, დონატი 6, ალმირონი 7 (71. დე ვეცე 6), ალეგრეტი 6 (55. ლანჯელა 6.5) - მეჯორინი 5.5, ბარეტო 6 (64. კუტუზოვი 6.5).

**გოლები:** 0:1 ალმირონი (3), 0:2 რანოკია (65), 1:2 ბოგდანი (82)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 19-23; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 25-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 11 050

### პარმა-სიენა 1:0

**პარმა:** მირანტე 6.5 - ძაკარდო 6, პანუჩი 6, ა. ლუკარელი 5.5 - დ. ძენონი 6, ჯემაილი 6.5 (77. ლუნარდინი), მორონე 6.5, გალოპა 6.5, კასტელინი 6 - ბოჟინოვი 6.5 (64. პალოსკი 5), ამორუზო 6.

**სიენა:** კურჩი 6.5 - როზი 5.5 (81. კალაიო), ტერცი 5, ბრანდაუ 5, დელ გროსო 6 - კოდრეა 6 (62. ეკდალი 6), ვერგასოლა 5.5, ფინი 4 - ჟენევიე 5 (46. იაიალო 5.5) - გეზალი 6, მაკარონე 5.5.

**გოლი:** 1:0 ბოჟინოვი (5)

**გაძევება:** ფინი (34. სიენა)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 9-1; **კარში დარტყმა:** 20-7 (9-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 12 000

### კატანია-კალიარი 2:1

**კატანია:** კამპანიოლო 6 - პოტენცა 6, აუგუსტინი 5, სილვესტრე 5.5, მარკეზე 6 - იცკო 6, კარბონი 6.5, ლამა 6.5 (63. ბიაჯანტი 6), რიკოუტი 6 (77. პეშე) - მასკარა 6.5 (57. მორიმოტო 6.5), მარტინესი 7.

**კალიარი:** მარკეტი 5 - მარძორატი 6.5 (89. ნენე), ასტორი 5, კანინი 6, აგოსტინი 5 - კონტი 6, დესენა 7.5, ლაძარი 4.5, კოსუ 6 (67. ბიონდინი) - მატრი 5.5 (90. ბარონე), ჟედა 5.

**გოლები:** 1:0 რიკოუტი (37), 1:1 დესენა (45), 2:1 მარტინესი (88)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 22-26; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 10-5 (2-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 19 000

### მილანი-რომა 2:1

**მილანი:** დიდა 7 - ოდო 5.5, ნესტა 6, ტიაგო სილვა 5, ძამბროტა 6 - აბატე 6 (46. ფ. ინძაგი 6), პირლო 6, ამბროზინი 6, ზეედორფი 5.5 - პატო 6, რონალდინიო 7 (84. ფლამინი).

**რომა:** ჯ. დონი 6.5 - კასეტი 6, მექსე 6, ბურდისო 6, რიისე 6 - ტადეი 5.5 (71. გუბერტი 6.5), პისარო 6.5, დე როსი 6.5, პეროტა 6 - მენეზი 7 (76. ჟულიო ბაპტიშტა) - ვუჩინიჩი 5.5 (72. ოკაკა-ჩუკა 5.5).

**გოლები:** 0:1 მენეზი (3), 1:1 რონალდინიო (57-პენ), 2:1 პატო (67)

**გაძევება:** ამბროზინი (81. მილანი)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 22-25; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 12-20 (4-9); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 39 150

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-5 | 19 |
| 2. სამპდორია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-7 | 17 |
| 3. იუვენტუსი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-7 | 15 |
| 4. ფიორენტინა | 8 | 4 | 3 | 1 | 8-5 | 15 |
| 5. პარმა | 8 | 4 | 2 | 2 | 9-9 | 14 |
| 6. ჯენოა | 8 | 4 | 1 | 3 | 14-16 | 13 |
| 7. პალერმო | 8 | 3 | 3 | 2 | 11-9 | 12 |
| 8. მილანი | 8 | 3 | 3 | 2 | 6-8 | 12 |
| 9. ბარი | 8 | 2 | 5 | 1 | 8-5 | 11 |
| 10. კიევო | 8 | 3 | 2 | 3 | 10-8 | 11 |
| 11. რომა | 8 | 3 | 2 | 3 | 15-15 | 11 |
| 12. უდინეზე | 8 | 3 | 2 | 3 | 12-12 | 11 |
| 13. ლაციო | 8 | 2 | 4 | 2 | 7-8 | 10 |
| 14. ნაპოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-14 | 10 |
| 15. კატანია | 8 | 1 | 4 | 3 | 8-11 | 7 |
| 16. კალიარი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-10 | 7 |
| 17. ბოლონია | 8 | 1 | 3 | 4 | 6-10 | 6 |
| 18. ატალანტა | 8 | 1 | 3 | 4 | 6-10 | 6 |
| 19. სიენა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-12 | 5 |
| 20. ლივორნო | 8 | 0 | 3 | 5 | 2-10 | 3 |

**ბომბარდირები:** 9 - დი ნატალე (უდინეზე); 6 - ჰამშიკი (ნაპოლი), ტოტი (რომა); 5 - მილიტო (ინტერი), პაცინი (სამპდორია); 4 - პელისიერი (კიევო).

## სერია B

### X ტური

**ლეჩე-სალერნიტანა 1:0**

გოლი: 1:0 კორვია (22)

**გროსეტო-პადოვა 2:2**

გოლები: 1:0 პიხლმანი (10-პენ), 2:0 ტურატი (16), 2:1 იტალიანო (53), 2:2 სონჩინი (77)

**რეჯინა-ანკონა 0:3**

გოლები: 0:1 მასტრონუნციო (17-პენ), 0:2 მირამონტესი (38), 0:3 კოლაკონე (77)

**ტრიესტინა-გალიპოლი 1:0**

გოლი: 1:0 ვოლპე (45)

გაძევება: დ'ავერსა (89. გალიპოლი), მარიტატო (90. გალიპოლი)

**მანტოვა-ემპოლი 1:1**

გოლები: 1:0 სალვიატო (58), 1:1 კორალი (67)

**ჩეზენა-ბრეშა 2:0**

გოლები: 1:0 პაროლო (2), 2:0 ვოლტა (43)

**ასკოლი-ტორინო 1:2**

გოლები: 0:1 ბელინგერი (41), 1:1 ბერნაჩი (65-პენ), 1:2 რ. ბიანკი (77)

**ჩიტადელა-პიაჩენცა 1:1**

გოლები: 0:1 მოსკარდელი (81), 1:1 არდემანი (88-პენ)

გაძევება: არდემანი (90. ჩიტადელა)

**კროტონე-ვიჩენცა 1:2**

გოლები: 0:1 ზგრინია (22), 1:1 ბრაიატი (80-საკ. კარში), 1:2 ბოტა (85)

**მოდენა-ფროზინონე 0:3**

გოლები: 0:1 კარიელო (18), 0:2 ტავარესი (57), 0:3 სანტორუვო (86)

**ალბინოლეფე-სასუოლო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფროზინონე | 10 | 6 | 3 | 1 | 18-9 | 21 |
| 2. ჩეზენა | 10 | 5 | 4 | 1 | 14-4 | 19 |
| 3. ტორინო | 10 | 5 | 2 | 3 | 16-8 | 17 |
| 4. ანკონა | 9 | 5 | 1 | 3 | 14-8 | 16 |
| 5. პადოვა | 10 | 4 | 5 | 1 | 13-8 | 15 |
| 6. ჩიტადელა | 10 | 4 | 3 | 3 | 15-12 | 15 |
| 7. ვიჩენცა | 10 | 3 | 6 | 1 | 13-10 | 15 |
| 8. ლეჩე | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 14 |
| 9. ემპოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-12 | 14 |
| 10. ასკოლი | 10 | 3 | 5 | 2 | 13-14 | 14 |
| 11. სასუოლო | 9 | 3 | 4 | 2 | 16-12 | 13 |
| 12. ბრეშა | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 13. გროსეტო | 10 | 2 | 4 | 4 | 13-15 | 13 |
| 14. მოდენა | 10 | 4 | 1 | 5 | 8-12 | 13 |
| 15. ტრიესტინა | 9 | 3 | 2 | 4 | 9-13 | 11 |
| 16. გალიპოლი | 9 | 1 | 6 | 2 | 7-9 | 9 |
| 17. ალბინოლეფე | 9 | 2 | 3 | 4 | 12-15 | 9 |
| 18. კროტონე | 10 | 1 | 6 | 3 | 6-10 | 9 |
| 19. პიაჩენცა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-12 | 9 |
| 20. რეჯინა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-13 | 9 |
| 21. მანტოვა | 10 | 1 | 4 | 5 | 9-14 | 7 |
| 22. სალერნიტანა | 10 | 0 | 2 | 8 | 3-17 | 2 |

**ბომბარდირები:** 8 - რ. ბიანკი (ტორინო); 6 - მასტრონუნციო (ანკონა), ზგრინია (ვიჩენცა); 5 - არდემანი (ჩიტადელა), ჩელინი (ალბინოლეფე), კოლაკონე (ანკონა), ნასი (მანტოვა); 4 - ანტენუჩი (ასკოლი), დი ნარდო (პადოვა), იუნკო (ჩიტადელა), ნოსელი (სასუოლო).

## ლეგა პრო 1/A

### IX ტური

პერუჯა-პერგოკრემა 1:0, სორენტო-მონცა 1:2, არეცო-პაგანეზე 2:0, კრემონეზე-ბენევენტო 1:0, პრო პატრია-კომო 0:0, ლუმეცანე-ნოვარა 1:4, ვიარეჯო-ფოლინიო 0:2, ლეკო-ალესანდრია 3:1, ვარეზე-ფილინე 1:0.

## ლეგა პრო 1/B

### IX ტური

რიმინი-რეალ მარჩანიზე 2:0, ფოჯა-ტარანტო 0:0, ჯულიანოვა-სპალ 1:1, რეჯანა-ვერონა 0:0, ანდრია-პორტოგრუარო 1:0, კავეზე-ტერნანა 1:0, პესკარა-რავენა 2:1, პეშინა-ლანჩანო 1:1, პოტენცა-კოზენცა დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ოსერი-ბორდო | 1:0 |
| ლე მანი-ბულონი | 1:1 |
| ლიონი-სოშო | 0:2 |
| მონპელიე-სტ. ეტიენი | 2:1 |
| ნანსი-მარსელი | 0:3 |
| ვალანსი-გრენობლი | 2:0 |
| ლილი-რენი | 0:0 |
| ლორიანი-ნიცა | 4:1 |
| მონაკო-ლანსი | 2:0 |
| ტულუზა-პსჟ | 1:0 |

### II დივიზიონი

X ტური

აიაჩო-ბრესტი 0:0; ანჟერსი-ისტრი 1:0; არლი-ბასტია 1:0; შატორუ-ნიმი 1:2; კლერმონი-კაენი 1:3; გინგამი-დიჟონი 1:1; ჰავრი-ლავალი 0:2; სედანი-ტური 2:0; სტრასბური-ვანი 1:0; ნანტი-მეცი დღეს.

## ჰოლანდია

X ტური

| | |
|---|---|
| აიაქსი-ვილემი | 4:0 |
| ტვენტე-ალკმაარი | 3:2 |
| ბრედა-ვიტესი | 4:0 |
| ეინდჰოვენი-ჰერენვეენი | 1:0 |
| ვენლო-როდა | 1:1 |
| გრონინგენი-უტრეხტი | 0:0 |
| ნიმეგენი-დენ ჰააგი | 1:1 |
| ვაალვიკი-ჰერაკლესი | 0:1 |
| სპარტა-ფეიენოორდი | 2:1 |

### II დივიზიონი

XII ტური

აპელდოორნი-ეინდჰოვენი II 4:1; ვეენდამი-გრააფსხაპი 1:1; ექსელსიორი-ცვოლე 3:0; ომნივორლდი-როსენდაალი 0:2; ტოპ ოსი-ჰაარლემი 1:0; ფორტუნა-დორდრეხტი 0:3; იგლ ზი-კამბური 1:2; მაასტრიხტი-ჰელმონდი 3:1; ტელსტარი-დენ ბოში 1:4; ვოლენდამი-ემენი 6:0.

## პორტუგალიის თასი

### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| ვალენსიანო-ოლანენსე | 1:1 პენ. 4:2 |
| კოვილია-ბრაგა | 0:1 |
| ვარზიმი-ნასიონალი | 1:2 |
| მონსანტო-ბენფიკა | 0:6 |
| პორტუ-სერტანენსე | 4:0 |
| ოეირაში-ოპერარიო | 6:1 |
| უ. სერა-კოიმბროეში | 3:2 |
| ტონდელა-ოლივეირენსე | 1:2 |
| სინფაეში-კოშტა კაპარისა | 1:1 პენ. 1:3 |
| აკადემიკა-პორტიმონენსე | 2:1 |
| ფერეირა-ალჟუსტრელენსე | 3:1 |
| ლეკა-შავეში | 0:3 |
| სანტა კლარა-მარიტიმუ | 2:1 |
| ბეირა მარი-მონკორვუ | 4:0 |
| ნავალი-პადროენსე | 1:0 დ.დ. |
| სინტრენსე-პინალნოვენსე | 0:0 პენ. 3:4 |
| ფრეამუნდე-კარეგადო | 3:0 |
| ალადოსი-მაჩიკუ | 2:0 დ.დ. |
| ლეიქსოეში-კასა პია | 2:1 |
| მერელინენსე-ლეირია | 1:2 |
| ატლეტიკო-სეტუბალი | 0:2 |
| ბელენენსეში-ორიენტალი | 3:1 |
| ტირსენსე-ბაირო | 1:0 |
| ჟილ ვისენტე-ნელაში | 6:1 |
| მადეირა-ალკაინში | 2:0 |
| გიმარაეში-ფეირენსე | 3:1 |
| კამაჩა-პარედესი | 3:1 |
| რიუ ავე-ესმორიზი | 2:1 |
| ფატიმა-ვილა მეა | 3:0 |
| კრუზადო-ვიზორი | 1:4 |
| სპორტინგი-პენაფიელი | 3:0 |

## შოტლანდია

VIII ტური

| | |
|---|---|
| სტ. ჯონსტონი-რეინჯერსი | 1:2 |
| აბერდინი-ჰართსი | 1:1 |
| სელტიკი-მაზერველი | 0:0 |
| დანდი იუნ-ჰემილტონი | 1:1 |
| ფალკირკი-სტ. მირენი | 1:3 |
| ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1:0 |

### I დივიზიონი

X ტური

ინვერნესი-დანფერმლაინი 1:1; ეირდრი-როსი 0:1; მორტონი-დანდი 0:1; პარტიკი-ეირი 2:0; რეითი-ქუინი 1:0.

### II დივიზიონი

X ტური

ალოა-დამბარტონი 1:3; არბროა-კოუდენბითი 0:1; ბრეჩინი-ისტ ფაიფი 3:2; კლაიდი-პიტერჰედი 1:3; სტენჰაუზმური-სტირლინგი 1:2.

### III დივიზიონი

X ტური

ალბიონი-ქუინზ პარკი 0:1; ანენისტრანრარი 1:0; ლივინგსტონი-ბერუიკი 1:1; ელჯინი-ისტ სტირლინგი 1:2; ფორფარი-მონროუზი 2:2.

## ავსტრია

XI ტური

| | |
|---|---|
| რიდი-კაპფენბერგი | 3:0 |
| ავსტრია (ვ)-ზალცბურგი | 1:0 |
| მატერსბურგი-ლინცერი | 3:2 |
| ავსტრია (კ)-ვინერი | 0:0 |
| შტურმი-რაპიდი | 1:0 |

### II დივიზიონი

XII ტური

აუსტრია II-აუსტრია (ლ) 0:0; ჰარტბერგი-ალტახი 0:2; ზალცბურგი II-ტიროლი 2:2; ვენა-გრატკორნი 4:2; დორნბირნი-სტ. პოლტენი 0:3; ლუშტენაუ-ადმირა 0:3.

## ბელგია

XI ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-შარლერუა | 2:0 |
| ვარეგემი-ბეერსხოტი | 4:0 |
| ლოკერენი-სერკლი | 1:1 |
| კორტრიიკი-რუზელარე | 2:0 |
| მუსკრონი-სტ. ტრუიდენი | 2:1 |
| ვესტერლო-სტანდარდი | 2:0 |
| გენკი-მეხელენი | 1:2 |
| ბრიუგე-გენტი | 1:0 |

### II დივიზიონი

X ტური

ტუბეკე-ჰევერლე 1:1; ლომელი-დენდერი 1:0; ტურნჰაუტი-ვაასლანდი 2:1; ტურნე-ბრიუსელი 1:1; ბეევერენი-სტანდარდი (ვ) 1:1; ლიეჟი-ბერგენი 0:2; რონსელიერსი 1:2; ბორინაჟი-ეუპენი 0:0; ტინენი-ანტვერპენი 4:3.

## დანია

XII ტური

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-ოდენსე | 0:2 |
| ოლბორგი-რანდერსი | 1:1 |
| ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი | 0:2 |
| სილკებორგი-ესბერგი | 2:2 |
| ბრონდბიუ-მიდტიულანდი | 1:1 |
| სონდერილი-ორჰუსი | დღეს |

### II დივიზიონი

XI ტური

ტისტედი-აკადემისკი 0:0; ბრაბრანდი-ვიბორგი 1:1; როსკილდე-ნაესტვედი 1:1; ვესტსიელანდი-ფრემი 1:1; ჰვიდოვრე-ფრედერისია 0:1; სკივე-ლუნგბიუ 4:3; ვეილე-ჰორსენსი 1:0; კოლდინგი-ფინი 2:3.

## ფინეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ტამპერე | 2:2 |
| როვანიემი-კუოპიო | 1:0 |
| ლაატი-ინტერი | 1:3 |
| ჰაკა-მიუპა | 2:3 |
| ჰიკ-იარო | 1:1 |
| ვაასა-მარიეჰამნი | 0:0 |
| ტურკუ-ჰონკა | 0:0 |

### II დივიზიონი

XXVI ტური

ოულუ-ტპვ ტამპერე 1:1; ჰოპა-ატლანტისი 3:4; ჰკ35-ჰამეენლინა 2:1; ვიიკინგიტი-კემი 2:0; კოოტეპე-კლუბი04 1:3; კპვ-ტპ47 3:2; კიისტო-იიპო 2:1.

## საბერძნეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-არისი | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ასტერასი | 3:0 |
| პაოკ-იანინა | 2:0 |
| ატრომიტოსი-ლევადია | 3:0 |
| ლარისა-ქსანტი | 2:0 |
| ირაკლისი-პანიონიოსი | 0:2 |
| კავალა-პანათინაიკოსი | 2:2 |
| აეკ-პანთრაკიკოსი | 3:2 |

### II დივიზიონი

V ტური

ეთნიკოსი (პ)-ეთნიკოსი (ა) 1:2; ანაგენისი-პანაიტოლიკოსი 3:1; დოხა-ოლიმპიაკოსი (ვ) 1:2; იონიკოსი-პიერიკოსი 1:1; კალამატა-აგროტიკოსი 1:1; როდოსი-ოფი 0:1; ტრასივულოსი-ილიუპოლი 0:0; პანსერაიკოსი-დიაგორასი დღეს.

## ირლანდია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| კორკი-ბოჰემიანსი | 0:2 |
| სტ. პატსი-ბრეი | 2:0 |
| გალვეი-დერი | 3:1 |
| დანდალკი-სლიგო | 2:2 |
| შემროკი-დროგედა | 2:0 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ლიმერიკი-უოტერფორდი 2:1; უექსფორდი-ფინ ჰარპსი 1:0; მონეგანი-კილდეირი 6:1; შელბურნი-ეთლონი 0:0; მერვეუ-უნივერსიტი 1:2; ლონგფორდი-სპორტინგი 0:4.

## ნორვეგია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| მიოლდე-სტაბეკი | 4:0 |
| ბოდო გლიმტი-ტრომსიო | 1:1 |
| ლინი-სტრიომსგოდსეტი | 0:1 |
| სანდეფიორდი-ლილესტრიომი | 2:2 |
| სტარტი-ოლესუნდი | 0:1 |
| ვიკინგი-როზენბორგი | 0:0 |
| ბრანი-ჰოლერენგა | 1:2 |
| ფრედრიკსტადი-ოდ გრენლანდი | დღეს |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

კონგსვინგერი-სარპსბორგი 3:0; ჰაუგესუნდი-ნოტოდენი 6:0; ლოვ ჰამი-ნილი 3:2; მოსი-სიოგნდალი 0:3; სტავანგერი-ტრიომსდალენი 4:2; ალტა-მიონდალენი 3:1; ჰამ კამი-ბრინი 2:4; ჰიონეფოსი-სკეიდი 6:0.

## რუმინეთი

X ტური

| | |
|---|---|
| უნირეა (ა)-ინტერნაციონალი | 1:2 |
| უნირეა (უ)-ვასლუი | 1:2 |
| პანდური-გაზ მეთანი | 0:0 |
| რაპიდი-კლუჟი | 1:4 |
| ტიმიშოარა-ჩახლაული | 6:0 |
| გლორია-ოცელული | 2:1 |
| ასტრა-უნივერსიტატეა | 3:1 |
| ბრაშოვი-დინამო | 0:1 |
| პოლიტეხნიკა-სტიაუა | 0:2 |

## შვედეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ტრელებორგი-ელფსბორგი | 0:1 |
| აიკ-გეფლე | 1:0 |
| კალმარი-გაის | 2:2 |
| ბრომაპოიკარნა-ერებრუ | 3:0 |
| იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 3:0 |
| ჰაკენი-იურგორდენი | დღეს |
| ჰალმსტადი-ჰამარბიუ | დღეს |
| მალმიო-გიოტებორგი | დღეს |

### II დივიზიონი

XXIX ტური

ანგელჰოლმი-ვასბი 2:0; ასირისკალანდსკრონა 4:1; მიალბიუ-ფარკენბერგი 2:1; ნორჩოპინგი-იონჩოპინგი 1:0; კვიდინგი-სირიანსკა 0:2; სირიუსი-ტროლჰატანი 3:0; სუნდსვალი-ლიუნგსკილე 0:3; ვასალუნდსი-ატვიდაბერგი 0:1.

## შვეიცარიის თასი

### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| პრაპერსვილი-ვოლენი | 4:1 |
| ლე მონი-ბაზელი | 1:3 |
| კრინსი-ბელინცონა | 5:4 |
| ციურიხი-ლოკარნო | 7:0 |
| მუოტატალი-ტოსი | გადაიდო |
| ქსამაქსი-სერიერესი | 2:1 |
| ტუგენი-ვინტერტური | 1:3 დ.დ. |
| ეტუალი-სერვეტი | 0:3 |
| ლინტი-ლუცერნი | 1:4 |
| ბილი-არაუ | 3:2 დ.დ. |
| პარკინგენი-სოლოტურნი | 1:3 |
| ლუგანო-გრასჰოპერსი | 1:0 |
| თუნი-სიონი | 2:1 დ.დ. |
| სტ. გალენი-ვილი | 2:1 |
| ივერდონი-იანგ ბოიზი | 1:3 |
| ნიონე-ლოზანა | 1:2 |

## თურქეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| დენიზლი-ბურსა | 2:3 |
| ბეშიქთაში-ქასიმფაშა | 2:1 |
| ანკარა-ესკიშეჰირი | 0:3 |
| გენჩლერი-სივასი | 2:0 |
| ბუიუკშეჰირი-მანისა | 1:0 |
| ქაისერი-ანკარაგიუჯუ | 3:0 |
| გაზიანთეფი-ფენერბაჩე | 2:1 |
| ანთალია-დიარბაქირი | 4:1 |
| გალათასარაი-ტრაბზონი | 4:3 |

### II დივიზიონი

IX ტური

ქონია-მერსინი 2:0; გირეშუნი-ადანა 0:1; ალთაი-ბოლუ 3:0; ბუკა-სამსუნი 3:0; ბბ გაზიანთეფი-ჰაჩეთეფე 0:1; ქართალი-ქარსიაქა 2:0; ორდუ-ქარაბუქი 3:1; დარდანელი-რიზე 0:1; ერჩიესი-ქოჯაელი დღეს.

## უელსი

IX ტური

| | |
|---|---|
| ებერისთვითი-ნიუთაუნი | 2:1 |
| კარმარტენი-პორტ ტელბოტი | 3:1 |
| პრესტატინი-ქონვასი | 3:2 |
| ქერსოუსი-ეირბასი | 0:4 |
| ჰევერფორდვესტი-პორტმედოგი | 2:0 |
| ლანელი-სეფნი | 4:0 |
| ნითი-რილი | 2:0 |
| ტნს-ბალა თაუნი | 0:0 |
| უელშპული-ბანგორი | 1:2 |

## ბელარუსი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| გომელი-მინსკი | 1:3 |
| ტორპედო-სმორგონი | 1:2 |
| ტრანსმაში-დინამო (ბ) | 0:0 |
| გრანიტი-ვიტებსკი | 1:2 |
| მტზ რიპო-დინამო (მნ) | 0:2 |
| შახტიორი-ბატე | 0:1 |
| ნაფტანი-ნემანი | 2:0 |

## ბოსნია

X ტური

| | |
|---|---|
| ტრავნიკი-ბორაცი | 2:0 |
| სლობოდა-რუდარი | 1:0 |
| მოდრიცა-ჟელეზნიჩარი | 2:1 |
| ველეჟი-სლავია | 4:2 |
| სარაევო-ზვიეზდა | 1:0 |
| ლაკტაში-შიროკი ბრიეგი | 1:2 |
| ლეოტარი-ცელიკი | 2:1 |
| ოლიმპიკი-ჟრინსკი | 1:0 |

## ბულგარეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| სლივენი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| ბოტევი-ცსკა | 0:1 |
| მონტანა-ლოკომოტივი (პ) | 3:2 |
| პირინი-სპორტისტი | 2:0 |
| ლიტექსი-სლავია | 1:0 |
| ლოკომოტივი (მ)-ჩერნო მორე | 1:2 |
| ლევსკი-ბეროე | 0:1 |
| მინიორი-ლოკომოტივი (ს) | დღეს |

## არგენტინა

IX ტური

| | |
|---|---|
| არგ. ხუნიორსი-რასინგი | 2:0 |
| ლანუსი-ველესი | 1:1 |
| ატლეტიკო-გოდოი | 1:1 |
| არსენალი-ბანფილდი | 1:1 |
| ხიმნასია-კოლონი | 1:2 |
| სან ლორენსო-როსარიო | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-ჩაკარიტა | 1:1 |
| ურაკანი-რივერ პლეიტი | 0:0 |
| ბოკა ხუნიორსი-ტიგრე | გვ. დასრულდა |
| ნიუელსი-ესტუდიანტესი | გვ. დასრულდა |

## ხორვატია

XI ტური

| | |
|---|---|
| ინკერი-ზადარი | 4:3 |
| სლავენი-ისტრა | 3:0 |
| რიეკა-ოსიეკი | 1:1 |
| ლოკომოტივა-კროაცია | 3:2 |
| ვარტექსი-მედიმურიე | 3:0 |
| ზაგრები-დინამო | 1:0 |
| სიბალია-კარლოვაცი | 2:2 |
| ჰაიდუკი-შიბენიკი | 0:1 |

## ჩეხეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-ტეპლიცე | 0:3 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 1:1 |
| ბანიკი-ლიბერეცი | 1:0 |
| ბოლესლავი-ბოჰემიანსი | 4:2 |
| ბოჰემიანსი 1905-სლოვაცკო | 0:1 |
| კლადნო-სლავია | 0:2 |
| სიგმა-ბრნო | 5:0 |
| იაბლონეცი-პლზენი | დღეს |

### II დივიზიონი

XII ტური

დუკლა-მოსტი 0:2; ვიტკოვიცე-ჰლუჩინი 1:4; სოკოლოვი-იჰლავა 5:1; სპარტა II-ველაშიმი 2:3; ტრშინეცი-ჟლინი 3:1; ოპავა-კარვინა 3:0; ჩასლავი-ჰრადეცი 2:2; უსტი-ვიქტორია 2:0.

## ესტონეთი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| კურესაარე-კალევი | 0:3 |
| ტრანს ნარვა-ტალინა | 1:0 |
| პაიდე-ფლორა | 0:6 |
| ლევადია-ტულევიკი | 3:0 |
| ნომე-ტარტუ | 1:1 |

## უნგრეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ვაშაში-დებრეცენი | 2:4 |
| პალადაში-ჰონვედი | 2:2 |
| კაპოშვარი-უიპეშტი | 2:0 |
| ზალაეგერსეგი-ლომბარდი | 3:0 |
| ნირედიჰაზა-დიოშდიორი | 1:1 |
| პაქში-კეჩკემეტი | 2:1 |
| მტკ-ფეჰერვარი | 2:2 |
| ფერენცვაროში-დიორი | გადაიდო |

## ისრაელი

VI ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ჰ)-ჰაპოელი (ფ-თ) | 1:2 |
| ჰაპოელი (რ)-მაკაბი (თ-ა) | 0:3 |
| ჰაპოელი (რ-გ)-მაკაბი (ა-ნ) | 2:3 |
| ჰაპოელი (თ-ა)-აშდოდი | 2:2 |
| მაკაბი (ფ-თ)-მაკაბი (ნ) | 0:3 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (ჰ) | 1:3 |
| ჰაპოელი (ჰ)-ბნეი შახნინი | 0:0 |
| ბეითარი-ბნეი იეჰუდა | დღეს |

## ლატვია

XXX ტური

| | |
|---|---|
| სკონტი-მეტალურგსი | 1:6 |
| დაუგავა-ტრანზიტსი | 2:1 |
| ოლიმპსი-ბლაზმა | 3:2 |
| ვენტსპილსი-იურმალა | 4:1 |

## ლიტვა

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ტაურასი-ტელედემა | 3:0 |
| კრუოია-ბანგა | 1:2 |
| შიაულიაი-ეკრანასი | 0:3 |
| სუდუვა-ვეტრა | 1:1 |

## მოლდოვა

XIV ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-სფინტული | 1:1 |
| დინამო-შერიფი | 0:5 |
| ვიიტორული-აკადემია | 2:0 |
| ნისტრუ-ისკრა სტალი | 1:2 |
| ზიმბრუ-ოლიმპია | 1:4 |
| ტირასპოლი-დაჩია | 0:3 |

## პოლონეთი

X ტური

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-შლიონსკი | 2:0 |
| რუხი-ლეჩია | 1:0 |
| პიასტი-ლეგია | 1:1 |
| კორონა-არკა | 1:2 |
| პოლონია (ვ)-ოდრა | 2:1 |
| კრაკოვია-პოლონია (ბ) | 1:2 |
| ზაგლებე-იაგელონია | 0:0 |
| ლეხი-ვისლა | 1:0 |

## რუსეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| სატურნი-ამკარი | 2:0 |
| ნალჩიკი-ცსკა | 1:1 |
| დინამო-ტომი | 0:1 |
| რუბინი-ხიმკი | 2:1 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 3:0 |
| ტერეკი-როსტოვი | 1:3 |
| მოსკოვი-კრილია | 2:1 |
| ყუბანი-ზენიტი | 0:2 |

## სლოვაკეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| რუჟომბეროკი-დ. სტრედა | 0:0 |
| ტრნავა-ნიტრა | 1:2 |
| ტატრანი-ინტერი | 0:0 |
| კოშიცე-ბისტრიცა | 0:5 |
| პეტრჟალკა-დუბნიცა | 7:0 |
| ჟილინა-სლოვანი | 2:0 |

## სერბეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ვოივოდინა-ოფკ | 0:0 |
| მლადი-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |
| ბორაცი-სარტიდი | 0:2 |
| იავორი-მეტალაკი | 2:0 |
| ბორკა-სპარტაკი | 0:2 |
| ჩუკარიჩკი-რად | 2:1 |
| ჰაიდუკი-ნაპრედაკი | 3:1 |
| პარტიზანი-იაგოდინა | 3:0 |

## სლოვენია

XIII ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-გორიცა | 1:1 |
| დომჟალე-რუდარი | 2:0 |
| პუბლიკუმი-ინტერბლოკი | 3:1 |
| ოლიმპია-მარიბორი | 0:1 |
| დრავა-ნაფტა | 1:2 |

## ბრაზილია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ავაი-გოიაში | 2:1 |
| ბარუერი-სანტოსი | 0:0 |
| სან პაულუ-ატ. მინეირო | 0:1 |
| ფლუმინენსე-ინტერნასიონალი | 2:2 |
| გრემიო-კორიტიბა | 2:0 |
| პალმეირასი-ფლამენგო | 0:2 |
| სპორტ რესიფე-კორინთიანსი | 2:0 |
| ატ. პარანაენსე-სანტო ანდრე | 3:0 |
| კრუზეირო-ბოტაფოგო | 1:0 |
| ვიტორია-ნაუტიკო | 3:1 |

## კოლუმბია

XIII ტური

| | |
|---|---|
| დეპ. პასტო-ატ. უილა | 1:1 |
| მილიონარიოსი-სანტა ფე | 1:1 |
| დეპ. კინდიო-ინდეპენდიენტე | 1:2 |
| ამერიკა-ლა ეკიდადი | 1:1 |
| ატ. ხუნიორი-დეპ. პერეირა | 1:1 |
| კუკუტა-ჩიკო | 2:0 |
| ონსე კალდასი-დეპ. კალი | 2:0 |
| დეპ. ტოლიმა-ენვიგადო | 1:0 |
| ატ. ნასიონალი-რეალი | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

VII ტური

| | |
|---|---|
| ლივერპული-რამპლა | 3:1 |
| რივერ პლეიტი-ატენასი | 1:0 |
| მონტევიდეო-ნასიონალი | 4:0 |
| ტაკუარემბო-სენტრალი | 3:1 |
| დეფენსორი-სერიტო | 1:0 |
| სერო-ფენიქსი | 3:2 |
| რასინგი-დანუბიო | 1:2 |
| სერო ლარგო-პენიაროლი | 1:2 |

## ჩრ. ირლანდია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბალიმენა-კოლრეინი | 3:2 |
| კლიფტონვილი-კრუზეიდერსი | 1:2 |
| ლინფილდი-გლენტორანი | 2:1 |
| პორტადაუნი-გლენავონი | 2:0 |
| ლისბურნი-ინსტიტუტი | 2:1 |
| დუნგანონი-ნიური | 0:0 |

## უკრაინა

X ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-ზაკარპატია | 2:0 |
| კრივბასი-ზორია | 4:0 |
| ვოსკლა-მეტალურგი (დ) | 1:2 |
| მეტალურგი (ზ)-დნიპრო | 1:3 |
| დინამო-ობოლონი | 2:1 |
| ილიჩოვეცი-მეტალისტი | 0:2 |
| შახტარი-კარპატი | 5:1 |
| ტავრია-არსენალი | 2:2 |

## ჩილე

XIV ტური

| | |
|---|---|
| ს. მორნინგი-ლა სერენა | 1:2 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. კატოლიკა | 4:3 |
| ო'ჰიგინსი-მუნისიპალი | 2:2 |
| კობრელოა-აუდაქსი | 0:1 |
| კობრესალი-ევერტონი | 2:0 |
| კურიკო-ნუბლენსე | 3:0 |
| უაჩიპატო-კოლო კოლო | 0:2 |
| რეინჯერსი-პალესტინო | 1:0 |
| უ. ჩილე-უ. კონსეპსიონ | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

XII ტური

| | |
|---|---|
| კრუს ასული-ტეკოსი | 3:1 |
| მონტერეი-ხაგუარესი | 1:2 |
| ინდიოსი-ატლანტე | 0:2 |
| ტოლუკა-ტიგრესი | 1:1 |
| მორელია-პაჩუკა | 2:0 |
| ატლასი-კერეტარო | 0:1 |
| სან ლუისი-პუმასი | 1:0 |
| ამერიკა-პუებლა | გვ. დასრულდა |
| სანტოს ლაგუნა-ჩივასი | გვ. დასრულდა |

## აშშ

| | |
|---|---|
| ტორონტო-სოლტ ლეიკი | 1:0 |
| ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო | 0:0 |
| დი სი იუნაიტედი-კოლამბუსი | 1:0 |
| დალასი-კოლორადო | 2:1 |
| კანზასი-სიეტლი | 2:3 |
| ჩივასი-სან ხოსე | 2:2 |
| ჰიუსტონი-ლოს ანჯელესი | 0:0 |

## იაპონია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| იამაგატა-კობე | 1:0 |
| ომია-კავასაკი | 2:3 |
| ტოკიო-კაშივა | 4:0 |
| იოკოჰამა-ნაგოია | 2:1 |
| ნიიგატა-ურავა | 0:1 |
| ივატა-კაშიმა | 0:0 |
| ჰიროშიმა-გამბა | 2:2 |
| ოიტა-შიმიძუ | 2:1 |
| ჯეფ იუნაიტედი-კიოტო | 1:1 |

## ევრო 2010

### UNDER 17

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-სლოვენია | 3:1 |
| უკრაინა-ესტონეთი | 0:0 |
| რუმინეთი-ფარერები | 4:0 |
| ლიტვა-ესპანეთი | 1:9 |

**ოქროს ბურთი**

## 30 ნომინანტი ცნობილია

გუშინ „ფრანს ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა „ოქროს ბურთის“ წლევანდელი 30 ნომინანტის სია. ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის ბრძოლაში არგენტინელი **ლიონელ მესია** ფავორიტი. ნომინანტთა შორის, ესპანური და ინგლისური ლიგების წარმომადგენლები სჭარბობენ. ლა ლიგადან ნომინანტებში 13 ფეხბურთელია დასახელებული, მაშინ, როცა სერია A-ს მხოლოდ 4 ფეხბურთელი წარადგენს და აქედან ერთიც არ არის იტალიელი (არადა, 6 ესპანელია). პრემიერლიგელი ნომინანტები ყველა „დიდი ოთხეულიდანაა“. სულ რალაც ორი ფეხბურთელია ბუნდესლიგიდან (**ფრანკ რიბერი** და **ედინ ჯეკო**) და ერთი ფრანგული ლიგა 1-დან (**იოან გურკუფი**). გამარჯვებული ფეხბურთელი 1 დეკემბერს გამოცხადდება, რომელსაც 6 დეკემბერს გადასცემენ „ოქროს ბურთს“.

„ოქროს ბურთი“ (ბალონ დ'ორ) ანუ ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი, „ფრანს ფუტბოლის“ რედაქტორმა **გაბრიელ ანომ** შემოიღო, რომელმაც კოლეგებში ჩაატარა პირველი გამოკითხვა და ასე დასახელდა 1956 წლის საუკეთესო ევროპელი ფეხბურთელი - **სტენლი მეტიუზი**. 1995 წლიდან კონკურსში მონაწილეობა იმ არაევროპელ ფეხბურთელებსაც შეუძლიათ, რომლებიც ევროპულ ლიგებში ასპარეზობენ და იმავე წელს პირველი არაევროპელი გამარჯვებული „მილანის“ ლიბერიელი ფორვარდი **ჟორჟ ვეა** გახდა. 2007 წლიდან კონკურსში ნებისმიერი ფეხბურთელი დაიშვება. მსოფლიოს 96 ჟურნალი თუ გაზეთი „ფრანს ფუტბოლში“ წარადგენს 5-5 საუკეთესო ფეხბურთელის სიას. შარშან 446 ქულით გამარჯვებული **კრიშტიანო რონალდო** (მანჩესტერ იუნაიტედი) გახდა, მას გვარიანად ჩამორჩა **ლეო მესი** (ბარსელონა) - 281 ქულა, მე-3 ადგილზე კი ესპანელი **ფერნანდო ტორესი** (ლივერპული) გავიდა 179 ქულით. ეს სამეული წლეულსაც ნომინანტთა შორისაა. მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა შეძლო „ოქროს ბურთის“ სამჯერ მოპოვება: **იოჰან კრუიფმა**, **მიშელ პლატინიმ** და **მარკო ვან ბასტენმა**. მხოლოდ უეფას ამჟამინდელმა პრეზიდენტმა პლატინიმ შეძლო პრიზის ზედიზედ სამჯერ მოპოვება.

გთავაზობთ 30 ნომინანტის სიას: **ანდრეი არშავინი** (რუსეთი, არსენალი), **ქარიმ ბენზემა** (საფრანგეთი, ლიონი და რეალი), **იკერ კასილიასი** (ესპანეთი, რეალი), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია, მანჩესტერი და რეალი), **დიეგო** (ბრაზილია, ვერდერი და იუვენტუსი), **დიდიე დროგბა** (კოტ დ'ივუარი, ჩელსი), **ედინ ჯეკო** (ბოსნია, ვოლფსბურგი), **სამუელ ეტოო** (კამერუნი, ბარსელონა და ინტერი), **სესკ ფაბრეგასი** (ესპანეთი, არსენალი), **ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი, ლივერპული), **დიეგო ფორლანი** (ურუგვაი, ატლეტიკო), **სტივენ ჯერარდი** (ინგლისი, ლივერპული), **რაიან გიგზი** (უელსი, მანჩესტერი), **იოან გურკუფი** (საფრანგეთი, ბორდო), **ტიერი ანრი** (საფრანგეთი, ბარსელონა), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი, ინტერი და ბარსელონა), **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, ბარსელონა), **ჟულიო სეზარი** (ბრაზილია, ინტერი), **კაკა** (ბრაზილია, მილანი და რეალი), **ფრენკ ლემპარდი** (ინგლისი, ჩელსი), **მაიკონი** (ბრაზილია, ინტერი), **ლიონელ მესი** (არგენტინა, ბარსელონა), **ლუიშ ფაბიანო** (ბრაზილია, სევილია), **ფრანკ რიბერი** (საფრანგეთი, ბაიერნი), **უეინ რუნი** (ინგლისი, მანჩესტერი), **ჯონ ტერი** (ინგლისი, ჩელსი), **ნემანია ვიდიჩი** (სერბეთი, მანჩესტერი), **დავიდ ვილია** (ესპანეთი, ვალენსია), **ჩავი** (ესპანეთი, ბარსელონა), **იაია ტურე** (კოტ დ'ივუარი, ბარსელონა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რაულმა რეკორდი და დუბლი მიითვალა

# ბარსელონას პირველი გაჩერება მესტალიაა

## რეკორდსმენ რაულის დუბლი

ამიერიდან მადრიდის „რეალის" ისტორიაში გუნდის თეთრი მაისურა ყველაზე მეტჯერ **რაულ გონსალესს** მოურგია, „ლოს მერენგესის" ლეგენდამ რეკორდის დამყარება დუბლით აღნიშნა, ხოლო **კრიშტიანო რონალდოს** გარეშე მოთამაშე „სამეფო კლუბმა" 4:2 მოუგო „ვალიადოლიდს". ამასობაში **ხოსეპ გვარდიოლას** „ბარსელონამ" ჩემპიონატში პირველი ქულები დაკარგა, „მესტალიაზე" „ვალენსიას" დაუზავდა, მაგრამ მაინც პირველ ადგილზე დარჩა.

32 წლის რაულმა 711-ე მატჩი ჩაატარა „რეალში", მანამდე კი ყველაზე მეტჯერ ამ კლუბში **მანოლო სანჩისს** (710) უთამაშია. აღსანიშნავია, რომ ფორვარდი ჯერ კიდევ თებერვალში გახდა „რეალის" ისტორიაში ყველაზე მეტი გოლის ავტორი. „ვალიადოლიდთან" მატჩის სასტარტო შემადგენლობაში არ უთამაშიათ არც ტრავმირებულ კრიშტიანო რონალდოს და არც ბრაზილიელ **კაკას**, ეს კი ახალი „გალაკტიკოსის" ისტორიაში პირველად მოხდა. სამაგიეროდ, **მანუელ პელეგრინიმ რაფაელ ვან დერ ვაარტი** გაიხსენა - ფლანგებზე ჰოლანდიელი და **ესტებან გრანერო** გაამწესა. პირველი საგოლე შანსი „რეალისა" იყო - მე-12 წუთზე გრანერომ საჯარიმოს მისაგდომებიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი ოდნავ ააცილა კარს. ზუსტად ერთ წუთში ანგარიშიც გაიხსნა - გრანერომ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, რაულმა კი ერთი შეხებით ბურთი კარში გადააგზავნა - 1:0. ხუთ წუთში რაულმა დუბლი შეასრულა, ახლა მან მარცხენა ფრთაზე აქტიური **მარსელოს** პასი გამოიყენა - 2:0. მასპინძლები აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ 28-ე წუთზე „ვალიადოლიდმა" ერთი ბურთი გაქვითა, **ნაუსეტ ალემანმა** ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო, ბურთი მარჯვენა ძელს მოხვდა და **იკერ კასილიასის** კარში შევიდა - 2:1. ორ წუთში სტუმრებს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ, კუთხურიდან ჩაწოდებულს ახლო ძელთან **არსო** დაუხვდა, მას თითქოს არავინ „იჭერდა", მაგრამ თავური კარს ააცილა. ტაიმის ბოლომდე კარგი შანსი ჰქონდა ვან დერ ვაარტს, ბოლო წამებზე კი მარსელომ სოლო გარღვევა უძლიერესი დარტყმით დაასრულა - 3:1.

მეორე ტაიმიც „რეალის" უპირატესობით წარიმართა, მაგრამ 52-ე წუთზე გოლის გატანა სტუმრებმა შეძლეს - **დიეგო კოსტასა** და **მარკიტოსის** კონტრშეტევა ამ უკანასკნელმა შორეულ კუთხეში დარტყმით დაასრულა - 3:2. ამის შემდეგ „რეალმა" თამაშის ტემპი დააგდო და ბურთის კონტროლს მიეძალა, სტუმრებს ამის საპასუხო წამალი კი არ ჰქონდათ, 78-ე წუთამდე მატჩში ერთი ნახევრადსახიფათო მომენტიც არ შექმნილა. მოედანზე წუთების წინ გამოსულმა არგენტინელმა **გონსალო იგუაინმა ჩაბი ალონსოს** შესანიშნავი პასი დიდებულად გამოიყენა, მან ერთი შეხებით ბურთი **ხაკობოს** თავზე გადაუგდო და მატჩის ინტრიგასაც წერტილი დაუსვა - 4:2. უხვგოლიან შეხვედრაში კიდევ ერთი გოლი უნდა გასულიყო, რომ არა **რაულ ალბიოლი**, 83-ე წუთზე დიეგო კოსტა კასილიასსაც გასცდა, მაგრამ ალბიოლმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მანუელ პელეგრინის გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ დაცვაში შეცდომები კვლავ იყო, თუნდაც მეორე გაშვებული გოლისას, როცა მცველებმა კოსტას ბურთი ჩააბარეს.

რეკორდსმენმა რაულმა „მარკას" შემდეგი განუცხადა: *„ძალიან გახარებული ვარ, თუმცა უმთავრესად მაინც იმით, რომ სამი მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ. მალე 15 წელი შესრულდება ჩემი დებიუტიდან, თავიდან ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ რეკორდს მოვხსნიდი. მოხარული ვარ, რომ ეს შევძელი და გუნდს მომავალშიც დავეხმარები. მაგრამ უკვე ოთხშაბათის მნიშვნელოვან მატჩზე და მისთვის მზადებაზე ვფიქრობ. ჯერჯერობით პრობლემები ისევ გვაქვს, ვერ ვთამაშობთ 90 წუთს ერთნაირ დონეზე, ბრწყინვალედ დავიწყეთ, მაგრამ, როცა „ვალიადოლიდმა" გოლი გაიტანა, თითქოს არ ვიცოდით, მოედანზე რა გვეკეთებინა. ოთხი გოლის გატანა კი ნებისმიერ შემთხვევაში დიდებულია. „რეალმა" ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი წააგო სეზონში, ჩვენ მაისში ცხრილის სათავეში უნდა ვიყოთ და ვიქნებით კიდეც".*

მანუელ პელეგრინი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ გუნდს კვლავ რჩება დაცვის ხაზში პრობლემები: *„რომელ შეცდომებზე ლაპარაკობთ, ერთი გოლი საჯარიმოდან გავუშვით, მეორის დროს კი, უბრალოდ, არ გაგვიმართლა, მათ 12 კუთხური ჩამოაწოდეს და გოლი ვერ გაგვიტანეს. პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, მეორეში კი გუნდი დროებით მოეშვა, ბიჭები ალბათ უკვე ჩემპიონთა ლიგის მატჩზე ფიქრობდნენ".* მწვრთნელმა არ უპასუხა შეკითხვას ქარიმ ბენზემას ფორმის შესახებ, ინდივიდუალურად მატჩს ფეხბურთელებთან გავარჩევო.

*„ჩვენ შევძელით ბრძოლა, არადა, „ბერნაბეუზე" ორი გოლის გაშვების შემდეგ ეს ბევრს უჭირს. თავიდან ბიჭები ძალიან უფრთხოდნენ „რეალის" ვარსკვლავებს, ალემანის გოლის შემდეგ ეს შიში მოიხსნა. მაგრამ „რეალი" მაინც დიდი გუნდია, მას შეუძლია მეტოქე ნებისმიერ წუთში გატეხოს"*, - ეს უკვე „ვალიადოლიდის" თავკაც **ხოსე ლუის მენდილიბარის** სიტყვებია.

„ვალენსიასა" და „ბარსელონას" მატჩში გოლები არ გასულა, არადა, „ლამურები" ახლოს იყვნენ ჩემპიონისთვის სეზონში პირველი მარცხი მიეყენებინათ. **დავიდ ვილიას** არყოფნაში, თავდასხმაში **ხუან მატა** გადავიდა. ვერც სტუმართა საუკეთესო ფორვარდმა ითამაშა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** შვედეთის ნაკრებში მცირე ტრავმა მიიღო და შაბათს ის სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა. სასტარტოში დაიწყო **ლეო მესიმ**, მიუხედავად იმისა, რომ არგენტინის ნაკრებში გიჟური კვირა ჰქონდა და ესპანეთში თამაშის წინა დღეს დაბრუნდა. მესიმ, **ინიესტამ** და **პედრომ** შემტევი სამეული შეადგინა.

„ვალენსიას" საგოლე მომენტი პირველივე წუთზე შეექმნა, მაგრამ **პაბლო ერნანდესმა** ძალიან სუსტად დაარტყა და ბურთი **ვიქტორ ვალდესის** იოლი ნადავლი გახდა. მასპინძელთაგან სწორედ პაბლო გამოირჩეოდა, რომელიც ფლანგზე მუდამ პრობლემებს უქმნიდა „ბარსელონას", სტუმრებში კი ინიესტა გამოირჩეოდა. პირველი ტაიმი „ვალენსიასი" იყო, მაგრამ **დავიდ სილვას** მახვილგონივრულ ჩაწოდებებს მატა ისე ვერ ირგებდა, როგორც ეს ვილიას შეუძლია.

მეორე ტაიმი „ბარსელონამ" მეტად მობილიზებულმა დაიწყო, ერთხელ მესიმაც გაისროლა კარში. 65-ე წუთზე კი პედროს სულ ბოლო მომენტში აჯობეს „ვალენსიას" მცველებმა. მაგრამ ყველაზე სახიფათო მაინც დავიდ სილვას ახლო მანძილიდან დარტყმული იყო, რომელიც **ვალდესმა** სასწაულებრივ მოიგერია.

*„გუნდის თამაშით სამწვრთნელო შტაბი კმაყოფილია. დასანანია, რომ ბარსას ვერ მოვუგეთ. საერთო ჯამში ხომ ჩვენ უფრო მეტი და სახიფათო შანსი გვქონდა, ვიდრე მათ. მატიოსთვის პოზიციის შეცვლამ გაამართლა, ბრუნომ კარგად „ჩაკეტა" მესი. ჩვენ გვსურს ცხრილში უფრო მაღლა ასვლა, ასე რომ ამ განწყობით უნდა გავაგრძელოთ თამაში"*, - თქვა **უნაი ემერიმ**.

*„ჩვენ გვყავს ბრწყინვალე გოლკიპერი, მან მარცხისგან გვიხსნა, საოცარი სეივით. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ჩვენ კვლავ პირველები ვართ, „მესტალიაზე" ქულა კი ურიგო შედეგი არ არის"*, - უთხრა „მარკას" „ბარსელონას" პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ**.

27 წლის ნახევარმცველ **ხუან როდრიგესის** გოლის წყალობით ლა კორუნიაში „დეპორტივომ" 1:0 მოუგო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „სევილიას". გოლამდე „სევილიას" ორი საგოლე მომენტი შეექმნა, მაგრამ **რენატომ** და **ადრიანომ** ვერ გაიტანეს. 38-ე წუთზე როდრიგესმა **ფერნანდო ნავაროს** შეცდომით ისარგებლა და საკმაოდ შორი მანძილიდან გაიტანა - 1:0. ტაიმის მიწურულს **რიკის** თავური „სევილიას" სათადარიგო გოლკიპერმა **ხავი ვარასმა** მოიგერია. მეორე ტაიმში საგოლე მომენტები იშვიათად იქმნებოდა, **ნეგრედომ** შორეული დარტყმით მოსინჯა **არანსუბიას** მზადყოფნა, ხოლო **ესკუდემ** თავური ოდნავ ააცილა „დეპორტივოს" კარს.

*„ჩვენ ეს მოგება მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე მუდმივი შრომით დავიმსახურეთ. „სევილია" კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ მისი წუთითაც არ შეგვშინებია. რალაც არ მახსენდება არანსუბიას თავგანწირული ნახტომები, ან ჩვენი კარის ძელებს მორტყმული ბურთები. მოკლედ, გამარჯვება დამსახურებულია"*, - განაცხადა „დეპორტივოს" თავკაცმა **მიგელ ანხელ ლოტინამ**.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

24 ოქტომბერი. **ატლეტიკო-მალიორკა, სპორტინგი-რეალი, სევილია-ესპანიოლი.**
25 ოქტომბერი. **ხეტაფე-ბილბაო, რასინგი-ოსასუნა, ტენერიფე-ხერესი, ვალიადოლიდი-დეპორტივო, ვილიარეალი-მალაგა, ალმერია-ვალენსია, ბარსელონა-სარაგოსა.**

### დეპორტივო-სევილია 1:0

**დეპორტივო (4-3-3):** არანსუბია - პაბლო, კოლოტო, ლოპო, ფილიპე - სერხიო, როდრიგესი, ტომასი (74. ალვარესი) - რიკი (80. ადრიანი), პერესი (57. ვალერონი), გუარდადო.

**სევილია (4-4-2):** ვარასი - ადრიანო, სანჩესი, ესკუდე, ნავარო - ნავასი, რენატო, ზოკორა (86. ლოლო), პეროტი (58. კაპელი) - ნეგრედო (65. კონე), კანუტე.

**გოლი:** 1:0 როდრიგესი (38)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 9-10 (2-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 25 000

### რეალი-ვალიადოლიდი 4:2

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - რამოსი, პეპე, ალბიოლი, მარსელო - გრანერო, ჩაბი ალონსო, ლ. დიარა, ვან დერ ვაარტი (71. იგუაინი) - რაული (81. დრენტე), ბენზემა (71. კაკა).

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაკობო - ლოპესი, პრიეტო, ნივალდო, არსო - ბორხა (78. პელე), რუბიო - ალემანი (57. მანუჩო), მარკიტოსი, ფონტი (76. ბუენო) - კოსტა.

**გოლები:** 1:0 რაული (13), 2:0 რაული (18), 2:1 ალემანი (29), 3:1 მარსელო (45), 3:2 მარკიტოსი (53), 4:2 იგუაინი (79)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-12; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 19-19 (6-8); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 52 000

### ვალენსია-ბარსელონა 0:0

საქართველოს ნაკრები A ჯგუფში მოხვდა სწორედ დაღესტანთან, თურქეთსა და ბელარუსთან ერთად და მეორეზე გავიდა. ჩვენებმა მხოლოდ მასპინძლებთან წააგეს – 1:6, თურქეთს 5:1 მოუგეს (ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა), ბელარუსი კი 6:1 დაჯაბნეს. მოლოდინისამებრ, ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო დაღესტანმა, B ჯგუფში კი ასეთივე წარმატებას რუსეთის ნაკრებმა მიაღწია. ფინალშიც ეს გუნდები გავიდნენ, ჩვენებმა კი ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს. მათი მეტოქე იმ ჯგუფის მეორეადგილოსანი აზერბაიჯანი აღმოჩნდა, რომელიც თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით გამოდიოდა. მოგეხსენებათ, ჩვენს ნაკრებში ძირითადად ახალგაზრდები ჭიდაობდნენ და **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** პირველივე შეხვედრა წააგო, თუმცა მასავით ახალგაზრდა **იაშარ ალიევთან**. ამას **მალხაზ ქურდიანის** (60) და **შალვა მუზიაშვილის** (66) მოგებები მოჰყვა, რითაც 2:1 დავწინაურდით, მაგრამ როგორც აღმოჩნდა – პირველად და უკანასკნელად. დროებით ახალ წონაში გადანაცვლებულმა **კობა კაკალაძემ** (74), **ბექა ჭელიძემ** (84) და **ბელდუხ გავაშელმა** (96) მიყოლებით წააგეს და უკვე ცხადი გახდა, ბრინჯაო აზერბაიჯანმა მოიპოვა. თუმცა ჭელიძეს მსაჯებმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ნოვრუზ ტემრეზოვთან** შეხვედრის მიწურულს სუფთა გდება არ ჩაუთვალეს, დრო ამოიწურაო. წლევანდელ სეზონში ჩინებულად მოჭიდავე მძიმეწონოსანმა **გიორგი საკანდელიძემ**, ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ვიცე-ჩემპიონმა **მუსლიმ მუსლიმოვს** წმინდად კი მოუგო, მაგრამ ამით ანგარიში მხოლოდ შეამცირა მინიმუმამდე. ამ ტურნირს ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა ახალგაზრდების და სარეზერვოების გამოსაცდელად იყენებდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მუზიაშვილის გამოსვლა, რომელმაც ოთხივე შეხვედრა მოიგო. გუნდის ყველაზე უმცროსმა წევრმა ხინჩეგაშვილმა ასეთი შთამბეჭდავი შედეგი ვერ აჩვენა, მაგრამ მისთვის უხერხულ მეტოქეს, ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს **აჰმედ პეკერს** მოუგო.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი



ლიგამუსი

# მონდომებამ რა ჰქნა!..

**ითქვა და შესრულდა!** ითქვა, რომ წყალბურთში ქვეყნის ჩემპიონატის აღორძინებასთან ერთად საქართველოს თასიც გათამაშდებოდა. დღეს უკვე მონდომების შედეგს ვაფასებთ. ეს ტურნირი სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეს" აუზში დამთავრდა. მასში ახალგაზრდა წყალბურთელთა რვა გუნდი მონაწილეობდა. ისინი ორ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდნენ პირველობისთვის.

1995-1997 წლებში დაბადებულთა შორის პირველი ადგილი სპორტკლუბ „ივერიის" სპორტსმენებმა დაიკავეს, რომლებმაც (**ცოტნე ინწკირველი, სანდრო ყაზახიშვილი, გურამ გელაძე, ლუკა კახეთელიძე, გიორგი ზაქარეიშვილი, ხვიჩა ჯახია, ანდრო ბითაძე, ნიკა ცანკაშვილი, ნიკა ქირია, დავით რევია, ივანე ჩანტლაძე, ლაშა ბაბუნაშვილი, სანდრო მაისურაძე, ბექა თევდორაშვილი, ბეჟან ხურციძე**, მთავარი მწვრთნელი **ბორის მეგედი**, მწვრთნელები — **ნოე კინწურაშვილი** და **ნატა ნადირაძე**) გუშინ ბოლო ტურში უშუალო კონკურენტს „ლიგამუსს" სძლიეს 13:4 (მესამე ადგილზე „ლაგუნა ვერე" გავიდა), სამაგიეროდ, უფროს ასაკში ლიგამუსელებმა იყოჩაღეს. მართალია, ტურნირის ბოლო პაექრობაში ისინი „ივერიას" დაუზავდნენ — 4:4, მაგრამ „ლიგამუსს" (**ნიკოლოზ შუბლაძე, ლევან ჩიქვინიძე, სანდრო ხუციშვილი, გიორგი ქარჩილაძე, თორნიკე ბარბაქაძე, გიორგი ჩახავა, ოთარ გოგავა, დავით გალდავა, გიორგი ფირანიშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, ლევან ყავლაშვილი, თეიმურაზ ცაავა, ლევან ჩომახიძე, ამირან ჯიმშელეიშვილი, თორნიკე ბროლაძე**, მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე**, მწვრთნელები — **ნოდარ ჩხარტიშვილი და გოგა დოლიძე**) ბურთების სხვაობა (37:7) უკეთესი აღმოაჩნდა და მთავარი პრიზიც ხვდა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, „ივერია" და „დელფინის" მძლეველი „ლაგუნა ვერე" გავიდნენ.

გამარჯვებულები და პრიზიორები სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა**, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ**, გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ, რევაზ ჩომახიძემ**, ყოფილმა წყალბურთელებმა — **მურთაზ გულედანმა** და **დავით რურუამ** დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ივერია

ჩოგბურთი

# ორი ჩემპიონი დღეს გამოვლინდება

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დღეს დასრულდება საქართველოს ჩოგბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი. 11 საათზე სამი შეხვედრაა დანიშნული: ქალთა გადამწყვეტ პაექრობაში, როგორც გაუწყეთ, **სოფიო შაფათავა** და **სალომე კვიტაშვილი** დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ვაჟთა ფინალში **თემურ ძაგნიძე** და **გიორგი ცივაძე** ითამაშებენ. ძაგნიძემ მეოთხედფინალში **მიხეილ ხმიადაშვილს** სძლია (2:6, 6:0, 6:2), ხოლო ნახევარფინალში **ზვიად ცერცვაძე** დაამარცხა (6:4, 4:6, 7:6). ცივაძემ ჯერ **ალექსანდრე თავხელიძე** ჩამოიშორა გზიდან იოლად (6:1, 6:2), მერე **გიორგი რევაზიშვილს** აჯობა (6:4, 6:4). მე-3 ადგილისთვის რევაზიშვილი და ცერცვაძე გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

გუშინ ქალთა ერთეულთა თანრიგში გამოვლინდა ბრინჯაოს მედლის მფლობელი: **დიანა დავითაიამ** დაძაბულ ბრძოლაში **სალომე ჩაჩხუნაშვილი** დაამარცხა (3:6, 6:4, 7:5).

დასრულდა წყვილთა პაექრობებიც. ქალებში **ანა ჯიქია-სალომე კვიტაშვილის** დუეტმა **თამარ კომახიძე** და სოფიო შაფათავა დაჯაბნა - 2:6, 6:3, 10:7. მე-3 ადგილზე დიანა დავითაია და **ნინო მებუკე** გავიდნენ.

ვაჟებში უძლიერესი იყო გიორგი რევაზიშვილისა და **რობერტ ჩაჩავას** წყვილი, რომელმაც ფინალში გიორგი ცივაძესა და **დემეტრე თაქთაქიშვილს** მოუგო - 6:3, 3:6, 10:1. ბრინჯაოს მედალი ალექსანდრე თავხელიძესა და ზვიად ცერცვაძეს ხვდათ.

**ვაჟა დანელია**



მარცხნივ: ანა ტატიშვილი

# ტატიშვილი ფინალშია

**ანა ტატიშვილი** (186) კანზას სიტის (50 ათასი $) ტურნირის წყვილთა ბადის ფინალშია, სადაც ამერიკელ **ლილია ოსტერლოსთან** (154) ერთად მე-4 ნომრად არის განთესილი. ფინალი წუხელ, გვიან ღამით გაიმართებოდა, ჩვენებურის და ოსტერლოს მეტოქეები მასპინძლები, **ლაურა გრენვილი** (335) და **ჯულია ბოუზრეპი** (690) იყვნენ. ტურნირის ნახევარფინალში ანამ და ლილიამ რუმინელი **ედინა გალოვიცისა** (92) და ამერიკელი **ვარვარა ლეპჩენკოს** (105) წყვილი დაამარცხეს - 6:2, 6:3. ერთეულთა თანრიგს ანა მეოთხედფინალში დაემშვიდობა, სადაც ის ერთადერთი გაუთესავი ჩოგბურთელი იყო. მან მან მე-4 ნომრად განთესილ კანადელ **ვალერია ტეტროსთან** (131) დამარცხდა - 3:6, 4:6. ანამ 24 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

თურქულ ანთალია-ბელეკში (10 ათასი $) მეოთხედფინალში შეაჩერეს საკვალიფიკაციო ბადიდან გასული **თათია მიქაძე** (519). თათიამ ჰოლანდიელ **დანიელ ჰარმსენსთან** (524) ვერაფერი გააწყო - 0:6, 3:6. თათია მიქაძემ 5 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა თურქეთში ასპარეზობით.

ფრანგულ სან რაფაელში 50-ათასიანი ტურნირი იწყება, სადაც **მაკა ჩახნაშვილი** (213) პირველ წრეში ესპანელ **სილვია სოლერ-ესპინოსას** (185) ეთამაშება. მაკამ წლეულს გრადოს ტურნირში სამ სეტში წააგო ესპანელთან და ახლა შური აქვს საძიებელი მასზე. მაკას შეიძლება ორი თანამემამულე შეუერთდეს ძირითად ბადეში. პირველ საკვალიფიკაციო წრეში **ეკა გორგოძემ** (510) ფრანგ **სიბილ გოვენს** მოუგო - 6:4, 6:2. ხოლო **სოფიო ქვაცაბაიამ** (520) გერმანელი **იულია ბაბილონი** (428) დაამარცხა - 6:4, 7:5, არადა მეტოქემ ქართველს ერთბაშად 12 ეისი ჩაუგდო. სოფიო ფინალურ წრეში ხორვატ **იასმინა ტინჯიჩს** (602) შეხვდება, ხოლო ეკა - ჩეხ **ევა ბირნეროვას** (288), მსოფლიოს მოწინავე ასეულის ყოფილ წევრს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA
www.sport.gov.ge
ქართული სპორტის ყოველდღიური სიახლეები
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ვებგვერდზე
www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## ძიუდო

მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# ახალგაზრდები პარიზისთვის გაემზადნენ

ჰაჰ ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **სოსო ლიპარტელიანმა** დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 22-25 ოქტომბერს პარიზში, მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაში იჭიდავებს: **შმაგი ლაგაზაური** (55), **პაატა მერებაშვილი** (60), **ზურაბ კაპანაძე** (66), **ლაშა ზურაბიანი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **შალვა ბერუაშვილი** (100), **უშანგი კოკაური** (+100).

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ერთი თვის წინ ერევანში ევროპის ჩემპიონატშიც გამოვიდა და დროის ასეთ მცირე მონაკვეთში გარკვეული ცვლილებები მოსალოდნელიც იყო. მაშინდელთან შედარებით, გუნდში ოთხი ახალი კადრია – ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი, ხოლო ახალგაზრდებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ლაგაზაური (ამან ევროპისწინა დასკვნით შეკრებაზე ხელი იტკინა, თორემ ერევანში წასვლა გარანტირებული ჰქონდა), ასევე ჭაბუკებში ევროპის შარშანწინდელი ვიცე-ჩემპიონი კაპანაძე, ზურაბიანი და ბერუაშვილი. ამათგან ყველაზე მოულოდნელი ზურაბიანის გამოჩენაა, რადგან ამ წონაში ერევანში **ნუგზარ ტატალაშვილი** მესამეზე გავიდა. ბარემ აქვე ევროპული მონაგარიც გავიხსენოთ – ჭრიკიშვილი ასევე მესამე იყო, მერებაშვილი კი ჩემპიონი გახდა. მისასალმებელია, რომ ამ ბიჭს საზღვარგარეთ წასვლაზე სავიზო პრობლემა მოეხსნა და პარიზშიც იჭიდავებს. მერებაშვილი ამ წონის ფავორიტი და ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იმედი იქნება.

ნაკრებმა დასკვნითი შეკრება გორში გაიარა, საფრანგეთში კი 21 ოქტომბერს, გამთენიისას გაფრინდება. შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენმა გუნდმა ანალოგიურ ტურნირზე ვარშავაში ორი მედალი მოიპოვეს – ჩემპიონი აწ უკვე ეროვნული ნაკრების ლიდერი და უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** (90) გახდა, **გიორგი ბროლაშვილი** (55) კი მესამეზე გავიდა. ის ტურნირი ჩვენთვის სკანდალური გამოდგა – მისი მიმდინარეობისას სამი ჩვენებური დააკავეს და ვარშავის ციხეში ტყუილ-უბრალოდ რამდენიმე თვე გაატარებინეს.

**ირაკლი თავაძე**



საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

# საქართველო ჭაბუკებმაც გაარჩიეს

ძიუდოს აკადემიაში დასრულდა ჭაბუკთა ქვეყნის პირველობა, რომელმაც გამოავლინა ის ნორჩი მოჭიდავეები, რომლებიც სულ მალე – 30-31 ოქტომბერს კობა კურტანიძის ხსოვნის პირველ საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებენ. მისასალმებელია ასეთი სახელოვანი ფალავანის ხსოვნის ტურნირს რომ ეყრება საფუძველი. იმედია, ტრადიციულიც გახდება და პოპულარობასაც მოიხვეჭს. წინასწარი მონაცემებით, ახლანდელ შეჯიბრებაში უკრაინის, თურქეთისა, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები გამოვლენ.

საქართველოს პირველობამ თბილისელთა უპირატესობით ჩაიარა, რომლებმაც გუნდური პირველობა 38 ქულით მოიპოვეს. მეორეზე 32,5-ით იმერეთის ნაკრები გავიდა, მესამე ადგილის მფლობელი კი დამატებითი მაჩვენებლებით გამოვლინდა – შიდა ქართლმა და კახეთმა 26-26 ქულა დააგროვეს, მაგრამ ქართლელებმა კონკურენტს ჩემპიონთა რაოდენობით აჯობეს და ბრინჯაოც მათ დარჩათ.

კვარცხლბეკი. მეორე დღე.

55 კგ. 1. **ვალერი ახვლედიანი** (შიდა ქართლი); 2. **პაპუნა ონიანი** (იმერეთი); 3. **ბექა ფალიანი** (სამეგრელო-ზემო სვანეთი); 3. **სოლომონ ჯოჯუა** (ქვემო ქართლი).

60 კგ. 1. **აპოლონ ზურაბიანი** (თბილისი); 2. **იაგო გვენეტაძე** (იმერეთი); 3. **დავით ჭიკაიძე** (კახეთი); 3. **გიორგი მუზაშვილი** (შიდა ქართლი);

66 კგ. 1. **ბექა ლვინიაშვილი** (შიდა ქართლი); 2. **ბექა დონლვანი** (თბილისი); 3. **ივანე ჩურჩხელაშვილი** (კახეთი); 3. **ჯუმბერ ჯანეზაშვილი** (შიდა ქართლი).

+66 კგ. 1. **ჯაბა კაპანაძე** (იმერეთი); 2. **გიორგი ლაზუაშვილი** (იმერეთი); 3. **ადამ ვარაზაშვილი** (თბილისი); 3. **ზაზა ხუბულური** (კახეთი).

**ირაკლი თავაძე**

## ძალოსნობა

# ამჯერადაც უმედლოდ




ქალაქ ვლადისლავოვოში(პოლონეთი) დამთავრდა 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც სამი ქართველი ათლეტი მონაწილეობდა. უკვე გაუწყეთ, რომ **ზვიად სამუკაშვილმა** (56 კგ) ორჭიდში მე-7 ადგილი დაიკავა, **თეიმურაზ ჩხეიძე** (85 კგ) მე-6 იყო, გასულ უქმეებზე კი ძალები **ალუდა მანაგაძემ** (94 კგ) მოსინჯა. ატაცი მან 155 კილოთი დაიწყო. სასტარტო წონას შემდეგ 3 კილო დაუმატა, თუმცა მის დასაძლევად ორივე ცდა ფუჭი აღმოჩნდა. აკვრაში 186-კილოიანი შტანგა დაიმორჩილა, ორჭიდის ჯამში 341 კილო მოაგროვა, რამაც მხოლოდ მე-5 ადგილი მოუტანა. 362 კილოგრამით (163+199) ჩემპიონობა ლიტველმა **აურიმას დიდსბალისმა** მოიპოვა. გამარჯვებულს 3 კილოთი (160+199) ჩამორჩა სომეხი **ვარდან დავთიანი**, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა, ხოლო ალბანელი **სერაფიმ ველი** 348 კილოთი (158+190) ბრინჯოს დასჯერდა.

**ვაჟა დანელია**

## ფიგურული ციგურაობა

# პარიზული მეშვიდე...

სრიალის საერთაშორისო კავშირის (ISU) 2009-10 წლების გრან-პრის პირველი ეტაპი პარიზში, „ბერსის" დარბაზში გაიმართა. ქალთა შორის ფიგურულ ციგურაობაში ათ მონაწილეს შორის **ელენე გედევანიშვილიც** იყო. ერიკ ბომპარის ტროფეიზე ძალზე ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა: პარიზში იასპარეზა 19 წლის კორეელმა მსოფლიოს ჩემპიონმა **იუ-ინა კიმმა**, მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონმა იაპონელმა **მაო ასადამ** და მისმა თანამემამულე **იუკარი ნაკანომამ**, რეიტინგით პირველმა მოციგურავემ, ევროპის ორგზის ჩემპიონმა, იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა**, ახალგაზრდებში 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, 16 წლის ამერიკელმა **კაროლინ ჩანგმა** და მისმა თანამემამულე **ალექს ჟილესმა**, ფინელმა **კირა კორპიმ**, ფრანგმა **გვენდოლინ დიდიემ** და პოლონელმა **ანა იურკიევიჩმა**.

თავისთავად ცხადია, ასეთ კონკურენციაში 19 წლის ქართველი მოციგურავე ვერ იქნებოდა ფავორიტი, თუმცა მისგან მაინც უკეთ გამოსვლას ველოდით. მაგრამ ელენემ აშკარად ჩააგდო მოკლე პროგრამა, რომელშიც ის ტრადიციულად ძლიერია. ახალ სეზონს გედევანიშვილი და მისი მწვრთნელი **რობინ ვაგნერი** ახალი მოკლე პროგრამით შეხვდნენ, რომელიც ქორეოგრაფმა **ნიკოლაი მოროზოვმა** დადგა ელენესთვის **დევინპორტის** „ციებ-ცხელების" ჰანგებზე. გედევანიშვილი პარიზის ყინულზე მე-4 გავიდა და მსაჯებისგან სულ რალაც (12 ქულით ნაკლები, ვიდრე მისი საუკეთესო შედეგია) 48,68 ქულა მიიღო. (ტექნიკურ კომპონენტებში - 24,20, ხოლო პროგრამულში - 24,48). ამ მონაცემით ქართველმა მხოლოდ ორ მონაწილეს გაუსწრო პოლონელ იურკიევიჩს და ფრანგ დიდიეს. მოკლე პროგრამის შემდეგ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი კიმი დაწინაურდა 76,08 ქულით. მას იუკარი ნაკანო უკვე იმდენად ჩამორჩებოდა (59,64 ქულა), რომ ცხადი იყო, კორეელი ტროფეის მოპოვების უპირველესი ფავორიტი იყო. მესამე ადგილზეც იაპონელი გავიდა - მაო ასადა (58,96).

შაბათს, თავისუფალ პროგრამაში ელენემ კარგად იასპარეზა, 94,75 ქულა მოუყარა თავი, რაც მე-6 შედეგი აღმოჩნდა. რომ არ დაცემულიყო, უკეთეს ქულებს დააგროვებდა. ჯამში ქართველმა 143,43 ქულით კიდევ ერთი სპორტსმენის, კირა კორპის გადასწრება შეძლო და საბოლოოდ პარიზის გრან-პრი მე-7 ადგილზე დაასრულა. თავისუფალ პროგამაში მაო ასადამ ბრწყინვალედ ისრიალა და საერთო ჩათვლაში თანამემამულეს გადაასწრო. რაც შეეხება კორეელ კიმს, ის უბრალოდ შეუდარებელი იყო (133 ქულა თავისუფალ პროგრამაში), ჯამში 210,03 ქულით ერიკ ბომპარის ტროფეი კორეელს დარჩა. მე-4 ადგილზე ამერიკელი ჩანგი გავიდა, მე-5-ზე - მისი თანამემამულე ჟილესი, მე-6 ადგილს დასჯერდა კაროლინა კოსტნერი, რომელმაც მოკლე პროგრამა ჩააგდო. ვაჟთა შორის გრან-პრის გამარჯვებული იაპონელი **ნობუნარი ოდა** (242,53 ქულა) გახდა.

წლის ბოლოს იაპონიაში გრან-პრის ფინალური გათამაშება გაიმართება, სადაც 6 ეტაპის საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბებიან. ელენე (ისევე, როგორც სხვები), 6-დან მხოლოდ 2 ეტაპზე ასპარეზობს, მას შანსი 12 ნოემბერს „სკეიტ ამერიკაზე" მიეცემა, თუმცა ფინალში მოხვედრის შანსები პარიზული შედეგის შემდეგ მიზერულია. სხვათა შორის, გედევანიშვილი არც არასდროს მოხვედრილა გრან-პრის ფინალურ ეტაპზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ბატუტზე ხტომა



მარცხნიდან. პირველ რიგში: ზურაბ ნოზაძე, თეონა ჯანჯღავა, ლაშა გაბაშვილი, მეორე რიგში: რუსტამ კალოევი, დიმიტრი ზუტიკოვი, თემურ სონლულაშვილი

# სალონიკიში გვასახელეს, წინ მსოფლიოს ჩემპიონატია

ბერძნული სალონიკი სამ დღეს მასპინძლობდა ბატუტზე მხტომელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს „სპარტაკუს თასს", რომლის გათამაშებაში 14 ქვეყნის 250-მდე ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის თბილისელი გოგონები და ვაჟები.

ინდივიდუალურ ხტომებში ტოლი არ ჰყავდა 49-ე სკოლის მეექვსეკლასელ **თეონა ჯანჯღავას**, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ თეონამ მსგავს წარმატებას ამ ტურნირზე შარშანაც მიაღწია. მაშინ იგი პირველი იყო სინქრონულ ხტომებშიც **ანა ოდიშვილთან** ერთად. ამჯერად მისმა მეწყვილემ ობიექტური მიზეზებით ელადაში გამგზავრება ვერ მოახერხა, ამიტომ მხოლოდ ერთ მთავარ ჯილდოს დასჯერდა. სამაგიეროდ, სინქრონულ ხტომებში ჯანჯღავას თანაგუნდელებმა — **ლაშა გაბაშვილმა** (99-ე საჯარო სკოლა) და **ზურაბ ნოზაძემ** (მე-10 საჯარო სკოლა) გაიმარჯვეს. ინდივიდუალურ ხტომებში ბულგარელ **გიორგი გეორგიევს** მცირედით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა ნოზაძემ. გუნდურ ჩათვლაში ასევე ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი **თემურ სონლულაშვილმა** (დილმის 177-ე სკოლა), **რუსტამ კალოევმა** (105-ე სკოლა) და **დიმიტრი ზუტიკოვმა** (121-ე სკოლა). ჩვენებს მხოლოდ პოლონელებმა გაუსწრეს. ქართველი სპორტსმენების მომზადებასა და წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს — **ლია ხრიკულს, რევაზ გამხოშვილს, ვლადიმირ გოლოვინს, ლუდა გოლოვინას, ზურაბ კიკნაძეს, შავავ კალოევსა და თამაზ გოგინაშვილს.**

— ეს შეჯიბრება ჩვენი ბატუტზე მხტომელებისთვის ბოლო მოთელვა იყო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელსაც 8-15 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგი უმასპინძლებს, — გვითხრა ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა **რუსუდან ხოფერიამ**. — ამ დიდ ფორუმზე უფროსებში ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე და ნანა ლუჭაშვილი იასპარეზებენ. ხოლო ახალგაზრდებში **გიორგი ფუტკარაძე, რუსტამ კალოევი, დიმიტრი ზუტიკოვი, ზურაბ ნოზაძე, ნანა გოგაშვილი, ანა ოდიშვილი და თეონა ჯანჯღავა** მოსინჯავენ ძალებს.

**— ჩვენი სპორტსმენების მომზადების დონე თუ გაკმაყოფილებთ?** — ვკითხე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზაურ სულაშვილს**.

— ლუბა გოლოვინამ და თენგიზ კოშკაძემ აგვისტო-სექტემბერში მსოფლიოს თასის გათამაშების სამ ეტაპზე იასპარეზეს. ლუბას მთელი ამ ხნის განმავლობაში წელის ტკივილი აწუხებდა, მაგრამ სამჯერვე ფინალში მოხვდა, პოლონეთში კი მე-4 ადგილი დაიკავა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია, რადგან ამ ტურნირებზე სახელოვანი ბატუტისტები გამოდიოდნენ — რუსი ირინა კარავაევა, ჩინელები — ჰი ვიენა, ჰიან შანშანი, კანადელები — კარენ კოკბურნი, როსანა მაკლებანი, უკრაინელი ალიონა მოვშანი, უზბეკი ეკატერინა ხილკო, ინგლისელი კატერინა დრიქსელი და სხვები. სპეციალისტებს რომ ეგონათ, ზოგიერთი ვეტერანი დიდ სარბიელს დატოვებდა, სულ ტყუილი გამოდგა. სანკტ-პეტერბურგი უძლიერეს მხტომელებს მოუყრის თავს. საამისოდ ჩვენც ვემზადებით. გოლოვინა ახლა ბევრად უკეთ გრძნობს თავს, წინა შეჯიბრებებზე ახალი ვარჯიშები გამოიტანა. პირად მწვრთნელ ვლადიმირ გოლოვინთან ერთად მისი ვარჯიშების სირთულის კოეფიციენტი 13,7-დან 14,1-მდე გავზარდეთ, პროგრამაში სამმაგი სალტო შევიტანეთ. ყოველივე ეს წარმატების შანსს საგრძნობლად ზრდის. რაც შეეხება კოშკაძეს, პოლონეთში მე-9 ადგილზე გავიდა. მანაც ახალი პროგრამა მოამზადა და გამოცადა, სირთულის კოეფიციენტმა 16,4-მდე მიაღწია. მისი დახვეწილი შესრულებით ფინალში მოხვედრაც შეიძლება. ვნახოთ. ახალგაზრდებმა სალონიკიში გვასახელეს. მართალია, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტები იქნებიან, მაგრამ, იმედია, წარმატების მისაღწევად არაფერს დაიშურებენ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

## ავტოსპორტი

# პირველად საქართველოში

გუშინ უჩვეულო სანახაობამ გააკვირვა ვარკეთილის დასახლების მცხოვრებნი და რბოლის სანახავად მოსული მაყურებელი. პირველად საქართველოში, სწორედ დედაქალაქის ამ დასახლების ქუჩებში მონაკოს პრინციპით ჩატარდა პროფესიონალ ავტომრბოლელთა ასპარეზობა. ეს იყო „რომპეტროლის სეზონი 2009"-ის წრიული რბოლის მეხუთე ეტაპი — „თბილისის გრან-პრი 2009". შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამჯერადაც ძირითადად წინა ეტაპებზე დაწინაურებულებმა გამოიჩინეს თავი.

**კვარცხლბეკი**

**1600 კბ. სმ.მდე კლასში**

1 მევლუდ მელაძე
2. ოთარ თავართქილაძე
3. სანდრო ლომიძე

**1500 კბ.სმ. კლასი**

1. დავით ჩხიკვიშვილი
2. გიგა ლორთქიფანიძე
3. ლევან მაკასარაშვილი

**სალომე გველესიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ნანა ძაგნიძე: ქულის გაყოფა დამენანა და დავისაჯე

**ქართველი მოჭადრაკე ქალებისთვის წლევანდელი შემოდგომა ტურნირებით დახუნძლული აღმოჩნდა: ეს გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი და ევროპის საკლუბო პირველობაო, იქ გრან-პრის ტურნირი და სხვა შეჯიბრება, 21 ოქტომბრიდან კი სერბული ნოვი სადი ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ ტურნირისთვის მონდომებით ემზადებიან ჩვენი ლიდოსტატები. როგორც ჭადრაკის ფედერაციაში გვაცნობეს, საქართველოს მანდილოსანთა გუნდში ცვლილებებია — ობიექტური მიზეზებით, სერბეთში ვერ გამოვა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ასევე, მაია ლომინეიშვილი. გუნდი კი ასე დაკომპლექტდა: ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიო ხუხაშვილი და ბელა ხოტენაშვილი. პირველ დაფაზე ქუთაისელი ნანა ძაგნიძე ითამაშებს, რომელმაც წლევანდელ ტურნირებში შესანიშნავად იასპარეზა - ჩინეთში ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში მეორე იყო, ხოლო ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში მე-2 დაფაზე პირველი-მესამე ადგილები გაიყო.**
**სერბეთში გამგზავრების წინ ნანასთან საუბარი, სწორედ, ჩინური ბატალიების გახსენებით დავიწყეთ.**

— საშინლად მომქანცველი იყო მსოფლიოს ჩემპიონატი, ალბათ, უფრო იმის გამო, რომ უმთავრესი წნეხი პირველ-მეორე დაფებზე მოდიოდა. მთლიანად ტურნირზე ვიყავი კონცენტრირებული. ჩემ გვერდით დაფასთან ქალბატონ მაია ჩიბურდანიძეს რომ ვხედავდი, ძალა მემატებოდა. საქართველოს ნაკრებისთვის ის უდიდესი ძალაა ფსიქოლოგიურადაც: ყოველთვის საბრძოლველადაა შემართული. ქალმა ჭადრაკში ყველაფერს მიაღწია, მაგრამ მას ინდიფერენტულ განწყობილებას ვერასდროს შეამჩნევ, ამიტომ მისი ჟინი და ბრძოლისუნარიანობა, ძალაუნებურად, შენზეც გადმოდის, თავს მოდუნების უფლებას ვერ აძლევ.

ჩინეთში სომხეთის ნაკრების წინააღმდეგ ქალბატონ მაიას არ უთამაშია და ეს უმალ დაეტყო გუნდს: მართალია, პირველ დაფაზე დანიელიანს ვძლიე, მაგრამ ჩვენმა ორმა მოჭადრაკემ წააგო და საბოლოოდ დავმარცხდით, რაც ისეთი შოკი აღმოჩნდა, რომ კარგა ხანს გონს ვერ მოვეგეთ. რუსებთან წაგებაც, ალბათ, ამის ბრალი იყო. საწყენად არ ვამბობ, მაგრამ ბოლო დაფამაც დაგვაღალატა. ჩვენს მოჭადრაკეებს თავისი კლასით თუნდაც გუნინასთან დასანებებელი არაფერი სჭირდათ.

**— შენ გუნინა ეძახე და თავის დაფაზე მცირე ოქროს მედალი კი მოიპოვა...**

— ერთი უნებლიე წაგება წავდგა. თამაშებს სამის ნახევარზე ვიწყებდით. მას დრო აერია. კაპიტანმა დაურეკა თუ არა, მალევე შემოვიდა დარბაზში, მაგრამ საათები უკვე ჩართული იყო და მთავარმა მსაჯმა დაგვიანება არ აპატია — ტექნიკური წაგება ჩაუთვალა, შემდეგ ზედიზედ 6 პარტია მოიგო.

შარშანდელი საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ გამკაცრდა წესები — შეჯიბრების დაწყებამდე 5 წუთით ადრე უკვე დაფასთან უნდა იჯდე. მიმაჩნია, რომ სამართლიანი მოთხოვნაა — ფეხბურთში, კალათბურთში ან სპორტის რომელიმე სახეობაში დაგვიანების უფლებას მოგცემენ? ჭადრაკი თუ სპორტია, აქაც იგივე პრინციპები უნად მოქმედებდეს.

**— საპრიზო ადგილების დაკავება თუ შეიძლებოდა?**



— ჩემპიონობის მოპოვებაც რეალური იყო. ჩვენ ხომ პირველ-მესამე ადგილებზე გასულთ თითო ქულით ჩამოვრჩით. ვერც კი ვიხსენებ, საქართველოს ქალთა ნაკრებმა ზედიზედ სამი მატჩი როდის წააგო. ცხადია, გული დაგვწყდა, მაგრამ ცხოვრება ერთი ტურნირით ხომ არ მთავრდება. სულ მოსაწყენ ამბებზე რომ არ ვილაპარაკო, ერთ სახალისო შემთხვევასაც გავიხსენებ: მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის კაპიტნებს პარტიის მსვლელობისას მოთამაშეებთან კონტაქტი აუკრძალეს, არადა, უწინ ყაიმის შეთავაზების უფლებაც ჰქონდათ. ამის საწინააღმდეგოდ ყველამ რაღაც შეიმუშავა. ჩვენ ასე გადავწყვიტეთ: ქალბატონი ნინო გურიელი ნამცხვარს ვისაც მიუტანდა, იგი მეტოქეს უნდა დაზავებოდა. ამერიკელებთან შეხვედრისას სამ დაფაზე უკეთესი პოზიციები გვქონდა. ამიტომ ქალბატონმა ნინომ ხუხაშვილს ნამცხვარი მიართვა. სოფიკოს ჩვენი პირობა დაავიწყდა, ძლევნი მიიირთვა და პარტია განაგრძო. კიდევ კარგი, რომ ენდშპილში საყაიმო გზას მიაგნო, მატჩი კი 3:1 მოვიგეთ.

**— ეტყობა, ჩინეთი ძალიან მოგეწონა, თითქმის თვენახევარი იქ რომ დაყავი...**

— თვითმფრინავით მგზავრობა არ მიყვარს, მით უმეტეს — შორ მანძილებზე. მიწაზე უფრო მყარად ვგრძნობ თავს. ფიდეს გრან-პრიზე ჩინეთში უნდა მეასპარეზა, ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შინ დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მასპინძლებისგან საკმაოდ მიმზიდველი შემოთავაზება მივიღე — ჯერ ჩინეთის ლიგაში 3 პარტია მეთამაშა, მერე გრან-პრიმდე საერთაშორისო ტურნირზეც მიმიწვიეს.

**— ნანჯინში შესანიშნავი სტარტი აიღე, მაგრამ ფინიშთან მეორე მიხვედი. რა მიზეზით?**

— ფიდეს გრან-პრი 6 დიდ ტურნირს ითვალისწინებს. მასში 18 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობს. თითოეულმა 4 შეჯიბრებაში უნდა ვიასპარეზოთ. ვინც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს, იგი 2011 წელს მსოფლიოს ჩემპონობისთვის ალექსანდრა კოსტენიუკს შეხვდება. ამიტომ გრან-პრის ორთაბრძოლებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ნანჯინში ზედიზედ 4 პარტია მოვიგე. მეხუთეში ფრანგ სებაგთან მიტელშპილში შანსი მქონდა, ყაიმისთვის მიმეღწია, მაგრამ ქულის გაყოფა დამენანა და დავისაჯე კიდეც. მომდევნო დღეს დავისვენეთ. ასპარეზობის მთავარმა სპონსორმა ექსკურსია მოგვიწყო, საღამოს კი რესტორანში დაგვპატიჟა. არ ვიცი, ისეთი რა ვჭამე, რომ მოვიწამლე. კიდევ კარგი, რომ იმავე სასტუმროში ცხოვრობდა ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ტურნირზე სააპელაციო ჟიურის თავმჯდომარედ იყო მიწვეული. დილაუთენია მისი დახმარებით საავადმყოფოში აღმოვჩნდი. მადლობელი ვარ ქალბატონ ნონასი. ექიმებმა დროულად მიწამლეს და შეჯიბრებაზეც დაუგვიანებლად მივედი. ეტყობა, მომდევნო დღეებში ძალების ბოლომდე აღდგენა ვერ შეძველი. თუმცა მე-2 ადგილით უკმაყოფილო არ ვარ. 110 ქულა დავიმსახურე. ვეცდები, გრან-პრის სხვა ტურნირებში უკეთ ვითამაშო.

**— მანამდე კი ევროპის გუნდური ჩემპიონატია...**

— დიახ. რამდენიმე დღეა, რაც თბილისში დავბრუნდი და დასვენება მოვასწარი. გულდასაწყვეტია, რომ ქალბატონი მაია ჩიბურდანიძე ვერ ითამაშებს. უმისობა ნამდვილად დაგვეტყობა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საპრიზო ადგილებზე გავიდეთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



# მარათონი ეროვნულ ბანკში დამთავრდა

იმ დღეს უჩვეულო ხალხმრავლობა და ჟრიამული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის დიდ დარბაზში. მერე საათები ჩაირთო თუ არა, ყველაფერი მიყუჩდა, მხოლოდ გულშემატკივართა გადაჩურჩულებას თუ გაიგონებდით. ეროვნულმა ბანკმა სკოლებს შორის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველი ჩემპიონატის დასკვნით ტურს უმასპინძლა. ეს შეჯიბრება კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი ინიციატივით ორ ეტაპად მოეწყო. ჯერ რეგიონებისა და თბილისის გამარჯვებული გუნდები (თითოეულში 3 ვაჟი და 1 გოგონა) გამოვლინდნენ, შემდეგ კი მათ შორის უძლიერესი გაირკვა. ორგანიზატორებმა 11 კოლექტივი აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაყვეს. წრიული სისტემით გამართულმა პაექრობებმა ორი-ორი საუკეთესო დაასახელა.

გადამწყვეტი მატჩების გასამართავად ისინი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **გიორგი ქადაგიძემ** მიიწვია და ასპარეზობის მონაწილეებს შესანიშნავი პირობები შეუქმნა.

ფინალში ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლის (დირექტორი **რუსუდან ჭეიშვილი**, მწვრთნელი **ალექსანდრე არსენიძე**) გუნდმა 2,5:1,5 აჯობა თბილისის 25-ე სკოლის (მწვრთნელი **ზაზა ჭკუასელი**) წარმომადგენლებს (**ზურაბ ჯავახაძე-ირაკლი ჯანიაშვილი** 1:0, **გიგა დარსაველიძე-გიორგი ქერაშვილი** 0:1, **გიორგი დანგაძე-რევაზ ჭკუასელი** 0,5:0,5, **ანა შამათავა-მარიამ სულამანიძე** 1:0) და ჩემპიონობა მოიპოვა. საგულისხმოა, რომ რიონისპირელთა 21-ე სკოლაში ჭადრაკი 2000 წლიდან სასწავლო საგნად არის შეტანილი. გაისად ამ გუნდს ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა ევროპის ჩემპიონატზე მოუწევს.

მესამე ადგილზე გორის მე-2 სკოლის ნაკრები (**ალექსანდრე ხახუტაშვილი, ლუკა ლიჩელი, ვასილ დოთიაშვილი, მედეა ჩუბინიძე**, მწვრთნელი **ოთარ დოლიძე**) გავიდა. დაფების მიხედვით პირველები იყვნენ: **ზურაბ ჯავახაძე** (I დაფა), **გიორგი ქერაშვილი** (II დაფა), **რევაზ ჭკუასელი** (III დაფა) და **ნინო ანაკიძე** (IV დაფა).

გამარჯვებულები და პრიზიორები თასებით, მედლებით, და დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ირინე ქურდაძემ**, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ და ჭადრაკის ფედერაციის თავკაცმა **გია გიორგაძემ** დააჯილდოვეს. გიორგი ქადაგიძემ პირველ-მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს 1000, 800 და 500 ლარი გადასცა, ასევე 1000 ლარი ხვდა ქუთაისელ **ზურაბ ჯავახაძეს** ტურნირზე საუკეთესო შედეგისთვის.

— ჩვენი დღევანდელი ღონისძიება ერთჯერადი აქცია არ იქნება. მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ჭადრაკის ფედერაციასთან, რათა შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ მას და საქართველოში ბრძენთა თამაშის განვითარებას ხელი შევუწყოთ, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

გია გიორგაძემ მოჭადრაკეთა სახელით მადლობა გადაუხადა მასპინძლებსა და განათლების სამინისტროს ამგვარი პროექტის ინიციატივისა და ერთობლივად განხორციელებისთვის. თან სამინისტროს სთხოვა: იქნებ, ჭადრაკი სამომავლოდ სკოლაში სავალდებულო სასწავლო საგნად შეიტანოთ, რაც ხელს შეუწყობს როგორც სპორტის ამ სახეობის განვითარებას, ისე მოსწავლეთა სწავლისუნარიანობის ამაღლებას.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ხელბურთი

# მოსალოდნელი შედეგით




გუშინ და გუშინწინ საქართველოს ჩემპიონმა "თბილისმა" ლისაბონში ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის ორი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა ჩაატარა "ბენფიკას" წინააღმდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, პორტუგალიელთა მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა და "ბენფიკამ" შაბათს პირველი მატჩი 34:21 მოიგო. მეორე თამაში წუხელ გვიან ღამით დასრულდა და მის შედეგს "ლელოს" ხვალინდელ ნომერში შეგატყობინებთ, თუმცა ვეჭვობთ, "თბილისს" 13-ბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა მოეხერხებინა.

ამ მარცხის მიუხედავად, "თბილისის" ევროპული ასპარეზობა დადებითად უნდა შევაფასოთ, ვინაიდან პირველად ბოლო წლების განმავლობაში, ქართულმა გუნდმა ევროთასების საწყისი ეტაპი გადალახა. შეგახსენებთ, "თბილისმა" პირველ რაუნდში ორივე მატჩი სტუმრად მოუგო კვიპროსულ "პაფოსს".

"თბილისი", რომელსაც **მამუკა მჟავანაძე** წვრთნის, "ბენფიკას" ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდა: **კორნელი ანდრიაძე, ალექსანდრე გონჩაროვი** (მეკარეები); **ტიტე კალანდაძე, ლევან გელაშვილი, გიორგი წივწივაძე, ვანო ქარდავა, უჩა მაისურაძე, ომარ ქუთათელაძე, ოთარ ამირანაშვილი, გიორგი იობაშვილი, აკაკი ყაველაშვილი, გიორგი სამარლანიშვილი, ირაკლი თევზაძე, შალვა თოდაძე** (მოედნის მოთამაშეები).

**ლევან ჯანეზაშვილი**

დუდუ დადიანის მემორიალი. III ტური

# თსუ მეორე ფინალისტია

**15 ოქტომბერი. რუსთავი**

**ენერჯი–დინამო 106:52**

21:11, 32:12, 25:12, 28:17

ენერჯი: მაჭავარიანი (11ქ, 6მ), ბაბიაშვილი (12ქ), ჩიტაშვილი (12ქ, 6პ), ცეკვავა (1ქ, 4პ, 5ჩ, 5მ), ჩაჩანიძე (6ქ), აბაიშვილი (8ქ), ტულუში (9ქ), დვალიშვილი (19ქ, 8მ), არწივიძე (2ქ), ხმელიძე (12ქ, 5პ, 4ჩ), ტუჯანი (6ქ, 6მ, 2დ), ჭოჭუა (8ქ, 3ჩ)

დინამო: კაკაურიძე (4ქ), ნანიტაშვილი (12ქ), სანაძე (4ქ), ეძგვერაძე, სიგუა (2ქ), ცაგარეიშვილი, გემაზაშვილი (8ქ, 10მ), გულდედავა (5ქ), ჩაველაშვილი (6ქ, 6მ), ალხანაიძე (11ქ), თვაური

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: მ. რატიშვილი

**ხუთი–სოხუმი 98:70**

25:15, 15:20, 21:15, 37:20

ხუთი: დ. ბერიშვილი (25ქ, 10მ), მიქაბერიძე (1ქ), ლაფანაშვილი (11ქ, 9მ, 5პ), ბერუაშვილი, ი. ბერიშვილი (6ქ), პატარაია (6ქ), მარკოიშვილი (26ქ, 6მ), აბულაძე, შერმადინი (8ქ, 9მ, 2დ), სუხიშვილი (3ქ, 12მ, 2დ), ნიკოლაძე (12ქ, 3ჩ, 3პ), კვერნაძე

სოხუმი: ტეტელაშვილი (8ქ), სორდია (5მ, 3პ), ჩიკვილაძე (14ქ, 3პ), კვეტენაძე (8ქ, 10მ, 3დ), სულაბერიძე (7ქ), კვიმსაძე (4ქ, 3პ), გ. პატარაია (10ქ), კანკია (7ქ), კობიძე (4ქ, 5მ), თვარაძე (8ქ), სვანიძე, წიკლაური

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: თ. ქიქოძე

**აგრარული–თსუ 84:88**

25:22, 15:22, 24:24, 20:20

აგრარული: გულისაბედაშვილი (5ქ, 6მ), ჩაჩიბაია (8ქ), წივწივაძე (18ქ, 3პ), ტყეშელაშვილი, მარხვაშვილი, ათანელიშვილი (14ქ, 13მ), გ. ბარბაქაძე (18ქ, 10მ), დიდია (19ქ, 9მ), ლ. ნოზაძე (2ქ, 6მ)

თსუ: ფანჩულიძე (10ქ, 3პ), გაფრინდაშვილი (21ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), ლეჟავა (19ქ, 7მ), კოხრეიძე (7ქ, 5მ, 4ჩ), ლოსაბერიძე, დ. ბარბაქაძე (26ქ, 13მ, 4პ, 6ჩ); ივანეიშვილი (10ქ), გაბისონია, ხეცურიანი (11ქ), კუჭავა (3ქ), დ. ბარბაქაძე (17ქ, 10მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: რ. გელოვანი

**ჭიათურა–მაქაბი 85:68**

23:21, 18:13, 25:13, 19:21

ჭიათურა: ფ. გურული (18ქ, 7მ, 5პ), ჩლაიძე (20ქ, 11მ), ენუქიძე (23ქ, 10მ, 3პ), ნიკურაძე (11ქ, 7მ, 10პ), მეზვრიშვილი (4ქ, 9მ, 3ჩ, 6დ), ჯ. გურული, გაბუნია (7ქ, 5მ), მჭედლიშვილი (2ქ)

მაქაბი: სვანიძე (6ქ, 8მ, 4პ), გ. რევაზაშვილი (19ქ, 20მ, 3პ, 4დ), სარიშვილი (9ქ), მეგენეიშვილი (8ქ, 3პ, 3ჩ), არონია (13ქ, 12მ), ლ. რევაზაშვილი (2ქ), კოპალიანი (11ქ, 10მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: რ. ხომერიკი

**A ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. აგრარული | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. ჭიათურა | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. მაქაბი | 3 | 0 | 3 | 3 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ხუთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. დინამო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. სოხუმი | 3 | 0 | 3 | 3 |

**დღეს. ფინალი**

16:00 ენერჯი-თსუ

მესამე სეზონია, დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ერთი ისეთი გუნდი ხვდება, რომლის ფინალისტობას წინასწარ ბევრი ვერ იწინასწარმეტყველებდა. მაგალითად, შარშანწინ "ენერჯის" გადამწყვეტ მატჩში ერთი წლით ალმდგარი "ვითა" დაუპირისპირდა: შარშანდელ ფინალშიც დებიუტანტი ვიხილეთ - აგრარული უნივერსიტეტის გუნდი. მართალია, თსუ წლეულს დებიუტანტი არ არის, მაგრამ ამ გუნდის კალათბურთელები უხელფასოდ თამაშობენ და გასაკვირი სულაც არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ფინალში გასვლის შანსი "აგრარებს" უფრო მეტი ჰქონდათ.

თუმცა **ნუგზარ ჭეიშვილის** შეგირდებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საქართველოში კალათბურთს, პირველ რიგში სიყვარულისთვის თამაშობენ და არა ფულისთვის. მემორიალის პირველ ტურში თსუ-მ "მაქაბის" 126 ქულა ჩაუგდო, მეორეში "ჭიათურას" 148... თუნდაც ამ რეკორდებმა ნათლად დაგვანახვა, რომ სტუდენტები ტურნირს კარგად მომზადებულნი შეხვდნენ. მათ შარშანდელი სეზონის შემდეგ ორი კარგი კალათბურთელი დაემატათ – **დავით ბარბაქაძე და ბესიკ ლეჟავა**. საწყის ორ ტურში თსუ-ს ვერ დაეხმარა კაპიტანი **შიო ხეცურიანი,** რომელმაც სეზონის პირველი მატჩი სწორედ "აგრარებთან" ჩაატარა. ასევე პირველად გამოჩნდა **მიხეილ ფანჩულიძე**... ასე რომ, სსაუ-სთან ნახევარფინალის დარ მატჩს თსუ ოპტიმალური შემადგენლობითა და მომზადებით შეხვდა. შეიძლება შიო და მიშა მწვრთნელმა, **ნუგზარ ჭეიშვილმა** სწორედ გუშინდელი მატჩისთვის სიურპრიზად შემოინახა.

"აგრარებს" დაუბრუნდა გამთამაშებელი **გიორგი მარხვაშვილი,** თუმცა მხოლოდ 5 წუთი ითამაშა. ასევე გუნდს ვერ დაეხმარა **გიორგი ხანიაშვილი**... **რეზო ათანელიშვილისა** (13 მოხსნა) და **გიგი ბარბაქაძის** (10 მოხსნა) წყალობით სსაუ-მ თსუ-ს მოხსნებში 51:40 აჯობა, თუმცა მხოლოდ ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა "აგრარებს" გამარჯვებისთვის არ ეყოთ: თსუ-მ ორქულიანიც მათზე მეტი ჩააგდო (26:22), სამიანიც (7:5), ჩაჭრებშიც (15:6) აშკარა უპირატესობა ჰქონდა და შეცდომაც ნაკლები დაუშვა (13:26). მოკლედ, სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, თსუ ფინალში დამსახურებულად გავიდა.

აქ ერთი კალათბურთელის თამაში აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ. თსუ-ს გამთამაშებელმა, **გიორგი გაფრინდაშვილმა** 5-დან 3 სამქულიანი ჩააგდო და 21 ქულას 6 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მიამატა.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია "ჭიათურის" პირველი გამარჯვება საკალათბურთო სარბიელზე დაბრუნების (1989 წლის) შემდეგ. ხოლო, "რუსთავმა" და "ხუთმა" დაგეგმილი მოგებები გაიფორმეს...

დღეს, რუსთავში ფინალი 16 საათზე დაიწყება.

ფინეთი

# გივი ბაქრაძე: პირველი ქართველი ფინეთში



თბილისის "დინამოსა" და ჭაბუკთა ნაკრების გამთამაშებელი **გივი ბაქრაძე** კარიერას ფინეთში აგრძელებს. მან იქაურ უმაღლეს ლიგაში გუშინ პირველი მატჩი ჩაატარა და "კორიკობრატს" "კერავანთან" 84:71 გაამარჯვებინა.

სიტყვა "გაამარჯვებინა" გადამეტებული ნამდვილად არ არის – 18 წლის გივი "კორიკობრატის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა: მან შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მოედანზე 25 წუთი გაატარა. დროის ამ მონაკვეთში ექსდინამოელმა 8 ქულა (6-დან 2 ორქულიანი, 7-დან 4 საჯარიმო), 2-2 მოხსნა-პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა.

ლაპუას "კორიკობრატი" სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა – თითო მოგება-წაგება აქვს.

სხვათა შორის, ბაქრაძემ **შერმადინის** მსგავსად ნილბით ითამაშა. მან პირველი ტურის მატჩი სწორედ ცხვირის ტრავმის გამო გამოტოვა.

ფინეთში მოხვედრილი პირველი ქართველი კალათბურთელის შესახებ უახლოეს დღეებში უფრო ვრცლად გესაუბრებით.

ბუნდესლიგა

# გამყრელიძე მიტელდოიჩერის ერთპიროვნული ლიდერია

## 35 ქულა ორ დღეში



ლაშა გამყრელიძე

ბუნდესლიგის მეორე ტურში მეორე გამარჯვების შემდეგ **ლაშა გამყრელიძეს** ნახევრადხუმრობით ვუთხარი – თქვენ, მგონი, ჩემპიონობას აპირებთ-მეთქი. "მიტელდოიჩერის" ქართველი გამთამაშებელი დამეთანხმა, რატომაც არაო, თუმცა დასძინა: მესამე ტურში ძლიერ "ტელეკომს" სტუმრად ბონში ვეთამაშებით, გამარჯვება გაგვიჭირდებაო.

...მესამე ტური შაბათს გაიმართა და "მიტელდოიჩერს" "ძალიან გაუჭირდა" – "ტელეკომი" მისსავე გულშემატკივრის წინაშე 91:71 დაამარცხა.

მეორე დღეს, კვირას ლაშას გუნდელებს უფრო ძლიერი მეტოქის, "არტლანდის" წინააღმდეგ მოუწიათ თამაშმა. მეოთხე ტურამდე ორივე გუნდს სამ-სამი მოგება ეწერა და სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდნენ. მეტს არ გავაგრძელებთ, "არტლანდ დრაგონსმა" ბოლო წუთებზე ზუსტი თამაშის წყალობით "მიტელდოიჩერს" სეზონის პირველი მარცხი აგემა – 101:91.

საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე ტაბლოზე ორი ერთნაირი რიცხვი ეწერა: 81:81. დარჩენილ დროში მასპინძელმა "ურჩხულებმა" 16:5 გაქცევა მოაწყვეს და "მგლებს" ათქულიანი სხვაობით აჯობეს.

"მიტელდოიჩერის" მთავარი მექულე ლაშა გამყრელიძე გახდა, რომელმაც 18 ქულა (5-დან 4 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი) ჩააგდო და 4 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

მარცხის მიუხედავად ლაშამ "არტლანდის" მეორე მწვრთნელის, **რალფ რეპბერგერისგან** კომპლიმენტი დაიმსახურა: *"სტუმრებს ძალიან სწრაფი გუნდი ჰყავთ. გამთამაშებლებს - გამყრელიძეს და პალჩევიჩს თამაშის ტემპის კონტროლი კარგად ეხერხებათ. მათი დამსახურებით "მიტელდოიჩერი" ბუნდესლიგაში ერთ-ერთი ყველაზე შეკრული გუნდია".*

ამ შეკრულმა კოლექტივმა ერთი დღით ადრე გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი ბონის "ტელეკომი" მისსავე მოედანზე 91:71 გაანადგურა. პირველი ტაიმის ბოლოს გამყრელიძის თანაგუნდელებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს – 50:40. მათაც კარგად მოეხსენებოდათ, რომ მეორე ტაიმში მიღწეულის შენარჩუნება იოლი არ იქნებოდა, გუნდის ლიდერობა ლაშა გამყრელიძემ იკისრა – საწყის 20 წუთში ჩაგდებულ 5 ქულას მეორეში 12 მიამატა და "მგლებს" 20 ქულის სხვაობით მოაგებინა.

ახლა "დოიჩერის" ბომბარდირის სტატისტიკას გავეცნოთ და შემდეგ მწვრთნელს მოვუსმინოთ. გამყრელიძემ მატჩი ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, 25 წუთი ითამაშა და 17 ქულას 3 შედეგიანი გადაცემა მიაყოლა. ქართველი პერიმეტრიდან ტყორცნებისას არაზუსტი იყო – 2 სამქულიანი ააცილა, სამაგიეროდ, 7 საჯარიმო ისროლა ასპროცენტიანი მაჩვენებლით, ხოლო 6 ორქულიანიდან მიზანს მხოლოდ ერთი ააცილა. "მიტელდოიჩერის" ვიცე-სნაიპერი **ივან ელიოტი** გახდა, რომელმაც 14 ქულა ჩააგდო, ხოლო ლაშას თანაამპლუელმა, სერბმა **რედენკო პალჩევიჩმა** 6 ქულას მოუყარა თავი.

მატჩის შემდეგ სტუმართა მთავარი მწვრთნელი **ბიორნ ჰარმსენი** შეგირდებით კმაყოფილი იყო: *"დღეს 10 კალათბურთელი ვათამაშე, თავისი საქმე ყველამ კარგად შეასრულა. გააზრებული კალათბურთი ვუჩვენეთ. ჩემპიონატში კარგად შევაბიჯეთ, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, სეზონის ბოლომდე დიდი დროა, თამაში კიდევ თუ არ გავაუმჯობესეთ, წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება."*

სადღეისოდ "მიტელდოიჩერს" 3 მოგება, 1 მარცხი აქვს და "არტლანდის" შემდეგ მეორე ადგილზეა. ლაშას გუნდს ბუნდესლიგის მომდევნო მატჩამდე თითქმის ორკვირიანი შესვენება ელის – 4 ნოემბერს "ბამბერგს" უმასპინძლებს.

**იტალიის ჩემპიონატი**

**კრემონა–კანტუ 103:104**

მანუჩარ მარკოიშვილი: 12 წუთი, 2 ქულა, 4 ფოლი

**ბიელა–ბოლონია 79:76**

ვიქტორ სანიკიძე: 7 წუთი, 3 ქულა, 4 ფოლი, 3 მოხსნა

ადრიატიკის თასი

# ბოისას მეორე გამარჯვება



ვლადიმერ ბოისა

**ვლადიმერ ბოისას** "ზადარმა" ადრიატიკის თასზე თანამემამულე "ცედევიტას" შინ 89:85 აჯობა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა. ზადარელებს ორი მოგების წილ ერთი მარცხი აქვთ. აქვე გეტყვით, რომ ცხრილის სათავეში წაუგებელი "ციბონაა" (3 მოგება).

"ცედევიტასთან" მატჩში ვლადიმერ ბოისა ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე იყო. მან 39 წუთი ითამაშა. მატჩის ხორვატულ მიმოხილვაში ვოვას გვარი არაერთგან გვხვდება: "...შეხვედრის დასაწყისში რუჟიჩის, ბოისასა და დაუნსის ზუსტი თამაშის წყალობით "ზადარმა" 11-ქულიანი ფორა მოიპოვა (31:20).

...მეორე პერიოდი ბოისას ორქულიანმა გახსნა. მეოთხედის ბოლოს მასპინძლები 48:35-ს იგებდნენ.

...მესამე პერიოდში "ცედევიტამ" თამაში გააუმჯობესა და 64:60 დაწინაურდა, თუმცა ბოისასა და რანჩიჩის ორქულიანების შემდეგ მეოთხე პერიოდის წინ ანგარიში გათანაბრდა – 64:64.

ბოლო რაუნდში თანაბარი თამაში გაჩაღდა. საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე "ცედევიტა" 83:82-ს იგებდა, როცა ვლადიმერ ბოისა საჯარიმოს ხაზთან დადგა. მან პირველი ტყორცნა გამოიყენა, მეორე ააცილა, თუმცა ბურთი ზადარელმა რუჟიჩმა მოხსნა და მეტოქეებს წესის დარღვევა აიძულა. მისი ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ "ზადარი" 85:83 დაწინაურდა და მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ სწორედ აქ გადაწყდა."

ვოვამ 12 ქულა (2-დან 1 სამქულიანი), 2 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. "ზადარის" ლიდერობა ტომისლავ რუჟიჩმა იკისრა – 20 ქულა.

"ზადარი" ადრიატიკის თასის მომდევნო ტურში ბოსნიაში "შიროკის" ესტუმრება. მატჩი 23 ოქტომბერს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ინტერვიუ თენგიზ ტურძელაძესთან

# საოცრებაა, თხუთმეტი კაცი ერთი სულისკვეთებით რომ იბრძვის

**საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „აია" ვარსკვლავებით მოჭედილი გუნდი იყო. სხვანაირად ამოდენა წარმატების მიღწევა, ცხადია, ყოვლად წარმოუდგენელია. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული თვისებები გააჩნდა. ნიჭიერი და უაღრესად იღბლიანი თაობა იყო. იღბალიც ძლიერების ხვედრია და ქუთათურთა სიძლიერე მათმა საქმემაც ნათლად წარმოაჩინა. რიონისპირა რაგბის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია „აიას" შერკინების კვაჭი თენგიზ ტურძელაძე, რომელსაც რაგბის სამყაროში თიკუნით უფრო იცნობენ - „ბაჯი".**

- რაგბის თამაში 1978 წელს დავიწყე - გვიამბობს **თენგიზ ტურძელაძე** - მანამდე კი საკმაოდ მძიმეწონოსანი ვიყავი და ძიუდოზე დავდიოდი. დუგლას კავთელაშვილი ჩემი უბნელი იყო. მან შემომთავაზა, მოდი რაგბიში ივარჯიშეო. მივედი და დაახლოებით წელინადნახევარი ქუთაისის „აიას" ახალგაზრდულ გუნდში ვვარჯიშობდი. ჩემი პირველი მწვრთნელი რამაზ სვანიძე იყო. მალე ძირითად შემადგენლობაშიც დავიწყე თამაში და 1980 წელს მოსკოვში გავემგზავრეთ ზამთრის ტურნირზე საასპარეზოდ. ასე დაიწყო ჩემი დიდი მოგზაურობა ოვალური ბურთის სამყაროში.

**- მაინც რამ განაპირობა, რომ ძიუდოს რაგბი არჩიეთ და სპორტის ამ სახეობას უერთგულეთ?**

- რაგბი ძალიან მომეწონა. ვაჟკაცური თამაშია. „აიას" ახალგაზრდულ გუნდშიც კი ძალიან მეგობრული ატმოსფერო იყო. დიდ გუნდშიც უფროსმა თაობამ კარგად მიგვიღო. რაგბი მაინც სათამაშო სახეობაა და ცხადია, უფრო საინტერესოა. მოედანზე თხუთმეტი სხვადასხვა ხასიათის, აღზრდისა და მენტალიტეტის ადამიანი ერთი სულისკვეთებით რომ გადის, განა საოცრება არაა. სწორედ ამ ერთსულოვნებამ იმოქმედა საბოლოო გადაწყვეტილებაზე - ჩემი ცხოვრება რაგბისთვის დამეკავშირებინა.

**- როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მიაღწია „აიამ" გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ასეთ დიდ წარმატებას?**

- დავიწყოთ იმით, რომ თბილისის „ლოკომოტივიდან" დაგვემატა რამდენიმე საკმაოდ ძლიერი მორაგბე: ავთო გიორგაძე, ოლეგ ლიპარტელიანი, მიშა ხარშილაძე, ალექსანდრე ნაჭყებია და ალეკო გრიგალავა. მათთან შეთამაშება არ გაგვჭირვებია. ამას დაემატა ის რკინისებური დისციპლინა, რაც გუნდში დუგლას კავთელაშვილმა დაამყარა. უმცირეს დარღვევაზეც კი ფულადი ჯარიმები იყო.

**- იმ ხანაში, სპორტი ოფიციალურად სამოყვარულო იყო. რაგბიც პროფესიულ რელსებზე მთელ მსოფლიოში 1995 წლიდან გადავიდა. არადა, ხელფასს „აიაში" ოფიციალურად იღებდით. დუგლას კავთელაშვილი ჯარიმებსაც გახდევინებდათ და ალბათ, გამარჯვების მიღწევის შემთხვევაში პრემიებსაც იღებდით...**

- დიახ, ასე იყო. ხელფასი ორასიდან სამას მანეთამდე მერყეობდა. თამაშის მოგებაზე პრემია ორმოცდაათიდან ას მანეთამდე იყო. გააჩნდა, რა სიძლიერის გუნდს ვეთამაშებოდით. ამასაც ვინმე კერძო პირი საკუთარი ინიციატივით გვიხდიდა. ჩემპიონის ტიტულის მოგებაზე კი ურიგოდ, თავის ფასში ავტომობილების შესყიდვის უფლებას გვაძლევდნენ. ვისაც სურდა იტოვებდა ავტომობილს, ვინც არა, საბაზრო ფასში ყიდდა და ეს იყო ჩვენი შემოსავალი.

**- თქვენ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც გითამაშიათ. როგორია იქ თქვენი მიღწევები?**

- ძირითადად საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებში ვთამაშობდი. პირველ ნაკრებში სულ ორ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. ჯერ ტუნისის ნაკრების წინააღმდეგ მომიწია თამაშმა, მერე კი, უკვე ბოლოს, როცა ქართული რაგბი საკავშიროს გამოეყო, მე და ნუგზარ ძაგნიძემ საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში, საფრანგეთში ვითამაშეთ ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ძლიერ მეტოქეს საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიეთ. საერთოდ, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ნაკრები, საკმარისად ძლიერი გუნდი იყო.

**- ცხადია, ყველაზე ბედნიერი ხანა თქვენს კარიერაში 1987-89 წლებზე მოდის. სამჯერ ზედიზედ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდით. თქვენთვის რომელი გამარჯვებაა უფრო სასიამოვნოდ მოსაგონარი?**

- ყველაზე დიდი სიხარული მაინც პირველმა ჩემპიონობამ მოგვიტანა 1987 წელს. გადამწყვეტი მატჩი მონინოში გვქონდა უშუალო კონკურენტ ვვა-სთან. ჩვენ სათამაშოდ წითელი მაისურებით ჩავედით. მონინოელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. ჩვენც წითელი მაისურები გვაქვს და რადგან მოქმედი ჩემპიონები ვართ, არჩევანი ჩვენზეაო. რა უნდა გვექნა. სხვა ფერის მაისურები წაღებული არ გვქონდა და მონინოელებმა თავისი ლურჯი მაისურები გვათხოვეს. მოკლედ ისე გამოვიდა, რომ მათსავე მოედანზე, მათივე მაისურებით მოვიგეთ და ჩემპიონები გავხდით.

**- საბჭოთა ნაკრებზე უკვე ვთქვით. არადა, საქართველოს ნაკრებში თამაშიც მოასწარით.**

- საქართველოს ნაკრებში პირველად ზიმბაბვეს წინააღმდეგ ვითამაშე. მერე, გარკვეული მიზეზების გამო, რაგბის თამაშს თავი დავანებე, თუმცა 1995 წელს ისევ მომიწია რაგბიში დაბრუნება. ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ მე და ნუგზარ ძაგნიძეს გვთხოვა: ორი შეხვედრა გვაქვს გასამართავი გერმანიასა და ჰოლანდიასთან, იქნებ დაგვეხმაროთო. მოვემზადეთ, გერმანიასთან ვითამაშეთ, დავამარცხეთ და მას მერე რაგბი აღარ მითამაშია. ეგ იყო ჩემი ბოლო მატჩი.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ვაჟიც მორაგბეა.**

- დიახ, ნიკა თვრამეტი წლისაა და საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე „გელათში" თამაშობს. ის მესამეხაზელია. თამაშთან ერთად უნივერსიტეტში სწავლობს და ამიტომ, რაგბის დიდ დროს ვერ უთმობს, თუმცა ახლახან დამპირადა, ვარჯიშს სერიოზულად მივუდგებიო.

**- მოდით, თქვენ თიკუნზეც გკითხავთ. „ბაჯი" რას ნიშნავს?**

- უკვე გითხარით, რომ ბავშვობიდან დიდი წონა მქონდა. სკოლა რომ დავამთავრე 120 კილოგრამი ვიყავი. ერთხელ სკოლაში თოჯინების თეატრი გვეწვია. წარმოდგენაში ერთი ჩემსავით დიდი პერსონაჟი იყო, ძლივს დაბაჯბაჯებდა. თამაზ გიორგობიანმა, რომელიც შემდგომში ასევე მორაგბე გახდა, თქვა: ნახე როგორ გგავს, შენსავით დაბაჯბაჯებსო. ასე შემარქვეს ეს სახელი „ბაჯი" და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს შვილსაც კი „ბაჯის" ეძახიან.

**- რას ფიქრობთ დღევანდელ ქუთაისურ რაგბიზე?**

- ქუთაისის „აიას" ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს. ჩემი თანაგუნდელის ბართლომე ხამაშურიძის ვაჟი, ბესიკ ხამაშურიძე. მან საკმაოდ სერიოზული გამოცდილება შეიძინა საფრანგეთში და საქართველოს ნაკრებში თამაშისას. დისციპლინა დაამყარა, გუნდიც კარგად თამაშობს, მაგრამ ჩემპიონატის დასაწყისში რატომღაც ამოჩემებული ჰქონდათ, დასარტყმელ საჯარიმოებს კარში არ ურტყამდნენ. არადა, თავისუფლად შეეძლოთ პლეი ოფში გასულიყვნენ და მედლებისთვის ებრძოლათ.

ვფიქრობ, ძალიან კარგი თაობა გვეზრდება, პერსპექტიული ბიჭები მოდიან და „აიაც" მომავალში წარმატებებს აუცილებლად მიაღწევს.

ლეგიონერები

# ევროთასებზე, საფრანგეთსა და რუსეთში

ევროთასების გათამაშებაში, ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ჰეინეკენის თასზე მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორივე კლუბმა - „კლერმონმა" და „ბრივმა" მარცხი განიცადა. ჩელენჯ კაპზე კი დაუმარცხებლად ასპარეზობენ „ქართული გუნდები": „ტულონი" და „მონტობანი".

ჰეინეკენის თასზე, C ჯგუფში მოასპარეზე **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" სტუმრად გამართა შეხვერა ინგლისში „სეილსისთან" და მინიმალური სხვაობით - 24:25 დამარცხდა. ზირაქაშვილი განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში მეორე გამარჯვება მიითვალა კიდევ ერთმა ინგლისურმა კლუბმა „ლესტერ ტაიგერზმა", რომელმაც სტუმრად სძლია იტალიურ „ვიადანას" - 11:46.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლესტერი - 8 ქულა, 2. სეილსი - 6, 3. კლერმონი - 5, 4. ვიადანა - 0.**

F ჯგუფში **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო. ამჯერად ჩვენებურის გუნდი შინ დამარცხდა ირლანდიურ „ლენსტერთან" - 13:36. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში უელსურმა „ჰლანეჰლიმ" სტუმრად მოუგო ინგლისურ „ლონდონ აირიშს" - 27:25.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ჰლანეჰლი - 8 ქულა, 2. ლენსტერი - 5, 3. ლონდონ აირიში - 5, 4. ბრივი - 0.**

ჩელენჯ კაპის გათამაშებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუმარცხებლად ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს.

პირველი მარცხი განიცადა B კგუფში მოასპარეზე **მამუკა გორგოძისა და გიორგი ჩხაიძის** „მონპელიემ". ჩვენებურთა გუნდმა შინ წააგო ირლანდიურ „ქონოთთან" - 19:22. გორგოძე მეორე ხაზში დააბრუნეს და თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჩხაიძე განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში ქართველი პირველხაზელის **დავით გურგენაძის** ესპანური „ოლიმპუსი" შინ დამარცხდა ინგლისურ „ვორსტერთან" - 5:38.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ქონოთი - 9 ქულა, 2. ვორსტერი - 6, 3. მონპელიე - 5, 4. ოლიმპუსი - 0.**

C ჯგუფში **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" ინგლისურ „სარასენზს" უმასპინძლა და 31:23 მოუგო. შედეგად ტულონელები ჯგუფში ერთპიროვნულად გალიდერდნენ. ქუბრიაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

სტუმრად დიდი ანგარიშით - 76:11 დაამარცხა იტალიური „როვიგო" **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა". „გლობუსა" ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ტულონი - 8 ქულა, 2. კასტრი - 5, 3. სარასენზი - 5, 4. როვიგო - 0**

E ჯგუფში ზედიზედ მეორედ მოიგო **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანმა", რომელმაც ამჯერად შინ დაამარცხა იტალიური „პადოვა" - 27:10. შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო. შველიძე განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ნიუკასლმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა ფრანგული „ალბი" - 37:12.

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ნიუკასლი - 10 ქულა, 2. მონტობანი - 8, 3. პადოვა - 1, 4. ალბი - 0.**

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მეშვიდე ტურის შეხვედრები გაიმართა. **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა", რომელიც აქამდე გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობდა, სტუმრად წააგო **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსთან" - 9:12. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს. ჟღენტი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე დაამარცხა „ოში" **გურამ კავთიძის** „ლიონმა" - 26:6 და საგრძნობლად გაიმყარა პოზიცია ლიდერთა შორის. კავთიძე განაცხადში არ იყო.

შინ დამარცხდა „პოსთან" მინიმალური ანგარიშით - 22:23 **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი". მაგრაქველიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო.

შინ გაიმარჯვა პლეი ოფში მოხვედრისათვის მებრძოლ „დაქსთან" **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა" - 23:6. „ჩაქუჩა" განაცხადში არ იყო.

**საფრანგეთი. II დივიზიონი. VII ტური: ლიონი-ოში 26:6, მონ დე მარსანი-ბორდო 16:12, ტარბი-პო 22:23, ორიაკი-დაქსი 20:6, ექსი-ლანამეზანი 12:8, ოიონაქსი-აჟენი 12:9, კოლომიე-ლა როშელი 19:13, ნარბონი-გრენობლი 18:14.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ნარბონი - 24 ქულა, 2. აჟენი - 24, 3. ლიონი - 22, 4. გრენობლი - 22, 5. ოიონაქსი - 21, 6. ტარბი - 18, 7. ლა როშელი - 17, 8. დაქსი - 17, 9. პო - 16, 10. ოში - 15, 11. ორიაკი - 14, 12. მონ დე მარსანი - 14, 13. ექსი - 13, 14. კოლომიე - 12, 15. ბორდო - 11, 16. ლანამეზანი - 2.**

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგაში ფინალური სერიის პირველი შეხვედრა გაიმართა. **რატი ურუშაძის** კრასნოიარსკის „ენისეიმ" მონინოს ვვა-ს უმასპინძლა და 31:22 დაამარცხა. ურუშაძემ სრულად ითამაშა. განმეორებითი შეხვედრა კვირის თავზე გაიმართება მონინოში. გამარჯვების შემთხვევაში „ენისეი" ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, თუ არადა, იქვე კიდევ ერთი, მესამე შეხვედრა გაიმართება.

მესამე ადგილისთვის მატჩში **თემურ სოხაძის** „კრასნი იარმა" სტუმრად დაამარცხა მოსკოვის „სლავა" - 25:21. სოხაძე განაცხადში არ იყო. განმეორებითი მატჩი, ერთი კვირის შემდეგ, კარსნოიარსკში შედგება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



# უცხოური სპორტი

## სხვადასხვა

### ჭადრაკი

## სამიტურო მატჩი სოფიაში

საბერძნეთის ქალაქ ჰალკიდიკიში ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართა, რომელზეც 2010 წლის სეზონის მნიშვნელოვანი ტურნირების თარიღები დაადგინეს.

FIDE-ის პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კონგრესზე გაირკვა მსოფლიოს პირველობის მატჩის ჩატარების ადგილი. გაისად მოქმედი ჩემპიონი **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) და პრეტენდენტი **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში შეხვდებიან ერთმანეთს, რომელმაც ტენდერი მოუგო ჰონგ კონგსა და თურქეთს. სოფიელებმა 3 მილიონი ევროს ოდენობის საპრიზო ფონდის გარანტია მისცეს ფედერაციას. 12 პარტიისგან შემდგარი მატჩი 5 აპრილს დაიწყება.

### ველოსპორტი

## RadioShack-მა ლიცენზია მიიღო

2010 წლის სეზონის პოტენციურმა ლიდერმა, ამერიკულმა საჯინიბო RadioShack-მა პროფესიულმა ტურისგან პირველი ლიცენზია მიიღო. გუნდი, რომლის ლიდერიც **ლენს არმსტრონგი** გახლავთ, მინიმუმ უახლოეს ოთხ წელიწადს მიიღებს მონაწილეობას სეზონის მთავარ რბოლებში. არადა, ფინანსური გიგანტის RadioShack-ის ველოსპორტში ინვესტიცია ოფიციალურად ჯერჯერობით მხოლოდ ორ წელიწადზეა გათვლილი.

ლიცენზიის გაცემით დადასტურდა, რომ ამერიკელთა გუნდი ახალ სეზონში პირველ სერიოზულ რბოლას ავსტრალიაში Tour Down Under-ზე ჩაატარებს, რომელიც იანვარში გაიმართება. ამ მრავალდღიან რბოლაში გამოსვლით დაიწყებს ახალ სეზონს ლენს არმსტრონგი, რომელმაც „ასტანადან" არა მარტო სპორტული დირექტორი **იოჰან ბრიუნელი**, არამედ ათი პარტნიორიც გადაიბირა.

### კალათბურთი

## ლავმა ხელი მოიტეხა

ახალი სეზონის წინ სერიოზული დანაკლისი განიცადა „მინესოტა ტიმბერვულვზმა". „ჩიკაგო ბულზთან" წინასასეზონო მატჩში მარცხენა ხელი მოიტეხა „მგლების" ფორვარდმა **კევინ ლავმა**, რომელიც ექვსი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას და რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ დეკემბრიდან ჩაერთვება. ლავმა ტრავმა ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში პარტნიორ **ალექსეი პეჩეროვთან** შეტაკებისას მიიღო.

შარშანდელ სეზონში ლავი პირველი იყო დებიუტანტებს შორის მოხსნების რაოდენობით (9.1) და ამ მაჩვენებლით მთლიანად ლიგაში მეცხრე ადგილი დაიკავა.

## ვან განდიც დაჯარიმდა

„ორლანდო მეჯიქის" მთავარი მწვრთნელი **სტენ ვან განდი** 35 ათასი დოლარით დაჯარიმდა. შარშანდელი სეზონის ფინალისტი გუნდის დამრიგებელმა საჯაროდ გააკრიტიკა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გადაწყვეტილება მსაჯების შეცვლის შესახებ და ეს სასჯელიც სწორედ ამით არის გამოწვეული. შეგახსენებთ, რომ NBA-ის არბიტრებმა გაფიცვა გამოაცხადეს და ლიგის ხელმძღვანელობამ მათ ნაცვლად სარეზერვო მსაჯები მოიწვია.

უფრო ადრე მსაჯების კრიტიკისთვის დაისაჯნენ „მემფისისა" და „შარლოტის" მწვრთნელები - **ლაიონელ ჰოლინზი** და **ლარი ბრაუნი** და მათ 25 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ.

## მარბერი სეზონს გამოტოვებს

NBA-ის ვეტერანმა მცველმა **სტეფონ მარბერიმ** გადაწყვიტა, გამოტოვოს 2009-10 წლების სეზონი და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ერთი წლის შემდეგ სცადოს დაბრუნება.

*„დასვენება გადავწყვიტე, როგორც ეს თავის დროზე მაიკლ ჯორდანმა გააკეთა. ცხოვრებით დავტკბები, ანუ გავაკეთებ იმას, რაც ბოლო 16 წლის განმავლობაში არ გამიკეთებია. მე მგონი, სეზონის გამოტოვება გონივრული გადაწყვეტილებაა"*, - მოჰყავს მარბერის სიტყვები გაზეთ „ნიუ იორკ პოსტს".

## პორტლენდი შემადგენლობას ინარჩუნებს

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა" 2010-11 წლების სეზონისთვის ოთხი კალათბურთელი შეინარჩუნა. კლუბმა გამოიყენა **გრეგ ოდენის**, **რუდი ფერნანდესის**, **ნიკოლა ბატუმისა** და **ჯერიდ ბეილისის** კონტრაქტებში არსებული პუნქტები და ამ კალათბურთელებს ერთი წლით გაუხანგრძლივა ხელშეკრულებები.

„პორტლენდმა" ოდენი 2007 წლის დრაფტზე პირველ ნომრად აირჩია. იმავე წელს გაცვლის შედეგად დაიმატა ესპანელი ფერნანდესი. ფრანგი ფორვარდი ბატუმი და მცველი ბეილისი ასევე ტრეიდების შემდეგ მივიდნენ გუნდში 2008 წელს.

### მოტორბოლა

**XV ეტაპი (ავსტრალიის გრან-პრი)**

**125 cc**

1. **ხულიან სიმონი** (ესპანეთი, KTM) - 37.55,798; 2. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, „აპრილია") - +0,313; 3. **სანდრო კორტეზე** (გერმანია, „დერბი") - +2,057; 4. **პოლ ესპარგარო** (ესპანეთი, „დერბი") - +2,161; 5. **სიმონე კორსი** (იტალია, „აპრილია") - +2,330; 6. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, „აპრილია") - +3,239.

**საერთო ჩათვლა**

1. **ხულიან სიმონი** - 239 ქულა; 2. **ბრედლი სმიტი** - 183.5; 3. **ნიკოლას ტეროლი** - 162.5; 4. **პოლ ესპარგარო** - 142.5; 5. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, „აპრილია") - 128; 6. **ანდრეა იანონე** (იტალია, „აპრილია") - 117.5.

**250 cc**

1. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, „ხილერა") - 28.17,403; 2. **ჰექტორ ბარბერა** (ესპანეთი, „აპრილია") - +2,434; 3. **რაფაელე დე როსა** (იტალია, „ჰონდა") - +12,604; 4. **ჟულ კლუზელი** (საფრანგეთი, „აპრილია") - 12,118; 5. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, „აპრილია) - +12,192; 6. **კარელ აბრაჰამი** (ჩეხეთი, „აპრილია) - +12,4!3

**საერთო ჩათვლა**

1. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - 227 ქულა; 2. **მარკო სიმონჩელი** - 215; 3. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, „აპრილია") - 198; 4. **ჰექტორ ბარბერა** - 194; 5. **მატია პაზინი** (იტალია, „აპრილია") - 128; 6. **რაფაელე დე როსა** (იტალია, „ჰონდა") - 106.

**მოტოგრანპრი**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, „დუკატი") - 40.56,651; 2. **ვალენტინო როსი** (იტალია, „იამაჰა") - +1,935; 3. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, „ჰონდა") - +22,618; 4. **ალექს დე ანჯელისი** (სან-მარ, „ჰონდა") - +32,702; 5. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა") - +35,885; 6. **ანდრეა დოვიციოზი** (იტალია, „ჰონდა") - +38,482.

**საერთო ჩათვლა**

1. **ვალენტინო როსი** - 270 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, „იამაჰა") - 232; 3. **კეისი სტოუნერი** - 195; 4. **დანიელ პედროსა** - 189; 5. **ანდრეა დოვიციოზი** - 152; 6. **კოლინ ედვარდსი** - 145.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კრივი

## Super Six დაიწყო



ამ უიქ ენდზე პროფესიული კრივის სამყაროში მთავარი მოვლენა Super Six World Boxing Classic-ის სტარტი იყო. ეს არის ექვს უძლიერეს საშუალოწონოსან მოკრივეს შორის ტურნირი, რომელმაც ამ წონაში საუკეთესო უნდა გამოავლინოს.

Super Six - კრივისთვის საინტერესო და სასარგებლო წამოწყებაა. მან უნდა გამოაცოცხლოს საშუალო წონებში ერთგვარად მიძინებული სიტუაცია, გამოიწვიოს ნამდვილი კონკურენცია და სხვადასხვა ვერსიას შორის ჩემპიონებისა და პრეტენდეტების უკომპრომისო ბრძოლას დაუდოს სათავე. ასე მოახერხეს 80-იანი წლების შუაში სუპერმძიმე წონის აღორძინება. **მუჰამედ ალის** წასვლის შემდეგ, ეს წონა ქაოსში ჩაეფლო და მომრავლდა **პინკლონ ტომასისა** თუ **ტრევორ ბერბიკის** დონის „მოსაწყენი" ჩემპიონები. იმ ტურნირის მთავარი მიღწევა **მაიკ ტაისონის** ეპოქის დასაწყისი გახდა.

სუპერსაშუალოწონოსნების ამჟამინდელი ტურნირი არანაკლებ დამაინტრიგებელია. აქ ბრწყინვალე ექვსეულია თავმოყრილი - **მიკელ კესლერი, არტურ აბრაჰამი, კარლ ფროჩი, ჯერმეინ ტეილორი, ანდრე დირელი** და **ანდრე უორდი.**

გასულ შაბათს თითქმის ერთდროულად დაიწყო ბრძოლები ბერლინსა და ნოტინგემში. გერმანიაში ტეილორი და აბრაჰამი იბრძოდნენ, ინგლისში - ფროჩი და დირელი.

ბერლინში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები იბრძოდნენ. წარმოშობით სომეხი გერმანელი აბრაჰამი (**ავეტიკ აბრაჰამიანი 1980 წელს ერევანშია დაბადებული**) IBF-ის ვერსიით არის ექსჩემპიონი, ამერიკელი ტეილორი კი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო საშუალო წონაში. ბრძოლა მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. ჯერმეინმა თითქმის ბოლომდე გაძლო, მაგრამ მე-12 რაუნდის დასრულებამდე ექვსი წამით ადრე აბრაჰამის უძლიერესმა დარტყმამ მიზანს მიაღწია - ამერიკელს პირდაპირ ცხვირში მოხვდა და ნოკაუტში აღმოჩნდა.

არადა, ტეილორმა აქტიურად დაიწყო და უფრო აგრესიულად გამოიყურებოდა, თუმცა ვერაფრით ახერხებდა აბრაჰამის დაცვის გარღვევას. მართალია, ბერლინელი მოკრივე ნაკლებად აგრესიული იყო, სამაგიეროდ მისი დარტყმები მიზანს აღწევდა. უკვე შეხვედრის შუაში ცხადი გახდა, რომ გერმანელი მინიმუმ ქულებით მაინც მოიგებდა ბრძოლას. აბრაჰამმა კი ნოკაუტით გაიმარჯვა, რასაც Super Six-ში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვადაზე ადრე გამარჯვებისთვის მოკრივე 3 ქულას იღებს, ქულებით მოგებისთვის კი მხოლოდ ორს.

ამ ბრძოლის შემდეგ ტეილორი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც აქამდე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მანამდე კი ამერიკელმა მოასწრო კომენტარის გაკეთება: *„მე დღეს შესანიშნავ ფორმაში ვიყავი, საუკეთესოშიც კი, მაგრამ არტური ძალიან ძლიერია. ის უფრო მეტად დავაფასე".*

თანაბარი ბრძოლა იყო ნოტინგემის რინგზე. აქ ორი დაუმარცხებელი მოკრივე წარსდგა ერთმანეთის პირისპირ - 76-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ჩემპიონი, ბრიტანელი კარლ ფროჩი (25-0-0, 20 KO) და ამერიკელი ანდრე დირელი (18-0-0, 13 KO).

გამარჯვებულის გამოსავლენად თორმეტივე რაუნდის ჩატარება გახდა საჭირო. ბრძოლის დასრულების შემდეგ მსაჯების აზრი გაიყო. ორმა უპირატესობა მასპინძელს მიანიჭა (115:112, 115:112), ერთმა არბიტრმა კი გამარჯვებულად დირელი დაასახელა (114:113). ასე რომ, ფროჩმა არათუ შეინარჩუნა WBC-ის საჩემპიონო ქამარი, არამედ პირველი ორი ქულა ჩაიწერა Super Six-ის გათამაშების ცხრილში.

მეორე ტურში (თარილი უცნობია) აბრაჰამი დირელს შეხვდება, ფროჩი კესლერს, ტეილორი კი უორდს.

## ჩოგბურთი

## სტოსურმა ნავსი გატეხა

ქალთა აზიური ტურნირების სერია იაპონიის ქალაქ ოსაკაში ავსტრალიელი **სამანტა სტოსურის** ტრიუმფით დასრულდა.

ამ ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ფინალური მატჩების ორი უიღბლო ჩოგბურთელი დაუპირისპირდა ერთმანეთს. იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონეს** აქამდე 10 ფინალში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა და მხოლოდ ერთხელ შეძლო გამარჯვების მოპოვება (2007 წელს ბადგაშტეინში). სტოსურს კი საერთოდ არასოდეს მოეგო WTA-ის ტიტული - მის ანგარიშზე ხუთი წაგებული ფინალი იყო.

პირველ სეტში ორივე ჩოგბურთელი დამაჯერებლად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე და ისე ჩანდა, რომ პარტიის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდებოდა. მაგრამ ბოლო მომენტში ავსტრალიელმა, რომელიც რეგულარულად გადიოდა ბადესთან და მეტოქეს ავიწროებდა, ბრეიკის გაკეთება შეძლო - 7:5.

სტოსურმა მეორე სეტში სულ ექვსი გათამაშება წააგო საკუთარ მოწოდებაზე, გარდა ამისა, მიღებაზეც ააწყო თამაში, რამაც ის გამოიწვია, რომ სკიავონემ ერთადერთი გეიმის აღება მოახერხა და პარტია თითქმის უბრძოლველად დათმო - 1:6. საათსა და რვა წუთში 25 წლის სამანტამ თავისი პირველი ტიტულის მოგება იზეიმა. *„უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან ხუთი წარუმატებელი ფინალის შემდეგ, როგორც იქნა, გამარჯვება მოვიპოვე. ასე რომ, ერთი ოცნება უკვე ავისრულე, ახლა მინდა რეიტინგის საუკეთესო ათეულში შევაბიჯო"*, - განაცხადა სტოსურმა, რომელმაც ამ გამარჯვებისთვის 37 ათასი დოლარი და 280 სარეიტინგო ქულა მიიღო.

ავსტრიული ლინცის ტურნირზე ორი ფავორიტი იყო - პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა** და იტალიელი **ფლავია პენეტა**, რომლებიც წლის შემაჯამებელ ტურნირში მოსახვედრად იბრძვიან, მაგრამ ნახევარფინალში გამოეთიშნენ ბრძოლას.

რადვანსკამ წინა კვირას პეკინის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე ფინალში ითამაშა, ლინცში პირველი სამი მატჩი სეტის წაუგებლად განვლო, მაგრამ შემდეგ დაღლილობა დაეტყო და თითქმის უბრძოლველად დამარცხდა ჩეხ **პეტრა კვიტოვასთან**, თუმცა პოლონელი მაინც ინარჩუნებს დოჰაში გამგზავრების შანსებს. წლის მთავარი ტურნირის ერთადერთი დარჩენილი საგზურისთვის მისი კონკურენტები იქნებიან - **ვერა ზვონარევა** და **ელენა იანკოვიჩი**.

პენეტამ კი ეს შანსი დაკარგა. მისთვის დამღუპველი აღმოჩნდა ბელგიელ **იანინა ვიკმაიერთან** მარცხი. ამ უკანასკნელმა კი ფინალშიც შესანიშნავად ითამაშა და თითქმის საათნახევრიან ბრძოლაში მოუგო კვიტოვას - 6:3, 6:4. ეს ახალგაზრდა ბელგიელის მეორე ტიტულია კარიერაში.

WTA-ის რეგულარული სეზონი მომავალ კვირას მოსკოვსა და ლუქსემბურგში სრულდება. სწორედ რუსეთის დედაქალაქში გაირკვევა დოჰას ტურნირის ერთადერთი ვაკანტური საგზურის მფლობელი. მოსაწყენად არც ლუქსემბურგელ გულშემატკივრებს ეცლებათ, რადგან იქ ამერიკის ღია პირველობის ფინალისტები - ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** და დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** ჩადიან.

## რაგბი

## ოლ ბლექსმა შემადგენლობა დაასახელა

ახალი ზელანდიის მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** შემოდგომის სატესტო მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა. „ოლ ბლექსში" ოთხი ახალი მოთამაშეა - **მაიკ დილეინი, ზაკ გილფორდი, ბენ სმიტი** და **ტამატი ელისონი**. ამ ოთხეულიდან ადრე მხოლოდ ელისონი იყო მიწვეული ზელანდიელთა პირველ გუნდში.

ამჯერად გუნდში ვერ ვხედავთ **ჯო როკოთოკოსა** და **ისააკ როსს**. ჰენრის თქმით, როსს ტაიმაუტი სჭირდება ფორმის აღსადგენად. **პირი ვეეპუ, ისაია ტოეავა, ლეილა მასაგა, კევინ მეალამუ, ბრინ ევანსი, რიჩარდ კაჰუი** და **ალი უილიამსი** თამაშებს ტრავმების გამო გამოტოვებენ.

ახალი ზელანდია 31 ოქტომბრიდან მოყოლებული ექვს ტესტმატჩს ჩაატარებს: ავსტრალიასთან (31 ოქტომბერი), უელსთან (7 ნოემბერი), იტალიასთან (14 ნოემბერი), საფრანგეთთან (21 ნოემბერი), ინგლისთან (28 ნოემბერი) და „ბარბარიანსთან" (5 დეკემბერი).

ზელანდიელთა სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**თავდამსხმელები:** ჯონ ოფოა (ოკლენდი), ენტონი ბორიჩი (ნორტ ჰარბორი), უაიეტ კროკეტი (კენტერბერი), ტომ დონელი (ოტაგო), ჯეისონ იტონი (ტარანაკი), კორი ფლინი (კენტერბერი), ოუენს ფრენკსი (კენტერბერი), ენდრიუ ჰორი (ტარანაკი), ჯერომ კაინო (ოკლენდი), ტანერაუ ლატიმერი (ბეი ოფ პლენტი), რიჩი მაკოუ (კენტერბერი, კაპიტანი), ლაიამ მესამი (ვაიკატო), კირან რიდი (კენტერბერი), როდნი სო'ოიალო (ველინგტონი), ადამ ტომპსონი (ოტაგო), ბრედ ტორნი (კენტერბერი), ნეემია ტიალატა (ველინგტონი), ტონი ვუდკოკი (ნორტ ჰარბორი).

**მცველები:** დენ კარტერი (კენტერბერი), ჯიმი კოუენი (საუთლენდი), მაიკ დალეინი (ბეი ოფ პლენტი), სტივენ დონალდი (ვაიკატო), ენდი ელისი (კენტერბერი), ტამატი ელისონი (ველინგტონი), ზაკ გილფორდი (ჰოქს ბეი), კორი ჯეინი (ველინგტონი), ბრენდონ ლეონარდი (ვაიკატო), ლიუკ მაკალისტერი (ნორტ ჰარბორი), მილს მულიაინა (ვაიკატო), მა'ა ნონუ (ველინგტონი), სიტივენი სივივატუ (ვაიკატო), ბენ სმიტი (ოტაგო), კონრად სმიტი (ველინგტონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ფორმულა 1

# კამპოსში პიკე და სენა იბრძოლებენ?

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ნელსონ პიკე** გასულ კვირას ბრაზილიის გრან-პრის სტუმრობდა. როგორც უკვე ვწერდით, ლეგენდარულ პილოტს ფორმულა 1-ის რომელიმე გუნდის დაფინანსება აქვს განზრახული იმის სანაცვლოდ, რომ ეს საჯინიბო შემადგენლობაში ჩარიცხავს მის ვაჟს - **ნელსონ პიკე-უმცროსს**, რომელიც წელს „რენოდან" დაითხოვეს.

Globo-სთვის მიცემულ ინტერვიუში უფროსმა პიკემ განაცხადა, რომ სან პაულუს რბოლაზე დასწრება მეგობრებთან შესახვედრად და ნელსინიოსთვის სამუშაო ადგილის მოსაძებნად გადაწყვიტა.

უცნობია, შესთავაზა თუ არა ნელსონ პიკემ ფული მომავალი სეზონის ერთ-ერთ დებიუტანტს „კამპოსს", თუმცა გერმანული გამოცემა Motorsport-Magazin იტყობინება, რომ ახალ საჯინიბოში, შესაძლოა, ორი ბრაზილიელი პილოტი ვიხილოთ და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ნელსინიო პიკე იქნება. გარდა ის ლეგენდარული **აირტონ სენას** ნათესავს **ბრუნო სენას** გაუწევს პარტნიორობას. როგორც ამბობენ, ბრუნომ „კამპოსთან" კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი.

„პიკეს სამი კვირის წინ ნიცაში შევხვდი. მისი კანდიდატურა ჩვენს მიერ ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება. რაც შეეხება პედრო დე ლა როსას, მისი გადაბირება გაცილებით რთულია, რადგან „მაკლარენს" პედროს ტესტ-პილოტად შენარჩუნება სურს", - მოჰყავს **ადრიან კამპოსის** სიტყვები Motorsport-Magazin-ს.

გამოცემის ინფორმაციით, სენასა და პიკეს წყვილის სასარგებლოდ ის არგუმენტიც მეტყველებს, რომ ცოტა ხნის წინ „კამპოსმა" ახალი სპონსორი იპოვა, რომელიც დაინტერესებულია სამხრეთამერიკული ბაზრით. გარდა ამისა, საწვავის მწარმოებელი კომპანია „პეტრობრასიც" იწონებს ორი ბრაზილიელის მიწვევის იდეას.



# ბრიატორე ფედერაციას უჩივლებს

ამასობაში, „რენოს" ყოფილი შეფი **ფლავიო ბრიატორე** ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, რომლის მიხედვითაც მას სამუდამოდ აეკრძალა ავტოსპორტში მოღვაწეობა. დღეს ცნობილი იტალიელი სპეციალისტი პარიზის სასამართლოში ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს. 59 წლის ბრიატორე სასჯელის გაუქმებასა და მორალური კომპენსაციის ასანაზღაურებლად 500 ათას ევროს ითხოვს. ფლავიოს ადვოკატების თქმით, მათ კლიენტზე დადებული სანქცია ეწინააღმდეგება ევროსაბჭოს მოქმედ კანონმდებლობას და ადამიანის უფლებების შესახებ ევროპის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებას.

შეგახსენებთ, რომ 21 სექტემბერს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ იტალიელს ფორმულა 1-ში ნებისმიერ თანამდებობაზე მოღვაწეობა აუკრძალა. ბრიატორე იმაში დაადანაშაულეს, რომ 2008 წელს სინგაპურის გრან-პრიზე, **ნელსინიო პიკემ** მისი დავალებით შეგნებულად მოაწყო ავარია და ამით თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს** გამარჯვებაში დაეხმარა.

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვებეკში ჰოკეი მოენატრათ

კანადის ქალაქ კვებეკის მთავრობა ჰოკეის ახალი დარბაზის აშენებას აპირებს. მუნიციპალიტეტის მიზანია ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდის დაბრუნება და მომავალში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზება.

ქალაქის მერმა რეჟი ლაბომმა განაცხადა, რომ ახალი არენის მშენებლობა კომპანია SNC Lavalin-ს დაევალა. სტადიონი დასრულებულ სახეს, სავარაუდოდ, 2011 წელს მიიღებს და ეს პროექტი ჯამში დაახლოებით 400 მილიონი დოლარი დაჯდება. ამასთან, ქალაქის ბიუჯეტიდან მხოლოდ 50 მილიონი იქნება აღებული. დანარჩენ თანხას კერძო ინვესტორებისგან მიიზიდავენ.

შეგახსენებთ, რომ NHL-ის გუნდმა კვებეკი 1995 წელს დატოვა. მაშინ ამ კლუბს „კვებეკ ნორდიქსი" ერქვა, რომელიც დენვერში გადავიდა და „კოლორადო ეველანში" ეწოდა. სწორედ ქალაქის დღევანდელი მოძველებული არენა - „კოლიზეაა" ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი იმისა, რომ ამ ქალაქს მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში საკუთარი კლუბი არ ჰყავს.

**16 ოქტომბერი**

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 2:4**
0:0, 1:1, 1:3
**გოლები:** 1:0 ზაიაცი-4 (ლანგენბრუნერი-1, სალვადორი-1), 1:1 პევერლი-3 (აფინოგენოვი-2, კუბინა-4), 1:2 ე. კეინი-2 (პოპოვიჩი-1), 1:3 პევერლი-4 (ანტროპოვი-2, ბოგოსიანი-1), 2:3 პარიზე-2 (ლანგენბრუნერი-2, სალვადორი-2), 2:4 ტორბრუნი-1 (ენსტრიომი-4, რისონერი-2).

**ბაფალო-აილენდერსი 6:3**
2:0, 2:2, 2:1
**გოლები:** 1:0 მიერსი-1 (გოსტადი-2, სტეფორდი-1), 2:0 მაკარტური-3 (ბულიტი), 3:0 ტ. კონოლი-2 (მაკარტური-2, რივე-2), 3:1 მოულსონი-3 (ფ. მეიერი-3, ოკსოპო-4), 4:1 ჰეხტი-1 (ტალინდერი-1), 4:2 ტავარესი-3 (მოულსონი-3, უეიტი-2), 5:2 კალეტა-2 (პეი-1, ელისი-2), 5:3 სატონი-1 (კომო-1), 6:3 პომინვილი-1 (ტ. კონოლი-1, მიერსი-3).

**ფლორიდა-ფილადელფია 4:2**
0:1, 2:1, 2:0
**გოლები:** 0:1 ემემი-1 (ვან რიმსდიკი-4), 1:1 უეისი-2 (კულიკოვი-3, მაკეიბი-2), 1:2 ჟირუ-1 (საიმონ განიე-4), 2:2 ჰორტონი-2 (ლეოპოლდი-2, უეისი-2), 3:2 დვორაკი-2 (ალენი-1), 4:2 რაინპრეხტი-1 (ოლეში-1, ფროლიკი-2).

**დალასი-ბოსტონი 0:3**
0:1, 0:2, 0:0
**გოლები:** 0:1 სავარი-3 (შტურმი-2, ხარა-3), 0:2 პ. ბერჟერონი-2 (მ. სტიუარტი-2, რეკი-2), 0:3 სავარი-4 (რაიდერი-3, პ. ბერჟერონი-3).

**კალგარი-ვანკუვერი 5:3**
2:0, 3:0, 0:3
**გოლები:** 1:0 გლენკროსი-3 (ბოუმისტერი-4), 2:0 დეივსი-2 (ჯორდანო-4, სერიჩი-1), 3:0 ფანოფი-4 (ლენგკოუ-2, რეგერი-3), 4:0 ბოიდი-2 (პრსუტი-2, მაკრგატენი-2), 5:0 მაკრგატენი-1 (ბოიდი-3, პრსუტი-3), 5:1 რიპინი-1 (ჰ. სედინი-6, ედლერი-3), 5:2 სამუელსონი-3 (ბერნიე-3, ჰ. სედინი-7), 5:3 ერჰოფი-2 (კესლერი-4, გრაბნერი-1).

**ედმონტონი-მინესოტა 5:2**
0:0, 3:1, 2:1
**გოლები:** 1:0 კომრი-3 (რ. ნილსონი-2, სტრადვიკი-3), 2:0 პენერი-4 (ო'სალივანი-4), 2:1 პუიო-1 (ბელანჟე-6, ჟიდლიცკი-2), 3:1 ბრული-3 (სტოუნი-2, ჟაკი-2), 3:2 ბრუნეტი-5 (მ. კოივუ-3, ჟიდლიცკი-3), 4:2 პენერი-5 (სემ განიე-2, ვიშნოვსკი-3), 5:2 ბრული-4 (სტოუნი-3, ჟაკი-3).

**17 ოქტომბერი**

**ბაფალო-ატლანტა 2:4**
0:2, 1:1, 1:1
**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-6 (ანტროპოვი-3, პევერლი-3), 0:2 კოვალჩუკი-7 (ლიტლი-5, ანტროპოვი-4), 1:2 მაკარტური-4 (ტ. კონოლი-2, პომინვილი-3), 1:3 ტ. უაიტი-1 (ენსტრიომი-5, ვიაჩ. კოზლოვი-1), 2:3 სტეფორდი-2 (ტ. კონოლი-3, ბატლერი-2), 2:4 აფინოგენოვი-1 (ვიაჩ. კოზლოვი-2, ჰედბერგი-1).

**ტორონტო-რეინჯერსი 1:4**
0:1, 1:2, 0:1
**გოლები:** 0:1 დუბინსკი-3, 0:2 მ. სტაალი-1 (გაბორიკი-5, დუბინსკი-5), 0:3 დელ ზოტო-3 (გაბორიკი-6, პროსპალი-8), 1:3 ი. უაიტი-1 (ჰაგმანი-2), 1:4 ლისინი-1 (რედენი-3, როჟსივალი-3).

**მონრეალი-ოტავა 1:3**
1:1, 0:1, 0:1
**გოლები:** 0:1 ნილი-2 (ფიშერი-3, ფოლინო-2), 1:1 კამალერი-1 (გომესი-3, შპაჩეკი-2), 1:2 ალფრედსონი-3 (კოვალიოვი-1, სპეცა-4), 1:3 კოვალიოვი-3 (ფიშერი-4, ალფრედსონი-6).

**ნიუ ჯერსი-კაროლინა 2:0**
0:0, 0:0, 2:0
**გოლები:** 1:0 ლანგენბრუნერი-2 (რ. ნიდერმაიერი-3, პარიზე-4), 2:0 პარიზე-3 (ზაიაცი-3).

**აილენდერსი-სან ხოსე 1:4**
1:0, 0:2, 0:2
**გოლები:** 1:0 მოულსონი-4 (ოკსოპო-5, ტავარესი-4), 1:1 მარლო-6 (ჯ. ტორნტონი-10, დემერსი-4), 1:2 ვესი-1 (ჯ. ტორნტონი-11), 1:3 ჯ. ტორნტონი-2, 1:4 სეტოგუჩი-5 (ქლოუ-1).

**ვაშინგტონი-ნეშვილი 3:2 (ბ)**
2:0, 0:2, 0:0, 0:0
**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-8 (მ. გრინი-4, ნუბლი-4), 2:0 ოვეჩკინი-9 (ბ. მორისონი-4, ნუბლი-5), 2:1 შ. უებერი-1 (ჰორნკვისტი-4, გოკი-1), 2:2 დუმონი-1.
ბულიტები გაიტანეს: ოვეჩკინი (ვაშინგტონი).

**დეტროიტი-კოლორადო 3:4 (ბ)**
1:0, 1:0, 1:3, 0:0
**გოლები:** 1:0 აბდელკადერი-1 (ჰემი-1), 2:0 ბერტუცი-1 (ზეტერბერგი-6, კლირი-3), 2:1 მაკლეოდი-2 (ო'რაილი-4), 2:2 დუშენი-1 (ბ. კლარკი-4), 3:2 ფილპულა-2 (ჯეისონ უილიამსი-4, ლეინო-1), 3:3 მაკლეოდი-3 (ო'რაილი-5, გალიარდი-4).
**ბულიტები გაიტანეს:** ჯეისონ უილიამსი (დეტროიტი), სვატოსი (კოლორადო), ჰეიდუკი (კოლორადო).

**კოლამბუსი-ლოს ანჯელესი 4:1**
1:1, 1:0, 2:0
**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-2 (რ. სმიტი-5, კოპიტარი-8), 1:1 ჩიმერა-2, 2:1 ტორესი-3 (ბრასარი-3, რასელი-2), 3:1 ნეში-3 (პალსონი-1), 4:1 ვორაჩეკი-1 (ვერმეტი-3).

**პიტსბურგი-ტამპა ბეი 4:1**
2:0, 1:1, 1:0
**გოლები:** 1:0 გერინი-3 (მალკინი-7, გოლიგოსკი-5), 2:0 გონჩარი-2 (ორპიკი-1, კროსბი-2), 2:1 სტემკოსი-4 (სენტ ლუისი-8, ლეკავალიე-6), 3:1 დუპუი-1 (გონჩარი-5, ფედოტენკო-3), 4:1 რუპი-2 (კროსბი-3).

**ჩიკაგო-დალასი 3:4**
0:0, 2:3, 1:1
**გოლები:** 0:1 მოროუ-5 (ბრუნსტრიომი, სკრასტინსი), 0:2 რიბეირო-3 (ნისკანენი, ბენი), 1:2 ბროუერი-1, 1:3 პეტერსენი-2 (ბერჩი, ფისტრიჩი), 2:3 ტეუვზი-1 (შარპი), 2:4 რობიდასი-2 (გროსმანი), 3:4 ჰიალმარსონი-1 (ბოლანდი, ბიფულინი).

**ფინიქსი-ბოსტონი 4:1**
1:0, 3:1, 0:0
**გოლები:** 1:0 ქოვანოვსკი-3 (დოუნი, ლომბარდი), 2:0 ა. ოკუანი-1 (დოუნი, იენდლი), 2:1 მ. სტიუარტი-1 (უელერი, კრეისი), 3:1 იენდლი-1 (ლანგი, დოუნი), 4:1 აპშოლი-3 (ვინიკი, ზ. მიხალეკი).

**ვანკუვერი-მინესოტა 2:1**
0:1, 1:0, 1:0
**გოლები:** 0:1 მ. კოივუ-2 (ბრუნეტი, შულტცი), 1:1 კესლერი-3 (ბიეკსა), 2:1 სამუელსონი-4 (ბაროუზი, ჰ. სედინი).

**ანაჰაიმი-სტ. ლუისი 0:5**
0:1, 0:2, 0:2
**გოლები:** 0:1 ბერგლუნდი-2 (ოში, ე. ჯონსონი), 0:2 კოლაიაკოვო-1 (ბოესი, ე. მაკდონალდი), 0:3 ე. მაკდონალდი-2 (ე. ჯონსონი, ბეკსი), 0:4 ე. მაკდონალდი-3 (ბოესი, ე. ჯონსონი), 0:5 ოში-1 (ტკაჩუკი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| გერმანია | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ტიუბინგენი | 98:66 |
| ბრემერჰავენი-ტრირი | 89:73 |
| დიუსელდორფი-გესენი | 73:49 |
| ლუდვიგსბურგი-ბრაუნშვაიგი | 74:75 |
| ერტლანდი-მიტლდოიჩე | 101:91 |
| ალბა-ოლდენბურგი | 69:67 |
| გიოტინგენი-პადერბორნი | 97:70 |
| ფინიქსი-ულმი | 76:75 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| უნიკახა-რეალი | 79:81 (ო) |
| ვალენსია-ვალიადოლიდი | 79:63 |
| ბილბაო-ფუენლაბრადა | 72:81 |
| ალიკანტე-კახა ლაბორალი | 57:75 |
| ობრადოირო-გრანადა | 92:95 (ო) |
| მურსია-მანრესა | 73:63 |
| გრან კანარია-ბარსელონა | 67:65 |
| ხუვენტუდი-ესტუდიანტესი | 85:64 |
| სევილია-ბრუესა | 77:84 (ო) |

| იტალია | |
|---|---|
| ბენეტონი-რომა | 92:85 |
| ტერამო-ვარეზე | 84:58 |
| ბიელა-ვირტუსი | 79:76 |
| ვანოლი-კანტუ | 103:104 (ო) |
| მილანი-ფერარა | 71:66 |
| მონტეგრანარო-კაზერტა | 86:84 |
| ნაპოლი-აველინო | 58:82 |
| პეზარო-სიენა | 67:80 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვილერბანი-სტრასბური | 90:66 |
| ჰავრი-როანი | 73:70 |
| ლე მანი-გრაველენი | 75:55 |
| რუანი-დიჟონი | 90:99 |
| ტულონი-ვიში | 70:62 |
| შალონი-პუატიე | 74:81 |
| შოლე-ორლეანი | 64:57 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ავანგარდი | 1:5 |
| ატლანტი-ვიტიაზი | 3:0 |
| ს. იულიაევი-ცსკა | 3:0 |
| ლოკომოტივი-სკა | 4:1 |
| მვდ-ტორპედო | 3:1 |
| ლადა-ავტომობილისტი | 2:0 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (მ) | 1:3 |
| ნეფტიხიმიკი-ტრაქტორი | 5:2 |
| დინამო (რ)-ამური | 3:3 |

| ავსტრია | |
|---|---|
| აკრონი-ზალცბურგი | 3:3 |
| ალგა-ლინცი | 5:5 |
| ვილახი-ვენა | 0:6 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 4:2 |
| ოლიმპია-გრაცი | 1:6 |

| გერმანია | |
|---|---|
| კიოლნი-იზერლონი | 0:4 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 4:3 |
| კასელი-ფრანქფურტი | 2:1 |
| აუგსბურგი-კრეფელდი | 5:1 |
| დიუსელდორფი-ინგოლშტადტი | 1:5 |
| იზერლონი-ჰამბურგი | 8:3 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 3:3 |
| შტრაუბინგი-აისბარენი | 1:3 |

| დანია | |
|---|---|
| ესბერგი-ჰერნინგი | 7:2 |
| როდოვრე-ოლბორგი | 5:1 |
| სონდერიისკი-ფრედრიკშავენი | 3:1 |
| ოდენსე-ტოტემპო | 0:5 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სტორჰამარი-სტავანგერი | 1:2 |
| ლორენსკოგი-სპარტა | 2:3 |
| სტიორნენი-ლილეჰამერი | 2:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ბისტრიცა-ზვოლენი | 3:2 |
| ნიტრა-მარტინი | 2:3 |
| სლოვაკეთი (U20)-მიკულაში | 3:1 |
| სლოვანი-ნოვა ვესი | 7:0 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 3:7 |
| ჟილინა-კოშიცე | 2:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| კიეკო-ტაპარა | 4:2 |
| ჰიფკ-ლუკო | 2:3 |
| კალპა-იუვიასკიულა | 2:2 |
| კერპეტი-სეიპა | 3:0 |
| ტპს-პელიკანსი | 2:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 4:4 |
| ჟლინი-ლიტვინოვი | 4:4 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 5:4 |
| ბრნო-კლადნო | 4:1 |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 1:3 |
| სპარტა-სლავია | 2:3 |
| ბოლესლავი-კარლოვი ვარი | 4:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ციურიხი-ლანგნაუ | 4:2 |
| ცუგი-რაპერსვილი | 1:2 |
| კლოტენი-დავოსი | 4:3 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 4:2 |
| ამბრი პიოტა-ბერნი | 3:4 |
| ბილი-ჟენევა | 4:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მოდო-ლინჩოპინგი | 1:3 |
| ტიმრა-იურგორდენი | 2:3 |
| როგლე-ფრიოლუნდა | 3:5 |
| ფერიესტადი-ბრიუნასი | 3:2 |
| ჰვ71-ლულეა | 5:4 |
| სიოდერტალე-აიკ | 2:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. შანხაი | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-დავიდენკო | 6:4, 4:6, 6:7 |
| ნადალი-ფ. ლოპესი | 6:1, 3:0 უარი |
| ნადალი-დავიდენკო | 6:7, 3:6 |

| WTA. ლინცი | |
|---|---|
| ა. რადვანსკა-კვიტოვა | 3:6, 2:6 |
| პენეტა-ვიკმაიერი | 6:7, 3:6 |
| ვიკმაიერი-კვიტოვა | 6:3, 6:4 |

| WTA. ოსაკა | |
|---|---|
| სკიავონე-მირზა | 6:2, 6:1 |
| ვოზნიაცკი-სტოსური | 0:6, 6:4, 4:6 |
| სტოსური-სკიავონე | 7:5, 6:1 |

### TV პროგრამა

**19 ოქტომბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ფლამენგო.
08:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბოხუმი.
10:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაის მასტერსი. 1/2 ფინალი. ჩინეთი.
12:30 ჰოკეი. NHL.
13:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბირმინგემი.
14:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რომა.
16:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბორუსია (მ).
18:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:30 100% დინამო.
18:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაის მასტერსი. ფინალი. ჩინეთი.
19:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
22:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:15 სპორტული სამყარო.
22:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:50 პროფესიული კრივი. რიკი ჰატონი-პოლ მალინიაჯი.
02:25 ჰოკეი. NHL.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-სან ხოსე (LIVE).
05:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რომა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-სამპდორია.
08:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ჩელსი.
10:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო.
12:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ბაიერნი.
14:10 ცურვა. მსოფლიოს თასი. დურბანი. სამხრეთ აფრიკა.
16:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
17:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ინტერი.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. შვეიცარია-ისრაელი.
20:45 100% დინამო.
21:10 კალათბურთი. ევროლიგა. I ტური. მაკაბი-ოლიმპია.
22:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ჰალი (LIVE).
01:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
02:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ჩელსი.
04:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო.
06:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. ბრაზილია-განა. ეგვიპტე.
12:00 ველოსპორტი. ლომბარდიის ტური. იტალია.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პლეი ოფის წილისყრა (LIVE).
16:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. მოსკოვი. რუსეთი.
16:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. უნგრეთი-კოსტა რიკა. ეგვიპტე.
18:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. ბრაზილია-განა. ეგვიპტე.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება.
22:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 მულტისპორტი.
22:45 არმრესტლინგი.
00:10 ბრძოლა წესების გარეშე.
00:15 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება.
01:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. ბრაზილია-განა. ეგვიპტე.
02:45 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება.

# ფორმულას ახალი ბატონი!

„ბრაუნ გრან-პრის" პილოტმა **ჯენსონ ბატონმა** ბრაზილიის გრან-პრიზე გაიფორმა ჩემპიონის ტიტული, „ბრაუნმა" კი კონსტრუქტორთა თასი მოიპოვა. რბოლის სტარტზე მომხდარი რამდენიმე ავარიის შემდეგ ბრძოლას ექვსი პილოტი გამოეთიშა, „ფერარის" წევრი **კიმი რაიკონენი** კი **ჰეიკი კოვალაინენის** მიზეზით კინაღამ ბოსებში დაიწვა.

ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის ბოლოსწინა ეტაპის მთავარი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა: შეძლებდა თუ არა ბატონი ვადაზე ადრე ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. მაგრამ ამის პროგნოზირება საკმაოდ რთული იყო, რადგან კვალიფიკაციაზე ჩემპიონატის ლიდერი მე-14 ადგილზე გავიდა, ტრასის მასპინძელი და ბატონის თანაგუნდელი **რუბენს ბარიკელო** კი საშინაო რბოლის მოსაგებად იყო განწყობილი, რაზეც შაბათს მოპოვებული პოული მეტყველებდა. საკვალიფიკაციო რბოლის გამართვას პრობლემები თავსხმა წვიმამ შეუქმნა, რის გამოც სასტარტო ბილიკზე ადგილების გადანაწილება სამ საათს გაგრძელდა.

რბოლის საწყის წრეებში გულშემატკივრები ინციდენტების თვლას ვერ აუდიოდნენ. კიმი რაიკონენი **მარკ უებერს** უტევდა და ავსტრალიელმა ფინელს ანტიფრთა დაუზიანა, რის გამოც „ფერარის" პილოტს ბოქსებში შესვლა მოუწია. მანამდე კონტაქტი იყო ჰეიკი კოვალაინენსა და **სებასტიან ფეტელს** შორის, მაგრამ ეს არ ყოფილა სერიოზული ინციდენტი იმასთან შედარებით, რაც **იარნო ტრულის**, **ადრიან სუტილსა** და **ფერნანდო ალონსოს** შეემთხვათ. თავიდან ტრული და სუტილი შეეჯახნენ ერთმანეთს, შემდეგ იარნო ალონსოსაც შეასკდა და საბოლოოდ სამივემ დაასრულა რბოლა. ტრულიმ ვერ მოითმინა და პირდაპირ ტრასის მიღმა დაუწყო საქმის გარჩევა სუტილს. მოგვიანებით იტალიელმა დაადანაშაულა მოწინაალმდეგე იმაში, რომ მან უბრალოდ ტრასიდან გადააგდო ტრულის „ტოიოტა".

კიდევ ერთ საგანგებო სიტუაციას ბოქსებში ჰქონდა ადგილი. ავზის შევსებისას კოვალაინენმა ვერ მოითმინა და ტრასისკენ საწვავის მილთან ერთად დაიძრა. იქიდან დაღვრილი ბენზინი იმ დროს აალდა, როცა ამ გუბეზე რაიკონენის ბოლიდმა გაიარა. „ფერარი" წამით ცეცხლში გაეხვია. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, თუმცა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა.




სტარტზე ბარიკელომ ლიდერობა შეინარჩუნა და პირველ პიტ-სტოპამდე პირველი იყო. ბრწყინვალედ გამოიყურებოდა ბატონი, რომელსაც ტრასაზე შექმნილმა არეულობამ და უსაფრთხოების მანქანის გამოსვლამაც შეუწყო ხელი. ბრიტანელმა ჯერ **რომენ გროსჟანს** გაასწრო, შემდეგ **კაზუკი ნაკაჯიმას**, ბოლოს კი დებიუტანტ **კამუი კობაიაშის** (იაპონელი „ტოიოტაში" ტრავმირებულ ტიმო გლოკს ცვლიდა) შეუტია, თუმცა ამ უკანასკნელმა ძალიან აწვალა ჩემპიონატის ლიდერი - ჯენსონმა იაპონელის გასწრება მოგვიანებით მოახერხა და მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

პიტ-სტოპების პირველი სერიის შემდეგ რბოლის ლიდერი **მარკ უებერი** გახდა და მას ეს უპირატესობა ფინიშამდე აღარ დაუთმია. მაგრამ ავსტრალიელის ლიდერობა მეორეხარისხოვანი იყო. ყველას აინტერესებდა ძალთა განლაგება ჩემპიონობის პრეტენდენტებს - ბატონს, ბარიკელოსა და ფეტელს შორის. ჯენსონი უშეცდომოდ მოქმედებდა. მართალია, ის თითქმის მთელი რბოლა ჩამორჩებოდა თანაგუნდელს, მაგრამ ბარიკელოსთან ისეთ სხვაობას ინარჩუნებდა, რომელიც ჩემპიონის ტიტულის გარანტიას აძლევდა. ბოლოს ბატონს ფეტელმაც გაასწრო, მაგრამ არც ეს უქმნიდა საფრთხეს ბრიტანელს.

ფინიშამდე 10 წრით ადრე ბარიკელო მესამე ადგილზე იყო, ბატონი - მეშვიდეზე. რბოლა ასეთი შედეგით რომ დასრულებულიყო, „ბრაუნის" პილოტებს ქულათა სხვაობა ათამდე შემცირებოდა და ბრიტანელი ამ შემთხვევაშიც ინაღდებდა ჩემპიონის ტიტულს (ჩემპიონატში მოგებული მეტი ეტაპების რაოდენობით). მაგრამ რუბენსს არ გაუმართლა. მას ჯერ **ლუის ჰემილტონმა** გაუსწრო, ცოტა ხანში კი ბრაზილიელის ბოლიდს საბურავი გაუსკდა და ბარიკელოს მესამედ მოუწია ბოქსებში შესვლა. ამან მასპინძელი პილოტი მერვე ადგილზე გადააგდო და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დააკარგვინა.

ბატონის ჩემპიონობას საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ფორმულა 1-ის ახალმა ჩემპიონმა მეხუთემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი, სადაც მას შავ-თეთრი დროშის ფრიალით „ფერარის" პილოტი **ფელიპე მასა** შეეგება.

ეს განსაკუთრებული დღე იყო „ბრაუნ გრან-პრის" შეფისთვის **როს ბრაუნისთვის**. მისი გუნდი წელს პირველად გამოდის ჩემპიონატში და მან პირადი პირველობაც მოიგო და კონსტრუქტორთა თასიც.

*„ეს დაუჯერებელია! ბოლო რამდენიმე რბოლა არც ისე წარმატებული იყო და დღეს მაინც შევძელი ტიტულის მოგება. ეს ფანტასტიკური გრან-პრი იყო, მე - მსოფლიოს ჩემპიონი ვარ!*

*21 წლის წინ პირველად დავჯექი კარტის საჭესთან. მოგება მიყვარს, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ფორმულა 1-ის ჩემპიონი გავხდებოდი. დღეს ამის გაკეთება შევძელი!"* - ემოციებს ვერ იკავებდა ბატონი, რომელმაც ფინიშის შემდეგ პირდაპირ ბოლიდში დაიწყო სიმღერა - We Are The Champions.

ასე რომ, ჯენსონისთვის სეზონის ბოლო რბოლამ აზრი დაკარგა. თუმცა 1 ნოემბერს აბუ დაბიში ბრიტანელი, ალბათ, დაეხმარება თანაგუნდელ ბარიკელოს საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაბრუნებაში. ბრაზილიელი გუშინდელი რბოლის შემდეგ ორი ქულით ჩამორჩება სებასტიან ფეტელს. „ბრაუნს" სეზონში სრული ტრიუმფისთვის ბარიკელოს ვიცეჩემპიონობა სჭირდება. აი ეს არის აბუ დაბის რბოლის მთავარი ინტრიგა.

**გია თვალაბეიშვილი**

### ბრაზილიის გრანპრი. XVI ეტაპი

#### ინტერლაგუში (71 წრე, 305.909 კმ)

| | |
|---|---|
| 1(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 1:32.23,081 (2 პიტ-სტოპი) |
| 2(8). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +7,626 (2) |
| 3(18). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +18,944 (2) |
| 4(16). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +19,652 (2) |
| 5(14). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | +29,005 (2) |
| 6(5). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +33,340 (2) |
| 7(6). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | +35,991 (2) |
| 8(1). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | +45,454 (3) |
| 9(17). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | +48,499 (3) |
| 10(11). კამუი კობაიაში (ტოიოტა, იაპონია) | +1.03,321 (2) |
| 11(20). ჯანკარლო ფიზიკელა (ფერარი, იტალია) | +1.10,600 (1) |
| 12(15). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს-ინდია, იტალია) | +1.11,300 (3) |
| 13(13). რომენ გროსჟანი (რენო, საფრანგეთი) | 1 წრე (2) |
| 14(12). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე (2) |
| 15(9). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | 41 წრე (1) |
| 16(7). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 44 წრე (2) |
| 17(19). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 50 წრე (1) |
| 18(3). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 71 წრე (0) |
| 19(4). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | 71 წრე (0) |
| 20(10). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | 71 წრე (0) |

საუკეთესო წრე: მარკ უებერი - 1.13,733 (210.386 კმ/სთ); 25-ე წრე

#### საერთო ჩათვლა

1. ჯენსონ ბატონი - 89 ქულა; 2. სებასტიან ფეტელი - 74; 3. რუბენს ბარიკელო - 72; 4. მარკ უებერი - 61.5; 5. ლუის ჰემილტონი - 49; 6. კიმი რაიკონენი - 48; 7. ნიკო როსბერგი - 34.5; 8. იარნო ტრული - 30.5; 9. ფერნანდო ალონსო - 26; 10. ტიმო გლოკი - 24; 11. ფელიპე მასა - 22; 11. ჰეიკი კოვალაინენი - 22; 13. რობერტ კუბიცა - 17; 14. ნიკ ჰაიდფელდი - 15; 15. ჯანკარლო ფიზიკელა - 8; 16 ადრიან სუტილი - 5; 16. სებასტიან ბუემი - 5; 18. სებასტიან ბურდე - 2.

#### კონსტრუქტორთა თასი

1. ბრაუნი - 161 ქულა; 2. რედ ბული - 135.5; 3. მაკლარენი - 71; 4. ფერარი - 70; 5. ტოიოტა - 54.5; 6. უილიამსი - 34.5; 7. BMW-ზაუბერი - 32; 8. რენო - 26; 9. ფორს ინდია - 13; 10. ტორო როსო - 7.




